საკმო გაზეთი

№24 (705)
ოთხშაბათი
19 ივლისი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.

ნეტარ არიან მაკ-პიანნი და ააკ-პიანნი ნატოსა შინა!!!

დაუპატიჟებელ ზელენსკის MAP-ი AAP-ით შეუცვალეს

ნატოს ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება ცინიკურად გამოხატა...

ქაქი იყოს, თორემ ბუზი ვარშავიდანაც მოფრინდება!

უკრაინის ნატო-ში შესვლით მესამე მსოფლიო ომი გარდაუვალია!

გეი-ლუსაკის კანონი

ლაშა კალანდაძე: ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ კანონსაწინააღმდეგო დაბრკოლებები გრძელდება

კანონსაწინააღმდეგო დაბრკოლებები გრძელდება **Credit Suisse**-სთან დაკავშირებული იურიდიული პირების უკანონო და დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილ ფულად აქტივებთან დაკავშირებით - ამის შესახებ ნათქვამია ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის ლაშა კალანდაძის განცხადებაში, რომელშიც საუბარია **ბიძინა ივანიშვილი vs Credit Suisse**-ს საქმეებთან დაკავშირებით, მოცემული მომენისთვის არსებულ მდგომარეობაზე.

ლაშა კალანდაძის განცხადებით, შვეიცარიულმა ბანკმა **Julius Baer** უნდა უზრუნველყოს მოსარჩელეებისთვის აქტივების გადაცემა. ბანკმა გაანაწილა აქტივების დაახლოებით 5%; დარჩენილი აქტივების (95%) გადაცემის მიმართულებით კი შეექმნა დაბრკოლება.

მისივე თქმით, გადასაცემი აქტივების 95% განთავსებულია ერთ-ერთ **Hedge Fund**-ში, რომელსაც, თავის მხრივ, აქტივების უდიდესი ნაწილი გადანაწილებული აქვს ამერიკულ, შედარებით მცირე კი - დასავლეთ ევროპის ფონდებში.

ადვოკატი იმედს გამოთქვამს, რომ სამართლებრივი ბრძოლა შედეგს გამოიღებს და აღდგება სრულ აქტივებზე წვდომა.

ლაშა კალანდაძის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

ბერმუდაში მიმდინარე სამოქალაქო საქმე

ბერმუდის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, უცვლელად დარჩა ბერმუდის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, **Credit Suisse**-ის შვილობილ კომპანიას ბიძინა ივანიშვილის ოჯახის (მოსარჩელეები) სასარგებლოდ დაეკისრა 607 მილიონი აშშ დოლარის გადახდა.

სინგაპურში მიმდინარე სამოქალაქო დავა

სინგაპურის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2023 წლის 26 მაისის გადაწყვეტილებით **Credit Suisse Trust Limited**-ს მოსარჩელეების სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება 926 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

უკანონო/დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილი აქტივები

სხვადასხვა იურისდიქციაში მიმდინარე სასამართლო საქმეებთან მიმართებით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საქმის განხილვის ვადებს, პრეტენზიები არ არსებობს. წარმატებებიც ყველა იურისდიქციაში მოცემული მომენტისთვის სახეზეა.

კანონსაწინააღმდეგო დაბრკოლებები/პრობლემები შეიქმნა, გრძელდება კიდეც სასამართლოს მიღმა არსებულ საკითხებთან, კერძოდ, **Credit Suisse**-ის/მასთან დაკავშირებული იურიდიული პირების/ უკანონო და, როგორც არაერთხელ ითქვა, დანაშაულებრივ ქმედებებს გადარჩენილ ფულად სახსრებთან/ აქტივებთან დაკავშირებით.

დაინტერესებული პირებისთვის/საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ **Credit Suisse**-ის/მასთან დაკავშირებული იურიდიული პირების/ უკანონო ქმედებებს გადარჩენილი აქტივების დიდი ნაწილი **Credit Suisse**-დან გადატანილი იქნა სხვა შვეიცარულ ბანკში (**Julius Baer**), თუმცა აქტივების მმართველად დარჩა **Credit Suisse**-ის ტრასტი, დაფუძნებული გენზის კუნძულზე.

Credit Suisse-ის ტრასტმა 2022 წლის მარტიდან შექმნა დაბრკოლებები აქტივების წვდომის მიმართულებით. თავდაპირველად ვალდებულების შეუსრულებლობა ტრასტმა ახსნა მიზეზით: „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენები“.

ერთადერთი გამოსავალი არსებული მდომარეობიდან იყო ტრასტის ხელშეკრულების შეწყვეტა და ტრასტის დაშლა, თუმცა **Credit Suisse**-ის ტრასტი, მოცემულ შემთხვევაშიც, შეეცადა საკითხის ხელოვნურად გაჭიანურებას. კერძოდ, ტრასტმა მიუთითა, რომ სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება, ტრასტის დაშლა ეწინააღმდეგებოდა თუ არა არასრულწლოვნების და მომავალი/დაუბადებელი შთამომავლების ინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებისთვის განჭვრეტადი იყო სასამართლო გადაწყვეტილების შედეგი, მაინც გახდა საჭირო სასამართლოსთვის მიმართვა.

Credit Suisse-ის ტრასტი მაქსიმალურად შეეცადა გაეჭიანურებინა სასამართლო პროცედურებიც. ფაქტიურად, ერთი წლის თავზე (2023 წლის 24 მარტი) დადგა ის შედეგი, რომელიც თავიდანვე პროგნოზირებადი იყო და რომლის სასამართლოში განსახილველად მხოლოდ ერთი სხდომა იყოს საჭირო; ერთ სხდომაში მოხდა კიდეც საქმის განხილვა.

უნდა აღინიშნოს, რომ **Credit Suisse**-ის ტრასტმა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან მხოლოდ ორ თვე-ნახევრის (დაახლოებით) შემდეგ, 2023 წლის 14 ივნისს, მიიღო რეზოლუცია ტრასტის დაშლისა და აქტივების განაწილების შესახებ.

აღნიშნულის საფუძველზე შვეიცარიულმა ბანკმა (**Julius Baer**) უნდა უზრუნველყოს აქტივების მოსარჩელეებისთვის გადაცემა/განაწილება. **Julius Baer**-მა გაანაწილა აქტივების დაახლოებით 5%; დარჩენილი აქტივების (95%) გადაცემის მიმართულებით კი შეექმნა დაბრკოლება. კერძოდ, გადასაცემი აქტივების 95% განთავსებული არის ერთ-ერთ **Hedge Fund**-ში, რომელსაც, თავის მხრივ, აქტივების უდიდესი ნაწილი გადანაწილებული აქვს ამერიკულ, შედარებით მცირე კი - დასავლეთ ევროპის ფონდებში.

Julius Baer-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა არაერთხელ მიმართვას, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პროცედურულად რამდენიმე წუთში არის საკითხის დარეგულირება შესაძლებელი (მხოლოდ ტექნიკური მოქმედებები არის ფონდების მხრიდან განსახორციელებელი), თითქმის ერთი თვე არის, როგორც ჩვენთვის ცნობილი ხდება, ამერიკული და დასავლეთ ევროპის ფონდებში აფერხებენ მოსარჩელეებისთვის აქტივების გადაცემას; იმ აქტივების გადაცემას, რომელზეც ფაქტიურად გადაწყვეტილება მიღებული აქვს სასამართლოს, მათ შორის, **Credit Suisse**-ის შვილობილ კომპანიას, რეზოლუციის სახით.

აღნიშნული კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ 2022 წლის მარტიდან ანუ, როგორც **Credit Suisse**-ის ტრასტი აღნიშნავდა, „აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე გეოპოლიტიკური მოვლენებიდან“ ბიძინა ივანიშვილს და მის ოჯახის წევრებს, ფაქტობრივად, შეზღუდული აქვთ თავიანთი აქტივების გარკვეულ ნაწილზე წვდომა.

და ბოლოს, გამოვთქვამთ იმედს, რომ სამართლებრივი ბრძოლა გამოიღებს შედეგს და აღდგება სრულ აქტივებზე წვდომა,“ - ნათქვამია განცხადებაში.

ევროპარლამენტარები ჰააგის სასამართლოს ლუკაშენკოს დაპატიმრების ორდერის გაცემისკენ მოუწოდებენ

დღეს, 18 ივლისს, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა, ბელორუსთან ევროკავშირის ურთიერთობების შესახებ ახალი ანგარიში გამოაქვეყნა.

ტექსტში ევროპარლამენტარები მკაცრად გმობენ განუწყვეტელ რეპრესიებს და ადამიანის უფლებების სისტემატურ დარღვევებს, რომელსაც ბელორუსის რეჟიმის მეთაური ალექსანდრე ლუკაშენკო ახორციელებს, როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე უკრაინის მოქალაქეების წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტარები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს (ICC), ბელორუსის რეჟიმის მეთაურის, ალექსანდრე ლუკაშენკოსთვის დაკავების ორდერის გაცემისკენ მოუწოდებენ.

„ბელორუსია პასუხისმგებელია უკრაინაში მიყენებულ ზარალზე და ჩადენილ დანაშაულებზე, მათ შორის უკრაინიდან ბავშვების უკანონო დეპორტაციაში მონაწილეობის გამო“, - ამბობენ ევროპარლამენტარები.

აქედან გამომდინარე, ისინი მოუწოდებენ ევროკავშირის ინსტიტუტებს და წევრ ქვეყნებს, საერთაშორისო დონეზე მიიღონ ყველა საჭირო ნაბიჯი, რათა მოხდეს იმ ბელორუსელი პოლიტიკური და სამხედრო ლიდერების სისხლისსამართლებრივი დევნა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებსა და გენოციდში.

ახალ მოხსენებაში, ევროპარლამენტარები ბელორუსის რეჟიმს მოუწოდებენ, გაათავისუფლოს ყველა პოლიტიკური პატიმარი. აქვე წერია, რომ ბელორუსში 1500-მდე პოლიტპატიმარი, მათ შორის იურისტები, ჟურნალისტები, უფლებადამცველები და სხვები გისოსებს მიღმა არიან. ამასთან, ევროპარლამენტარები გამოთქვამენ დიდ შეშფოთებას მოსკოვისადმი ქვეყნის დაქვემდებარების გამო.

მანამდე, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ (ICC), დაპატიმრების ორდერი რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმირ პუტინისა და რუსეთის ბავშვთა უფლებების კომისრის მარია ლვოვა-ბელოვას მიმართ გასცა.

შავი ზღვის წყალი სუფთა და დამსვენებლებისთვის - უსაფრთხოა

შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლი საერთაშორისო სტანდარტებს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სტანდარტს აკმაყოფილებს. შესაბამისად, საქართველოში, შავ ზღვაში ბანაობა არის უსაფრთხო. ჩვენ მუდმივი კომუნიკაცია გვაქვს კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, შემომყვან ტურისტულ კომპანიებთან, ტუროპერატორებთან, ასევე მუდმივ საინფორმაციო კამპანიას ვაწარმოებთ და საზოგადოებას საქმის კურსში ვაყენებთ და ვატყობინებთ ახალი კვლევის შედეგებს“, — აცხადებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ 2023 წლის 6 და 10 ივლისს განხორციელებული მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, შავი ზღვის წყლის სინჯებში განსაზღვრული 59 პარამეტრის მნიშვნელობები ნორმის ფარგლებშია.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ინფორმაციით, საქართველოს საზღვაო კურორტებზე ზაფხულის ტურისტულ სეზონზე გაზრდილია დამსვენებელთა რაოდენობა.

„აღსანიშნავია, რომ ზღვის სანაპირო ტურისტებითაა სავსე, ზაფხულის სეზონი პიკს აღწევს და ველოდებით როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ მოგზაურებს. დაბინძურების ფაქტი არ დასტურდება ლაბორატორიული კვლევებით. გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო 10 დღეში ერთხელ იღებს სინჯებს და დამსვენებლებს საფრთხე არ ემუქრებათ, - განაცხადა მაია ომიაძემ.

გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგისთვის 10 ივლისიდან სადგურების რაოდენობა გაზარდა - მანამდე არსებულებს ანაკლია - განმუხურის ტერიტორიაზე 3 წერტილი დაემატა.

დაუპატიჟებელ ზელენსკის MAP-ი AAP-ით შეუცვალეს

გვესაუბრება
მირიან ყარაულაშვილი:

— ბატონო მირიან, უკრაინის უმაღლესმა რადამ მიიღო რეზოლუცია, რომლის საფუძველზეც ზურაბიშვილს უკრაინის მოქალაქე მიზეილ საკაშვილის ჰუმანიტარული მიზნით შეწყალება მოსთხოვა.

— სანამ კითხვაზე გიპასუხებთ, მინდა „საერთო გაზეთის“, პირადად თქვენი, რედაქტორის, გამომცემელის, ზოგადად, რედაქციის მიმართ ძალიან დიდი პატივისცემა გამოვხატო და წარმატებები გისურვოთ. „საერთო გაზეთი“ ყოველთვის იქ დგას, სადაც საჭიროა — ქართველი ხალხის გვერდით. იმედი მაქვს, რომ მუდამ ასე გაგრძელდება. მოხარული ვარ თქვენთან ორმხრივი თანამშრომლობის.

რაც შეეხება შეწყალების მოთხოვნას, ეს გაჟღერდა როგორც უმაღლესი რადას მხრიდან, ასევე ორმოცდაათხი ევროდეპუტატის მიერ, რომელთაც განაცხადეს: მიშას ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, მას სიკვდილის რისკი აქვს, რის გამოც დაუყოვნებლივ საზღვარგარეთ სამკურნალოდ უნდა გადაიყვანოთო. უკრაინის უმაღლესმა რადამ კი საქართველოს პრეზიდენტს საკაშვილის ჰუმანიტარული მიზნით შეწყალება და მისი უკრაინისთვის გადაცემა მოსთხოვა.

ეს ორი „რეზოლუცია“ ერთ კონტექსტში განვიხილოთ. პირველ რიგში, ეს ქართული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევაა, თანაც, საკმაოდ უხეში. ამ ადამიანებს, ელემენტარულად, პოლიტიკური კულტურა, ალღო არ გააჩნიათ. რადას და ევროდეპუტატების მიზანი, საქართველოს ხელისუფლებაზე, ქართველ ხალხზე, სახელმწიფოზე სინქრონული შეტევაა, რათა ის ფიასკო გადაფარონ, რაც ვილნიუსის სამიტზე უკრაინის ხელისუფლებამ განიცადა ნატოში გაწევრიანების დიდი მოლოდინის გამო. ამ თემის ირგვლივ რა ხანია პროპაგანდისტული კამპანიაა გაჩაღებული.

საღად მოაზროვნე ადამიანებმა ვიცოდით, რომ ომში მყოფ ქვეყანას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში არავინ მიიღებდა. ამის შესახებ ბაიდენმაც ღიად ისაუბრა. მან თქვა: ჯერ ერთი, უკრაინა არც პოლიტიკურად, არც სამხედრო თვალსაზრისით და არც ეკონომიკურად მზად არ არის ნატოს წევრი გახდეს და მეორეც, ის ომში მყოფი ქვეყანაა და აქედან გამომდინარეც ვერ გახდება ნატოს წევრიო. მთლიანობაში, ნატოს სამიტზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ უკრაინის პროპაგანდისტული მცდელობები გამოააშკარავა, რაშიც საქართველოს ჩათრევაც სურდათ.

მინდა, საქართველოს ხელისუფლებას — პრემიერ-მინისტრს, მთავრობას, პარლამენტს, მმართველ პარტიას, როგორც რიგითმა ამომრჩეველმა, გულწრფელი მადლობა ვუთხრა იმისთვის, რომ ძალიან გაწონასწორებული, პოლიტიკურად სწორი გადაწყვეტილება მიიღეს, რის შედეგადაც მეზობლად მიმდინარე საშინელ, ცხელ ომში მონაწილეობას საშშობლო აარიდეს.

— ვილნიუსის სამიტზე აღნიშნეს, რომ უკრაინას მაპ-ი აღარ სჭირდება. მაპ-ი რუსეთის გამღიზიანებელია. ჩვენ რატომ ვერ შევძელით ნატო-სკენ ნაბიჯი მაპ-ის გარეშე გადაგვედგა?

— უკრაინას რომ მაპ-ი აღარ სჭირდება, ეს ერთგვარი თვალთმაქცური ნაბიჯია. ამის გაჟღერება, ნატო-სგან, ძალიან მიკვირს. საქართველო და უკრაინა 2008 წელს დააიმედეს, რომ მათთვის ნატო-ს კარი ღია იყო. რეზოლუციაში ჩაიწერა, რომ საქართველო და უკრაინა ნატო-ს წევრები გახდებოდნენ. დღეს უკრაინას სამიტის საბოლოო დოკუმენტში **MAP**-ის ნაცვლად **AAP**, ანუ „გაწევრიანების სამოქმედო გეგმის“ ნაცვლად, „ყოველწლიური სამოქმედო გეგმა“ მისცეს, რომელიც განახლდება ყოველი წლის დასასრულს მომავალი წლისთვის, მაგრამ რამდენი წელი ექნება უკრაინას ეს წლიური გეგმა, ამას არავინ ეუბნება. საქართველომ მაპ-ზე უკეთესი ჯერ კიდევ 2013 წელს მიიღო. ამ დროიდან ვართ იმ სტადიაში, რითაც ახლა უკრაინა დაასაჩუქრეს.

ამ იმედგაცრუების საკომპენსაციოდ, რაც ზელენსკიმ და უკრაინელმა ხალხმა იწვნია, ნატო-უკრაინის კომისია შეიქმნა. რუსეთსა და ნატო-ს შორის ანალოგიური კომისია უკვე 2000 წლიდან არსებობს. უკრაინულმა მხარემ სამიტზე აღნიშნა: ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც ნატო-მ რომელიღაც ქვეყანასთან, გარდა რუსეთისა, მსგავსი კომისია შექმნაო. მინდა გითხრათ, რომ არსებობს საქართველო-ნატო-ს კომისია, რომელიც რეგულარულად, წელიწადში ერთხელ ან ორჯერ იკრიბება ხან საქართველოში, ხან ბრიუსელში, სადაც ყოველწლიური სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის შედეგები ჯამდება, ან ახალი გეგმის დამტკიცება ხდება და ა.შ. ასე რომ, უკრაინის ხელისუფლებამ ესეც იცრუა. საქართველო-ნატო-ს კომისია, დაახლოებით, რვა წლით ადრე შეიქმნა. უკრაინა თანდათან ჩიხში ექცევა. მალე მათ პროპაგანდას, ყურადღებას აღარავინ მიაქცევს და პროცესები ძალიან ცუდი მიმართულებით განვითარდება.

გავიხსენოთ არესტოვიჩი, რომელმაც ორი თვის წინ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ოფისის შტატგარეშე მრჩეველის თანამდებობა დატოვა. იგი საკაშვილის თემაზე დარიგებებს გვაძლევდა და გვამუნათებდა. მან ორი დღის წინ საყურადღებო დეკლარაცია გამოაქვეყნა: იმის ნაცვლად, რომ ჩვენ ეკონომიკის გაძლიერებაზე, შეიარაღებაზე, სისტემის სრულყოფასა და რეფორმებზე გვეზრუნა, გმირობების დემონსტრირებაზე გადავედით, რის შედეგადაც უკრაინამ დასავლურ სტრუქტურებში გაწევრიანებაზე უარი მიიღო. მისივე თქმით: საომარი მდგომარეობის დროს თითოეული გმირობა, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებების არასწორად წარმართვის შედეგია. და იქვე დასძენს: ამ გმირობების ჩადენას, სჯობდა, ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე გვეზრუნაო. აბსოლუტურად ვეთანხმები. მკაფიოდ ვიტყვი: საქართველოს ხელისუფლებას ძალიან სწორი და პრაგმატული პოზიცია გააჩნია არამხოლოდ ამ თემის, არამედ, ზოგადად, შიდა და საერთაშორისო პოლიტიკური საკითხების მიმართ.

— ოპოზიციურმა მედიამ განაცხადა, ღარიბაშვილი ვილნიუსის სამიტზე არ მიიწვიესო...

— ეს ნაცნობი სპეკულაციაა. სამიტზე მიწვეულ პირთა შემადგენლობა ჯერ კიდევ სამი-ოთხი თვით ადრე იყო ცნობილი. საქართველოდანაც და უკრაინიდანაც ვილნიუსის სამიტზე მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრები იყვნენ მიწვეულნი. პრემიერ-მინისტრები და სახელმწიფოს ხელმძღვანელები მიწვეულნი არ ყოფილან.

ზელენსკიმ ვილნიუსის სამიტზე ჩასვლა წინა საღამოს გადაწყვიტა. მას იქ არავინ ელოდებოდა. დიახ, იგი იქ მართლა დაუპატიჟებლად ჩავიდა. სამიტის პირველ დღეს მას ისტერიული გამოსვლა ჰქონდა. მან შეურაცხყო არამხოლოდ ნატოს წევრები, არამედ მთლიანად ევროპის, აშშ-ის მოსახლეობა.

შემთხვევითი არ ყოფილა, როდესაც დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ზელენსკის პირდაპირ უთხრა: ნატო და დასავლეთი „ამაზონი“ არ არის, სადაც ნებისმიერ საქონელს შეუკვეთავ და სახლში მოგართმევენ. შეგეძლოთ საყვედურის ნაცვლად, ჩვენს მიერ გაწეულ დახმარებებზე მადლობა მაინც გეთქვათო.

— ბატონო მირიან, მოდი, შეწყალების თემას დავუბრუნდეთ. ეს ინსტიტუტი ჩვენთან ძალიან გაუფასურდა. ზოგი პრეზიდენტი ნარკომანებს იწყალებს, ზოგი — კრიმინალებს...

— ეს ჩემთვის ძალიან მძიმე, მტკივნეული თემაა, რადგან ის ავბედითი წლები პირადად შემეხო. ნაცების ხელისუფლებაში ყოფნის დროს ჩემმა ოჯახმა პრობლემა საკუთარ თავზე გადაიტანა. ჩემი ოჯახის წევრი, ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი 2010 წელს კუდის მიერ მოწყობილი პროვოკაციის შედეგად ციხეში აღმოჩნდა. ასე რომ, ძალიან კარგად ვიცი, როგორ ხდება შეწყალება და სხვა პროცედურები.

დღეს საკაშვილის შეწყალება ზღაპარია. მისი პატიმრობიდან გათავისუფლება არანაირ ლოგიკაში არ ჯდება. მისჯილი აქვს მხოლოდ ერთ დანაშაულზე, სისხლის სამართლის სხვა საქმეებზე კი, სასამართლო პროცესები ჯერ ისევ მიმდინარეობს, სასჯელები გამოცხადებული არ არის. ასე რომ, მიშას პრეზიდენტი ვერ შეიწყალებს, რადგან ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა სასამართლო პროცესი მიმდინარეობს. თუ ვთქვათ, ზურაბიშვილი მას ე.წ. სახელმწიფო სახსრების დატაცების დანაშაულისთვის შეიწყალებს, არსებობს სისხლის სამართლის კიდევ ორი მიმდინარე საქმე და სანამ საბოლოო შედეგი არ დადგება, შეწყალება ვერ განხორციელდება. პრეზიდენტს უყვარს გამოთქმა: ეს ჩემი დისკრეციული უფლებაა. ეს იმ შემთხვევაში, როცა სასჯელი უკვე დამდგარია. დაწყებული საკაშვილიდან, მარგველაშვილით და ზურაბიშვილით გაგრძელებული, პატიმრის შეწყალებამ კორუფციული ხასიათი მიიღო.

დღეს, შეწყალება ვიღაცის გავლენით, ზემოქმედებით ხდება და არა შინაგანი რწმენით, როგორც უნდა მოხდეს წესით სასჯელის გამოტანაც და გათავისუფლებაც. მოსამართლეებს კანონმდებლობაში პირდაპირ უწერიათ: გადაწყვეტილება ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობის გარდა, შინაგანი რწმენით უნდა მიიღონ. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს, რომ კონკრეტული პირი ნამდვილად დამნაშავეა. იგივე ეხება სასჯელისგან გათავისუფლებასაც. თუ შინაგანი რწმენით არ გრძნობ, რომ ესა თუ ის პირი უნდა შეიწყალო, მაშინ ეს აქტი არ უნდა განახორციელო.

აქ პირიქით ხდება – ნიკა გვარამიას შეწყალება, კანონის აბსოლუტური დარღვევით მოხდა. კანონში პირდაპირ წერია: იმ მსჯავრდებულის შეწყალება, რომელიც დანაშაულს არ ინანიებს და შეწყალების თხოვნით პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის არ მიუმართავს, დაუშვებელია. ასე რომ, გვარამიას შეწყალებით თავად პრეზიდენტმა ჩაიდინა დანაშაული.

— ბოლოს მინდა, პრაიდის შესახებაც გკითხოთ, რაც ამჯერადაც ჩაიშალა. ამ მიმართულებით პრობლემას რაში ხედავთ?

— ამ ორიენტაციის ადამიანები, კაცობრიობის ისტორიაში ყველა ეპოქაში არსებობდნენ. მიუღებლად მიმაჩნია პროპაგანდა, რაც ბოლო 10-15 წელიწადია, მათი მხრიდან მსოფლიო მასშტაბით ხდება — საკუთარი სექსუალური ორიენტაციის თავსმოხვევა ჰეტეროსექსუალებზე და ა.შ. თუმცა, ჩემთვის ასევე მიუღებელია კონტრაქციის მონაწილეების მოქმედება, რაც მართებულად არ მიმაჩნია. პირადად მე, მირიან ყარაულაშვილს მიმაჩნია, რომ ნებისმიერი ზეწოლა, ძალისმიერი ზემოქმედება ისევ ძალადობას იწვევს. ლგბტქ+ პროპაგანდას, პირველ რიგში, ოჯახში აღზრდა უნდა დავუპირისპიროთ. ლგბტქ+ წარმომადგენლები, დაახლოებით 1500-2000-ნი არიან. საქართველოში ნარკომანების რაოდენობა მათ ასჯერ აღემატება. გაიარეთ დილით ე.წ. მეტადონის ცენტრებში და ნახეთ, იქ რა ხდება. მინდა, იმ საზოგადოებას მივმართო, რომელიც ლისის ტბაზე ლგბტქ+ წარმომადგენლებს მიუვარდა და ძალადობდა: ყველამ იცის, ვინ არის თავიანთ უბანში ბარიგა, საიდან ვრცელდება საქართველოში ნარკოტიკი, მივიდნენ და ასე „არაძალადობრივად“, როგორც ლისის ტბაზე ამ ხალხს მიუვარდნენ, ახლა ბარიგებს მოსთხოვონ პასუხი. დიახ, მოსთხოვონ პასუხი ნარკოტიკის გამავრცელებლებს, მომხმარებლებს.

ვერავინ დამაჯერებს, რომ ნორმალურ ოჯახში გაზრდილ 19 წლის ვაჟკაცს, ვიღაცამ მოუწოდოს და მანაც პროპაგანდის ან წამხედურობის გამო ორიენტაცია შეიცვალოს. ეს წარმოუდგენელია. პროპაგანდის, მიბაძვის მიზნით ვერ წარმომიდგენია, ერთმა კაცმა მეორეს უკანალი მისცეს. მანდილოსანი ბრძანდებით და ბოდიშს ვიხდი ასეთი მაგალითის მოყვანისთვის. თუ ასეა, ეს მთლად უბედურებაა. ამაში დამნაშავე ყოველთვის ოჯახია. ეს აღზრდის პრობლემაა. დედებს, დებს მინდა მოვუწოდო, რომლებიც საზღვარგარეთ მიდიან თითქოს ოჯახის შიმშილისგან გადასარჩენად: საქართველოში შიმშილისგან გარდაცვლილი ადამიანი არ მინახავს, მაგრამ უდედობით, უყურადღებოდ მიტოვებით სულიერად გარდაცვლილებს ბევრს ვხედავ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნატოს ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება ცინიკურად გამოხატა...

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიკოსი სოსო მანჯავიძე:

— ბატონო სოსო, რამდენიმე დღის წინ ნატო-ს ვილნიუსის სამიტი გაიმართა, სადაც აღინიშნა, რომ უკრაინას ნატო-ში მხოლოდ ომში გამარჯვების შემთხვევაში მიიღებენ. თქვენი აზრით, რა გეოპოლიტიკური თამაშების მომსწრენი ვართ?

— ვინც ამ პროცესს თვალს ადევნებს და საკითხში გარკვეულია, მას, ბუნებრივია, არც ჰქონდა მოლოდინი, რომ უკრაინას ნატო-ში მიიღებდნენ. სამიტამდე ბაიდენმა „სი-ენ-ენს“ განუცხადა: ნატო-ს ლიეტუვას სამიტზე მიმდინარე წლის 11-13 ივლისს, უკრაინის ნატოს წევრად მიღების საკითხი არ განიხილებაო. ამაში სენსაციური არაფერია. უცნაური უფრო იმ ხალხის განწყობა-მოლოდინებია, რომელთაც ეგონათ, რომ უკრაინას ალიანსში მიიღებდნენ. უკრაინას ვილნიუსის სამიტზე უთხრეს, რომ ნატო-ში მაპ-ის გარეშე მიიღებენ, ოღონდ, ომი მისი გამარჯვებით უნდა დამთავრდეს. ანუ, უკრაინას რუსეთთან ტერიტორიული პრობლემები არ უნდა ჰქონდეს. ეს ცინიკური ფორმულირებაა. უკრაინას კვლავ დაჰპირდნენ შეიარაღების მიწოდებას, მაგრამ ომში ჩართვასა და ნატოში მიღებაზე უარი უთხრეს, რადგან ეს რუსეთთან პირდაპირ დაპირისპირებას გამოიწვევს, რაც მათ ინტერესში არ შედის. თუმცა, ამავდროულად, არც ომის შეწყვეტა აწყობთ და ამიტომ იარაღის მიწოდება გაგრძელდება. აი, ეს მოცემულობა გვაქვს. თავად ზელენსკი სამიტზე ძალიან უცნაურად იქცეოდა. მან თამასა ძალიან მაღლა ასწია — უკრაინელები ვილნიუსის სამიტზე დიდ მოლოდინებს ამყარებდნენ. უკრაინის მეინსტრიმული მედიის ნარატივი ქართული მედიისგან არაფრით განსხვავდება — აბსოლუტურად ცალმხრივი, ტენდენციური და ტყუილებით გაჯერებულია. ომის დროს ეს ბუნებრივია, მაგრამ უკრაინული და დასავლური პროპაგანდა განსაკუთრებული, ფანტასმაგორიული ტყუილებით გამოირჩევა. შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი ამ პროპაგანდის მსხვერპლნი თავად არიან. ძნელად მახსენდება მსგავსი აბსურდული, მასშტაბური პროპაგანდა, რაც დასავლურ თუ უკრაინულ მედიაში მოსალოდნელ კონტრშეტევასთან დაკავშირებით ხდებოდა. ამ ლოგიკით, ივნისში რუსეთის არმია სრულიად უნდა განადგურებულიყო. რუსეთის მეხოტბე როდი ვარ, უბრალოდ, ეს სრული აბსურდია. კონტრშეტევა იმ სიტუაციაში, როცა მოწინააღმდეგე რიცხობრივად, ტექნოლოგიურად არ სჭარბობ, ავიაცია არ გაქვს, რელიეფი ფარული მანევრირების საშუალებას არ გაძლევს, თან მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ ღიად აცხადებ და წარმატებაში ხარ დარწმუნებული, ეს დიდ სიგიჟედ მიმაჩნია. და რა მიიღეს? — ფაქტობრივად, პირველ ხაზსაც ვერ მიუახლოვდნენ, კონტრშეტევა ჩაიშალა, უზარმაზარი მსხვერპლია, რასაც ველარ მალავენ. რაც მთავარია, თუ ასე გააგრძელეს და ამ უაზრობას საკუთარი ჯარი შეაწყვიტეს, უკრაინის რესურსები მალე ამოიწურება. კონტრშეტევა იყო პიარაქცია, რომლის მიზანი ვილნიუსის სამიტზე წარმატების მიღწევა გახლდათ. ბუნებრივია, ამით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. ნატო-ს ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება ცინიკურად გამოხატა — თითქოს უკრაინის ხელისუფლება დამნაშავეა, რადგან მას საკმარისი შეიარაღება მიაწოდეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერაფერს გახდა. ზელენსკი სამიტზე გარიყული იყო. ასეთი უცნაური სურათი დაიხატა.

— რამდენად დასრულდება ეს დაპირისპირება უკრაინით, ხომ არ გადასწვდება კონფლიქტი ნატო-ს წევრ ქვეყნებსაც? ნატო-ს ფართომასშტაბიანი წვრთნები მომავალი ომისთვის მზადებაზე ხომ არ მიანიშნებს?

— იმდენად რთული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, ეთნოგეოპოლიტიკური თუ სხვა სახის პრობლემებია ერთმანეთთან კომპლექსურად გადაჯაჭვული, რომ ზუსტი პროგნოზი შეუძლებელია. გარდა ამისა, ეს ხომ იზოლირებულად არ ხდება, მთელ პლანეტაზე პარალელურად სხვა პროცესებიც მიდის და როდის, რომელ წერტილში რა იფეთქებს, არავინ იცის. ჩამოგითვლით რამდენიმე ლოკაციას, სადაც ნებისმიერ დროს შეიძლება ვითარება გამწვავდეს, რაზეც საინფორმაციო სივრცეში არ საუბრობენ. მაგალითად, ქაშმირის კონფლიქტი, რომელიც 1947 წლიდან გრძელდება ინდოეთს, პაკისტანსა და ნაწილობრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ქაშმირის მფლობელობაზე. სამივე სახელმწიფო ამ პროვინციაზე პრეტენზიებს აცხადებს. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ სამივე სახელმწიფოს ატომური იარაღი აქვს. არანაკლებ პრობლემატურია ტაივანის საკითხი, სადაც 2024 წლის არჩევნებს, შესაძლოა, გამწვავება მოჰყვეს, რასაც აღარ მალავენ. აქვე, მოგეხსენებათ, ჩინეთი ამერიკის სტრატეგიულ მოწინააღმდეგედაა მიჩნეული, რომელიც ომისთვის აქტიურად ემზადება, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ ამერიკელი პოლიტიკოსები. საყურადღებოა თურქულ-ბერძნული წინააღმდეგობებიც, რაც უმწვავეს ხასიათს იძენს. აღსანიშნავია, თურქულ-ეგვიპტური მძიმე ურთიერთობებიც; ყარაბაღის კონფლიქტი; ასევე, უამრავი კონფლიქტია აფრიკაში, რაშიც სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან ჩართულნი. არც სამხრეთ ამერიკაში ვენესუელას პრობლემა უნდა დავივიწყოთ. ასევე, ჩინეთის განზრახვა, კუბაში სამხედრო ბაზა ააშენოს და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩინეთის „აბრეშუმის დიდი გზის“ სახმელეთო პროექტებთან დაკავშირებული თემა, რაშიც ჩვენც ვართ ჩართულნი. ნურც თავად საქართველო გამოგვრჩება, რომელიც შეიძლება

ზელენსკი სამიტზე გარიყული იყო. ასეთი უცნაური სურათი დაიხატა.

— რამდენად დასრულდება ეს დაპირისპირება უკრაინით, ხომ არ გადასწვდება კონფლიქტი ნატო-ს წევრ ქვეყნებსაც? ნატო-ს ფართომასშტაბიანი წვრთნები მომავალი ომისთვის მზადებაზე ხომ არ მიანიშნებს?

— იმდენად რთული გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური, ეთნოგეოპოლიტიკური თუ სხვა სახის პრობლემებია ერთმანეთთან კომ-

ბინირებული, ჩინეთი ამერიკის სტრატეგიულ მოწინააღმდეგედაა მიჩნეული, რომელიც ომისთვის აქტიურად ემზადება, რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ ამერიკელი პოლიტიკოსები. საყურადღებოა თურქულ-ბერძნული წინააღმდეგობებიც, რაც უმწვავეს ხასიათს იძენს. აღსანიშნავია, თურქულ-ეგვიპტური მძიმე ურთიერთობებიც; ყარაბაღის კონფლიქტი; ასევე, უამრავი კონფლიქტია აფრიკაში, რაშიც სხვადასხვა გეოპოლიტიკური მოთამაშეები არიან ჩართულნი. არც სამხრეთ ამერიკაში ვენესუელას პრობლემა უნდა დავივიწყოთ. ასევე, ჩინეთის განზრახვა, კუბაში სამხედრო ბაზა ააშენოს და ა.შ. რომელი ერთი ჩამოვთვალო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩინეთის „აბრეშუმის დიდი გზის“ სახმელეთო პროექტებთან დაკავშირებული თემა, რაშიც ჩვენც ვართ ჩართულნი. ნურც თავად საქართველო გამოგვრჩება, რომელიც შეიძლება დაპირისპირების პოლიგონად გადაიქცეს. კონფლიქტების გამწვავების გრძელი სია შემთხვევით როდი ჩამოვთვალე — მართალია, ახლა ყველაზე მწვავე უკრაინის კონფლიქტია, მაგრამ მოსალოდნელია ვითარების სხვაგან გამწვავებაც. არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უკრაინის კონფლიქტი შეიძლება აღმოსავლეთ ევროპას გადაედოს. ომის ცხელმა ფაზამ პოლონეთთან ან ბალტიისპირეთთან გადაინაცვლოს, იგივე, სუვალკის დერეფანის გაჭრის შემთხვევაში, რაზეც აქტიურად საუბრობენ უკრაინელი, რუსი, დასავლელი ექსპერტებიც. შესაძლოა, პრიგოჟინისა და სხვა შენაერთები გამოყენებული იქნას საბრძოლო მოქმედებებში ჩასართავად კალინინგრადის მიმართულებით ე.წ. სუვალკის დერეფნის გასაჭრელად, რომელიც ლიეტუვაზე გადის. ეს რასაც გამოიწვევს, ძნელი საპროგნოზო არ არის. ასევე, ორმოცდაათი ათასი გაწრთვნილი რუსი ჯარისკაცის გამოჩენა ქვეყნებში, რომელთაც არც საბრძოლო პრაქტიკა გააჩნიათ და მხოლოდ კარიკატურული სამხედრო ძალა აქვთ, მძიმე შედეგებს გამოიწვევს. აქვე არც ის დაგვავიწყდეს, რომ ბელორუსში უკვე განლაგებულია ტაქტიკური ატომური იარაღი. ბელორუსის სამხედრო უსაფრთხოება, ამ შემთხვევაში, ძალიან მყარია. რთულია ისეთ სახელმწიფოს დაესხა თავს, რომელსაც ატომურ იარაღთან წვდომა აქვს. ეს საფრთხეები აქტუალურია. არსად გამქრალა ზაპოროჟიეს ელექტროსადგურის აფეთქების საფრთხეც. ხომ გახსოვთ, ლამის ზუსტ საათს ასახელებდნენ, თუ როდის აფეთქდებოდა ევროპაში ყველაზე დიდი ატომური ელექტროსადგური. ეს საინფორმაციო ტრიუკი იყო, თუმცა გამორიცხული არაფერია. აგერ, ხომ აფეთქდა კახოვკის დამბა. ასე რომ, ეს ისეთი ტიპის კონფლიქტია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს, იმდენად ბევრი ძალაა მასში ჩართული.

რაც შეეხება სამხედრო მოქმედებების განვითარების შესაძლებლობას, ამჟამად ძალთა განლაგება ასეთია: ბევრს ეგონა, რომ დასავლეთის სანქციები, პლუს სამხედრო წარუმატებლობები რუსეთის სახელმწიფოს დეზორგანიზაციას გამოიწვევდა, რაც დასავლეთს გამარჯვებამდე მიიყვანდა, ანუ რუსეთში ხელისუფლების შეცვლას და მისი მორჩილი პირის მმართველად დასმას შეძლებდა. ეს არ გამართლდა, რადგან რუსეთი უზარმაზარი ქვეყანაა, რომელსაც სტრატეგიული სიღრმე გააჩნია. მართალია, მან დიდი პრობლემებით, შეცდომებით დაიწყო, მაგრამ სახეზეა რუსეთის სამხედრო სამრეწველო კომპლექსის რეგენერაციის პროცესი. ამავე დროს, მისმა ეკონომიკამ ამ დარტყმას გაუძლო. რუსეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც გაცილებით უარესი პროცესები მიდის, მყარად გამოიყურება. ავიღოთ თურქეთი, სადაც ლირა ანტირეკორდებს ამყარებს. იგივე გერმანიაში, ევროპაში ეკონომიკის რეცესიის დასაწყისი, მძიმე პროცესები მიდის. რუსული ეკონომიკა არ გამოიყურება კატასტროფულად, მიზეზი უზარმაზარი რესურსები, საბჭოთა იმპერიული მემკვიდრეობაა, რაც ამათ ვერ გამოხრეს. სამხედრო სამრეწველო კომპლექსის არსებობა გადარჩენის გზაა. ჩვენ გვინდა თუ არა, რუსეთი საუკეთესო ტანკებს, რაკეტებს, თვითმფრინავებს და უამრავი დასახელების სხვა ეფექტურ შეიარაღებას აწარმოებს. ამ წარმოების უკან უზარმაზარი ტექნოლოგიები, სამეცნიერო დაწესებულებების მუშაობა, სამრეწველო სიმძლავრეები და ა.შ. დგას. ჩვენთან უყვართ რუსეთის სამხედრო მიღწევების დაკნინება, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. ამ ადამიანებს, ვინც ქილიკობს, არ ესმით, რა რთული ტექნოლოგია უნდა გამოიყენო, რათა მეხუთე თაობის გამანადგურებელი აწარმოო. სხვათა შორის, ძრავებს ძალიან ცოტა ქვეყანა აწარმოებს, მათ შორის, ერთ-ერთი რუსეთია. მას უზარმაზარი რესურსები აქვს. შეხედულება, რომ უკრაინის არმია რუსეთს დაამარცხებდა და ყირიმს დაიკავებდა, არასერიოზულად მეჩვენება. აქვე ერთიც უნდა ითქვას: უკრაინაში დაწყებული სპეციალური ოპერაცია ისე არ უნდა განვიხილოთ, როგორც მეორე მსოფლიო ომი. დღეს სხვაგვარად ხდება — ეს გახლავთ ომი ვაჭრობით. ერთი მხრივ, მიდის ხოცვა-ჟლეტა, მეორე მხრივ კი რა ხდება? — არ იბომბება ხიდები, რა გზითაც აღმოსავლეთ უკრაინაში შეიარაღება შედის, რაც შესაძლებელს ხდის ამ დაპირისპირებას; ევროპას შეუფერხებლად მიეწოდება გაზი; მეტიც, ოდესის პორტიდან ამიაკის ტრანზიტი აღდგა. ეს ომი მსგავსი პარადოქსებით არის სავსე. აქვე ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ვითარებაში ჩვენი შიზოიდი „სლავაუკრაინელები“ თუ „პუტინოფილები“ ამ ომში ჩაკვეხებისკენ მიისწრაფვიან ისე, რომ ვერც ხვდებიან, რა პროცესში ყოფენ თავს. არადა, ჩვენ ამ ომისგან მაქსიმალურად უნდა ვდისტანცირდეთ. ეს სულ სხვა პროცესია, სადაც ჩვენი ადგილი არ არის. პირიქით, ჩვენ ყველანაირად უნდა ვცდილობდეთ, საქართველო მშვიდობის ზონა იყოს. ეს ჩვენი ზეამოცანაა. ვინც ამას ეწინააღმდეგება, გონებრივად არასრულფასოვანია. ასეთი ხალხის აქტიურობა საშიშია. მათ მოქმედების საშუალება არ უნდა მიეცეთ. თუ ასე არ მოვიქცევით, მთლიანად გავნადგურდებით.

— „სლავაუკრაინელები“ რუსეთში გამოწვეული ქაოსით აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. რა შეიძლება მოჰყვეს ამას საქართველოში და განსაკუთრებით, მის სამხრეთ რეგიონში?

— ჩვენი უსაფრთხოების გარანტია დაცული არანაირად არ არის. საქართველო არცერთი ორგანიზაციის წევრი არ არის, რომელიც მის უსაფრთხოებაზე იზრუნებდა. თვით ნატო-ში გაწევრიანებაც კი არ იძლევა გარანტიას, რომ მისი წევრი ცენტრალური ქვეყნები მეხუთე მუხლს აუცილებლად შეასრულებენ. ვთქვათ, ბალტიისპირეთში პრიგოჟინის რეიდი დაიწყოს, დარწმუნებული არ ვარ, რომ კონფლიქტში აშშ ჩაერევა. ეს პროქსიომი იქნება. ამიტომ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ საქართველოს გამო საკუთარ ინტერესებზე უარს არავინ იტყვის. ჩვენი ქვეყანა შეიძლება გარკვეული პროცესებისთვის შესაწირი პაიკი იყოს. თუ ჩვენ საომარ ვითარებაში ჩათრეული აღმოვჩნდით, ამის მიზეზი შეიძლება ჩვენს მიერ არასწორად გადადგმული ნაბიჯები გახდეს. ვინც ამისკენ გვიბიძგებს, მისთვის ეს მხოლოდ გეოპოლიტიკური თამაშის ნაწილია, საქართველოსთვის კი შეიძლება სახელმწიფოს არსებობის დასასრული გახდეს და ფიზიკურად გავნადგურდეთ. ეს კარგად უნდა გვესმოდეს. ჩვენ არ ვართ სამყაროს ჭიპი. ჩვენ გეოპოლიტიკურად აქტიურ ზონაში ვიმყოფებით, სატრანზიტო გზების პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი ვართ. თუ ჩვენ ისე მოვიქცევით, რომ დიდ გეოპოლიტიკურ ინტერესებს დავუპირისპირდებით, ან დავბლოკავთ და გონივრულად არ ვიმოქმედებთ, ძალიან მძიმე ხვედრი გველის. ასეთი მომენტები ისტორიულად არაერთი გვქონდა. ხელისუფლება ამ ყველაფერს ითვალისწინებს და ფრთხილად მოქმედებს, რასაც დადებითად ვაფასებ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბირთვული ომის საფრთხე მსოფლიოში

ბირთვული იარაღი ომში 1945 წლის 5-9 აგვისტოს, მსოფლიოში პირველად და უკანასკნელად გამოიყენეს, რასაც ხიროსიმასა და ნაგასაკში 230 ათასიდან 300 ათასამდე ადამიანი ემსხვერპლა. ატომური ბომბი აშშ-მ მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანეთის დასახმარებლად და ბრძოლის შესაჩერებლად შექმნა. შედეგად, ხიროსიმასა და ნაგასაკის ნგრევისა და საბჭოთა კავშირის მანჯურიის ტერიტორიაზე შეჭრის შემდეგ იაპონიამ კაპიტულაცია გამოაცხადა.

იმხანად ატომური ბომბის დამზადების შესაძლებლობა მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნდა, თუმცა ეს მალევე საბჭოთა კავშირმაც მოახერხა. ცივი ომის პერიოდში, როცა აშშ და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ემტერებოდნენ, ატომური ბომბის გამოყენების საფრთხე ორივე მხრიდან არსებობდა, თუმცა ეს ვერც ერთმა ვერ გაბედა.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან წამოყენებულ იქნა ბირთვული იარაღის შეზღუდვის კონცეფცია. კომუნისტური მმართველობის დასრულების შედეგ კი ამერიკასა და რუსეთს შორის დაძაბულობა შერბილდა და ომის საშიშროებაც შემცირდა.

მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები დღემდე აქტიურად იბრძვიან ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის გასაძლიერებლად და შემდგომში მის ასაკრძალად. თუმცა, ბოლო პერიოდში, სხვადასხვა სახელმწიფო მაინც განიხილავს ბირთვული იარაღის შეზღუდულად გამოყენების საკითხს, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონკრეტულ სახელმწიფოს, არამედ რეგიონს და მთელ მსოფლიოს. გარდა ამისა, ატომური ტექნოლოგიის განვითარება, წინსვლა და გამარტივება ძალიან დიდ საფრთხეს შეიცავს იმ თვალსაზრისითაც, რომ, შესაძლოა, ტერორისტულმა დაჯგუფებებმა ხელში ჩაიგდონ ბირთვული იარაღი და მისი გამოყენება განიზრახონ. დღესდღეობით, აშშ-ისა და რუსეთის გარდა, ატომური ბომბები აქვთ: ბრიტანეთს, საფრანგეთს, ჩინეთს, ისრაელს, ინდოეთს, პაკისტანსა და ჩრდილოეთ კორეას.

ბირთვული არსენალის შესანახად მსოფლიო ყოველწლიურად კოლოსალურ თანხებს ხარჯავს და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამას მხოლოდ სხვა ქვეყნების „შესაშინებლად“ აკეთებდნენ.

თუკი ამ ყველაფერს ფინანსური თვალსაზრისით შევხედავთ, ბირთვული პოტენციალის შესაძენად, როგორც ამერიკამ, ისე საბჭოთა კავშირმა - დღედღეობით რუსეთმა და სხვა ქვეყნებმა, ვისაც ბირთვული იარაღი გააჩნია, გარკვეული წლების განმავლობაში დახარჯეს ასტრონომიული, კოლოსალური თანხები... ყოველწლიურად ამ არსენალის შენახვა უზარმაზარი თანხა უჯდება თითოეული სახელმწიფოს ბიუჯეტს და საინტერესოა, რისთვის ინახავენ მას, მხოლოდ სხვა ქვეყნების შესაშინებლად? - რა თქმა უნდა, არა. მაგრამ, ჯერჯერობით, ბირთვული სახელმწიფოების ლიდერები ჭკუიდან არ გადასულან და იმ პირველი ფაქტის გარდა, რომელიც, იმედია, უკანასკნელიც იქნება, ათეული წლების განმავლობაში მსგავსი რამ აღარ განმეორებულა.

ამირან სალუქვაძე: არის თუ არა რუსეთი მზად, რომ კაცობრიობის დასასრულს ხელი მოაწეროს?

ბირთვული ომის საფრთხეზე საუბარი უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ გააქტიურდა. რთულია იმის განსაზღვრა, როდის „გადავლენ ჭკუიდან“ სახელმწიფოების ლიდერები და დაარღვევს თუ არა 77-წლიან ტაბუს, კონკრეტულად, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. თუმცა, ფაქტია, რომ აშშ-ისა და მისი მოკავშირე ქვეყნების სადაზვერვო სააგენტოები აძლიერებენ ძალისხმევას, რუსეთის მხრიდან ისეთი კომუნიკაციის გამოსავლენად, რაც, შეიძლება, პუტინის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენებაზე მიანიშნებდეს. თუმცა, ამერიკული გამოცემა **Politico**-ს წყაროებზე დაყრდნობით, რაიმე სახის მინიშნება ამ „წარმოუდგენელი“ გადაწყვეტილების შესახებ, შესაძლოა, ძალიან გვიან გაცხადდეს.

ომის დაწყების შემდეგ პუტინმა არაერთგზის შეფარულად მიანიშნა ბირთვული ან ქიმიური იარაღის შესაძლო გამოყენებაზე, თუმცა მუქარა უფრო მკვეთრი მას შემდეგ გახდა, როცა მან განაცხადა, რომ მზადაა, გამოიყენოს რუსეთისთვის ხელმისაწვდომი ყველა საშუალება. აღნიშნულის შემდეგ კრემლმა განაცხადა, რომ არარეგულარული კონტაქტი აქვს აშშ-სთან ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც, როგორც ჩანს, რიტორიკის შერბილებას შეეცადა და დასძინა, რომ რუსეთი არავის ემუქრება ბირთვული იარაღით. თავის მხრივ, აშშ-ის სტრატეგიული სარდლობის სპიკერმა აღნიშნა, რომ ჯგუფი „ყოველთვის ფხიზლადაა და, საჭიროების შემთხვევაში, საპასუხოდ მზადაა.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მიიჩნევს, რომ პუტინის მუქარა ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენების შესახებ,ყველაზე დიდი საფრთხეა მსოფლიოში კარიბის კრიზისის შემდეგ.

ბაიდენის თქმით, პუტინი არ ხუმრობს, როდესაც ტაქტიკური ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის პოტენციურ გამოყენებაზე საუბრობს:

„პუტინი არ ხუმრობს, როდესაც საუბრობს ბირთვული ტაქტიკური, ან ბიოლოგიური თუ ქიმიური იარაღის პოტენციური გამოყენების შესახებ, რადგანაც მისი შეიარაღებული ძალები, შეიძლება ითქვას, საქმეს ვერ ასრულებენ. მე არ ვფიქრობ, რომ არსებობს შესაძლებლობა, ბირთვული ტაქტიკური იარაღი მსუბუქად გამოიყენო და ყველაფერი არმაგედონით არ დაასრულო“, - განაცხადა **ბაიდენმა**.

მსგავსი რიტორიკა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდშიც არ ყოფილა, როცა მსოფლიო რეალურად იდგა ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის წინაშე.

არც ცივი ომის დროს და არც ცნობილი კრიზისის დროს, ხრუშჩოვის პერიოდში, როცა მსოფლიო ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის წინაშე იდგა, მსგავსი რიტორიკა არ ყოფილა. იყო, რა თქმა უნდა, განცხადებები, მუშტების ბრახუნი, იქიდან კენედი, აქედან ხრუშჩოვი აკეთებდნენ განცხადებებს, მაგრამ პარალელურად დიპლომატია მუშაობდა სიტუაციის განსამუხტად.

ახლა კი, თუ გადავხედავთ სოციალურ ქსელს, მედიას, კვლევებს... იმ დროის განმავლობაში, რაც ომი მიმდინარეობს, გააქტიურდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა დაემართება სამყაროს ბირთვული დაპირისპირების შემთხვევაში.

ფაქტობრივად, პრიგოჟინის ცნობილი ამბოხის დროს გავიგეთ, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის დიპლომატია ამუშავდა. დასავლეთი მაშინ დაინტერესდებოდა ბირთვული იარაღის ბედით, თუ პროგოჟინის ამბოხი წარმატებით განხორციელდებოდა. აქედან ჩანს, რომ საღი აზრი ჯერ კიდევ არსებობს.

ასეთი კვლევები ადრეც იყო, მეცნიერები ამაზე მუდმივად მუშაობდნენ, მაგრამ ახლა რიტორიკაა გამწვავებული და გააქტიურებული. მეტიც, არიან ისეთი სპეციალისტები, მეცნიერები, თანამდებობის პირები, რომლებიც საუბრობენ, რომ ის მოლოდინები, რაც ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგებთან დაკავშირებით გვქონდა, მთლად ისეთი საგანგაშოც არ არის, დებენ კვლევებიდან გამომდინარე საპირისპირო შედეგებს, რომლებიცე ძალიან საგანგაშოა. რაც იყო ადრე, ათეულობით წლის განმავლობაში ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით, ისეთივე მოლოდინებია ამჯერადაც, მხოლოდ რიტორიკაა გამწვავებული, რაზეც პერიოდულად საუბრობს რუსეთის ხელისუფლება - კითხვებს უსვამენ და ისინი პასუხობენ. კითხვები დადგმულია, პასუხები - მომზადებული. იგივე ხდება დასავლეთშიც.

რეალური საფრთხის მიუხედავად, უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მიიჩნევს, რომ ბირთვული ომის საფრთხე „ბლეფია“, ხოლო პუტინის მუქარა სისუსტის მაჩვენებელია, რადგან „ერთია, იყო მკვლელი, მაგრამ მეორეა - სიცოცხლე სუიციდით დაასრულო. ბირთვული იარაღის გამოყენება ნიშნავს ყველა მხარის და არა მხოლოდ მის დასასრულს, ვინც მას გამოიყენებს. ბირთვული იარაღის გამოყენებით მხოლოდ მაშინ იმუქრები, როდესაც სხვა არაფერი არ მუშაობს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი იაზრებს ბირთვული იარაღის გამოყენების ნებისმიერი მცდელობის კატასტროფულ შედეგებს,“ - ამბობს **ზელენსკი**.

ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხის შესახებ საუბრობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილიც**. მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს რომ რადიკალური ოპოზიცია ხელისუფლებაში ყოფილიყო, საქართველო მეორე პოლიგონად გადაიქცეოდა.

გამძაფრებული რიტორიკა მიუთითებს იმაზე, რომ ბირთვული დაპირისპირების ალბათობა იმატებს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბირთვული ომი გარდაუვალია. რისკების ზრდაზე მსოფლიო საუბრობს, კვლევები ტარდება და რისთვის ატარებენ ამ კვლევებს, თუ რისკებს ვერ ხედავენ? ამაშიც ხომ ფული იხარჯება? ვიღაც უკვეთავს კვლევებს, რადგან რისკები არსებობს! საგულისხმოა, რომ, თუკი ბირთვულ სახელმწიფოს ჩააყენებ ჩიხურ სიტუაციაში, შეიძლება საქმე აქამდეც მივიდეს. მეცნიერებმა სავარაუდო ბირთვული ომის მოდელირება შეიმუშავეს. მოდელირების შედეგებით კი გაირკვა, რომ დაიღუპება 5 მილიარდზე მეტი ადამიანი, კერძოდ ამერიკის, ევროპის, რუსეთისა და ჩინეთის მოსახლეობის 98-99%.

დასავლეთი აცხადებს, რომ რუსეთი უნდა დამარცხდეს ამ ომში. თუმცა, რუსეთი არის ბირთვული ქვეყანა, გააჩნია სამხედრო დოქტრინა, სადაც მკაფიოდ წერია, რომ თუ ქვეყნის სახელმწიფოებრიობას საფრთხე დამუქრება, უფლება აქვთ (რაც თავიანთ თავს თვითონვე მისცეს!), სახელმწიფოს გადასარჩენად ბირთვული იარაღი გამოიყენონ. ერთი მხარეა შესაძლებლობები - უზარმაზარი ბირთვული არსენალი, მეორე მხარეა დოქტრინა - ამ იარაღის გამოყენების იურიდიული მხარე, მესამეა - ეყოფათ თუ არა გონიერება, რომ ე.წ. წითელ ღილაკს თითი დააჭირონ. არის თუ არა რუსეთი მიმართული იქითკენ, რომ კაცობრიობის დასასრულს მოაწეროს ხელი? დღეს მსოფლიოში ჩიხური სიტუაციაა, თუმცა, წამყვან სახელმწიფოებს რუსეთ-უკრაინის ომის თავიდან არიდება შეეძლოთ.

ცუდი ისაა, რომ მსოფლიოს ლიდერებს არ ეყოთ იმისი ძალა და გონიერება (ლიდერებიც აღარ არიან ისეთები, როგორებიც ადრე იყვნენ), არ ეყოთ ნება იმისა, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრა შეეჩერებინათ. ხელს აძლევთ ახლა იმაზე საუბარი, რომ, თითქოს, ეს გარდაუვალი იყო, მაგრამ არასდროს არაფერია გარდაუვალი. ამ გზების ძიება ვერ დავინახე და ამიტომ ვამბობ. მცდელობა რომ ყოფილიყო, ეს ჯერ კიდევ გასული წლის 24 თებერვლამდე უნდა დაგვენახა. მანამდე უნდა გამართულიყო მოლაპარაკებების რაუნდი-რაუნდზე, უნდა ჩართულიყო ყველა ქვეყანა მანამდე და არა შემდეგ, როცა უკვე ომი დაიწყო, სისხლი დაიღვარა და ტერიტორიების ოკუპაცია მოხდა. დღეს უკვე ჩიხური სიტუაციაა და ამ ყველაფერმა ბირთვული იარაღის გამოყენების რისკები გაზარდა. თუმცა, იმედია, ამ შემთხვევაში მაინც ეყოფათ გონიერება და სამყაროს დასაღუპად არ გაიმეტებენ.

რეალურად კი, იაზრებს თუ არა კატასტროფის მოსალოდნელ შედეგებს და დააჭრეს თუ არა ხელს საბედისწერო წითელ ღილაკს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი, რთული გამოსაცნობია.

ნონა ქარქაშაძე

ნეტარ არიან მაპიანნი და უმაპონი ნატოსა შინა!!!

თინა ბოკუჩავა რომ გამოენთო ტელევიზიით ვითომ აღშფოთებული და ნიშნისმოგებით რატრატებდა, ვილნიუსში ნატო-ს ისტორიული სამიტი იმართება და არ მიგვიწვიესო, ორივე მოცემულობა დავიჯერე. კი გამიკვირდა, მაგრამ არც გამოვრიცხე. ვიფიქრე, აგერ ახლახან ლგბტ პირებს ვაწყენინეთ და რადგან ამ ე.წ. დასავლეთელებს მათზე ამოსდით ორივე მნათობი, ეტყობა, ასე დაგვსაჯეს თავის ჭკუით-მეთქი. გავიხედე და, აჰა, მივუწვევივართ! უბრალოდ, თინამ კიდევ ერთხელ იცრუა მცირეხნიან მავნებლობაზე გათვლით, მაგრამ „ისტორიული“ რა მხრივ აღმოჩნდებოდა ეს სამიტი, ამის მოლოდინში დავდნი კაცი!

სანამ „ისტორიულობის“ მომლოდინე ვიყავი, ნატო-სთან დაკავშირებით ფიქრებში წავედი და გამახსენდა!

ალბათ, ხუთი-ექვსი წლის წინათ იქნებოდა, ამერიკულ ავტორიტეტულ ჟურნალში **(Foreign Affairs)** დაბეჭდილი სტატიის ქართული თარგმანი რომ ვნახე, რომელიც მთლიანად საქართველოს ეხებოდა. გამოცემა აფასებდა საქართველოში არსებულ მდგომარეობას როგორც ახლო წარსულში, ასევე მიმდინარესაც. არც 2016 წლის წინასაარჩევნო კამპანია დავიწყებოდათ და არც რეფორმების ვრცელი პროგრამა; არც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და არც **NATO**-ში გაწევრიანების სურვილი.

სტატია, რომელიც შესავლით იწყებოდა და ქვეთავებად იყო დაყოფილი, („ტურბულენტობიდან სიმშვიდემდე“ და „გაწევრიანება“) ერთი შეხედვით არაფერს აშავებდა, მაგრამ მეორედ შეხედვით?

როგორც მოდაშია: „მე ასე არ მითქვამს“, „მე ასე არ მიგულისხმია“, „თარგმანშია დეფექტი“ და ა.შ. თუ მსგავსი გამონათქვამები გამოირიცხული იყო. მახსოვს, საქართველოში უხაროდათ, ჩვენ შესახებ სტატიის დასაწერად თვით ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემამ შეიწუხა თავიო. თუ სხვა ფორმით და ოფიციალურად ვერა, ის ნაჯღაბნი სტატია მაშინვე უნდა დაეხიათ თავზე საპასუხო წერილით და აი, რატომ:

ქვეთავში „გაწევრიანება“ (რა ტიპის ორმაგ სტანდარტებს გადააწყდები, წინასწარ არ იცი. მომწყინდა ამაზე ლაპარაკი, შევთანხმდეთ, რომ ყველგან და ყველაფერში ორმაგი სტანდარტებია!) ვკითხულობთ: „2004 წელს **NATO**-ში გაწევრიანებამდე, ბალტიის სახელმწიფოებმა 1990-იან წლებში დასავლეთის ქვეყნებისგან დიდი დახმარება მიიღეს, თუმცა საკუთარი დამოუკიდებლობის უდიდესი პერიოდის მანძილზე საქართველო რუსულ წნეხს, ძირითადად, მარტო უმკლავდებოდა.

უკანასკნელი წლების მანძილზე რუსეთის მტრულმა დამოკიდებულებამ, მათ შორის 2008 წლის ომმა საქართველოსთან და უკრაინის მიმართ განხორციელებულმა აგრესიამ თბილისს თავის ტკივილის კიდევ უფრო მეტი მიზეზი გაუჩინა. **NATO**-ს წევრობა ამ საშიშროებას გააქარწყლებდა და საქართველოს საკუთარ ეკონომიკურ და დემოკრატიულ განვითარებაზე ზრუნვის საშუალებას მისცემდა. საქართველომ უკვე მიიღო მონაწილეობა **NATO**-ს რამდენიმე მისიაში, მათ შორის, ავღანეთში.

სეპარატისტული რესპუბლიკების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ალიანსში გაწევრიანება შემდეგი ლოგიკური ნაბიჯია.

მართალია, საქართველოს **NATO**-ში მიღება რუსეთს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეში პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნებას ცდილობს, გააბრაზებს, მაგრამ **NATO**-მ უნდა აჩვენოს რუსეთს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მას ვეტო-ს უფლება არ აქვს. ევროკავშირისა და საქართველოს თანამდებობის

პირებმა კი ასოცირების შესახებ შეთანხმების წარმატებით დანერგვისთვის ყველაფერი უნდა იღონონ“.

სჭირდება ვინმეს იმის განმარტება ან კომენტარი, რაში მდგომარეობს თურმე საქართველოს „ლოგიკური ნაბიჯი?“

საინტერესოთა შორის საინტერესო კი ის არის, რომ თურმე რუსეთი გაბრაზდება, თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, საქართველოს ძირძველ მიწებზე უარს იტყვის საქართველო და **NATO**-ს ამჯობინებს. **NATO** კი, თავის მხრივ აჩვენებს, ანუ ნიშანს მოუგებს რუსეთს, რომ თურმე ვეტო-ს უფლება არ ჰქონია ამ საკითხზე და რუსეთი დუჟმორეულიღა დარჩება.

ამ ბავშვური წილაბოდიალას დამწერ-გამომცემელი ამერიკული ჟურნალი რატომ იწოდება „ავტორიტეტულად“, მხოლოდ ამ კითხვაზე პასუხიღა დარჩა მისაღები, თორემ ის, რაზეც სტატიაში იყო დაჯღაბნილი, საქართველომ და მისმა მოქალაქეებმა ბევრად ზუსტად იციან — ისიც, წარსულში რა ხდებოდა, ვის რა მიზანი ამოძრავებდა, ამოძრავებს და რას რა შეიძლება მოჰყვეს!..

აბა, **NATO**-ში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე ვის გინდათ? — ეს კითხვა პირდაპირ ვერავინ დასვა, ვერავინ აღმოჩნდა ვაჟკაცი. განა იმიტომ, რომ ვინმე ენას ვერ მოატრიალებდა, არა! იმიტომ, რომ ძალიან ცოტა იქნებოდა ამის მოსურნე და დაითვლებოდა საქართველოს მავნებელთა ის თავები, ჯერ კიდევ ღრმად რომ არიან ჩამალული თხუნელებივით მიწაში, მაგრამ პირველივე ხელსაყრელ მომენტში „მე“-ს რომ დაიძახებენ. ვინც ხმამაღლა ამბობდა: „აფხაზებს აქვთ უფლება, ცალკე სახელმწიფო შექმნანო“, „აფხაზეთს საქართველოს ნაწილად არ განვიხილავო“, „აფხაზეთის აღიარებით საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობა დაიწყებაო“ და ა.შ. დღესაც იგივეს ამბობს და ისედაც ვიცით ვინ არიან, არსად იმალებიან ნატო-ზე შეყვარებულები, აგერ, ახლახან, ბანანების ბარიგა ფადი ასლიც რომ შეემატათ...

თურმეობითში ვცხოვრობთ ნატო-ს წესდებით!

ბუქარესტის სამიტიდან 15 წელი გავიდა და საქართველო ისევ იქ არის, თურმე რეფორმები და ნატო-სკენ სწრაფვა ისევ უნდა განვაგრძოთ. ჩვენი ბიჭების ჯანმრთელობა შეირყა, ჩვენი ბიჭების სისხლი დაიღვარა, ჩვენი ბიჭები მიწას მიებარნენ ამ იდიოტური და არაფრისმაქნისი ნატო-ს დევნაში და ახლა კიდევ უნდა ვდიოთ თურმე; როგორც იმთავითვე, თურმე ისევ ღიაა ნატო-ს კარი საქართველოსთვის, მაგრამ იმდენად არის ღია, რომ ჩვენ ვერ შევეტევით, რადგან უკან რუსეთი გვაბია. ამას არავინ ამბობს, ეს იგულისხმება...

თურმე ისტორიულ გზაჯვარედინზე ვმდგარვართ, მე კი მეგონა, იმთავითვე ისტორიულ ჩიხში ვიდექით...

ამ ჩვენს ჭაჭყანა და ქვეყნის მავნებელ ე.წ. ოპოზიციას ხომ მეტი არ უნდა, ოღონდ „ოცნებას“ დააბრალოს საქართველოს მიმართ ნატო-ს გულცივობა. „ჩვენ რომ პროდასავლური ხელისუფლება გვყოლოდა, ნამდვილად სხვა მოცემულობა გვექნებოდაო,“ — დაბეჯითებით გამოგვიცხადა ხატია დეკანოიძემ და აღარ განმარტა, რანაირი იქნებოდა ის ხელისუფლება და რა მოცემულობა გვექნებოდა, გადაბუგული საქართველო და ზელენსკისავით სახეწაშლილი ხელისუფლება?

ნატო მხოლოდ გერმანია არ არის! თავს იყრუებს რუსეთი, ხაზგასმით არ აღნიშნავს, თორემ, ფაქტობრივად, მცირეოდენი ქვეყნების გამოკლებით, მთელი ნატო ებრძვის ამდენი ხანია, ერთ რუსეთს და რა შედეგიც დევს, ყველა ვხედავთ, უპირველესად კი თვითონ ნატო, ხოლო ნატო თავის მხრივ ხომ არ დაიწყებს ვიშვივიშს, რა ვუქნათ ამ ოხერ დათვს, ვერ ვერევით და მართლა ხომ არ ამოვატრიალებთ დედამიწას, ვესვრით და გვესვრისო...

„ისტორიული“ სამიტი რატომ არის, ჯერ კიდევ ვარკვევ, არ ვიცი, ბოლოში დავაზუსტებ, მაგრამ იმას კი ვხედავ, რომ სამიტიდან სამიტამდე მხოლოდ რუსეთის მხრიდან ოკუპირებული ტერიტორიების მასშტაბები, ლტოვილების რაოდენობა და დაღუპულთა რიცხვი იზრდება,, ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მორბიან, სამხრეთელები ჩრდილოეთს აფარებენ თავს...

ამ „ნატოელებს“ ეს ჰაერზე ლაპარაკი მაინც არ ეზარებათ? ჩაიხვიეს ტექსტი, შეითვისეს პოზა და უტიფრად იმეორებენ ერთსა და იმავეს, გმობენ ოკუპაციას და გვაიმედებენ რაღაცით, ბუნებაში რომ არ არსებობს და სახელიც რომ არ ჰქვია...

მაპ-ზე უკეთესი ხომ მოგვცეს; ასპირანტებიც ხომ ვართ, ახლა უფრო მეტ სწრაფვას რომ გამოვამჟღავნებთ და რეფორმებს გავაგრძელებთ თუ წამოვიწყებთ, რას მოგვცემენ, ნეტავ? 15-წლიანი დაკვირვება საფუძველს მაძლევს ვიფიქრო, რომ სამი თითის კომბინაციიდან სამში ყველაზე მოკლე თითის გარდა არაფერი გვერგება...

ძალიან მონდომებით ვუსმინე და ვუყურე ფრაგმენტებს ვილნიუსიდან მინისტერიალის დაწყებამდე და დანამდვილებით ვიტყვი, რომ უკრაინის მაპ-ის გარეშე მიღება ნატო-ში ნატო-ს ჩვეული ბლეფია. ისეთი ავისმომასწავებელი მზერა ჰქონდა ზელენსკის, ამით ცოტა დააშოშმინეს, თორემ გულშიც არ გაუვლიათ უკრაინის გაწევრიანება ამჯერად. კიდეც რომ დაეყენებინათ ნატო-ში უკრაინის გაწევრიანების საკითხი, მინიმუმ 6 ქვეყანა გერმანიის თავკაცობით, დაბლოკავდა. უბრალოდ, ის 6 ქვეყანა აღარ ჩააგდეს უხერხულ მდგომარეობაში და ზელენსკის ყბაში. ნატო-ს კომუნიკე — „უკრაინის მომავალი ნატოშია. უკრაინის გზა გასცდა მაპ-ის საჭიროებას. უფრო მეტად თავსებადია და პოლიტიკურად ინტეგრირებულია ალიანსთან და მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს რეფორმების გზაზე.“ ნატო-ს კომუნიკე არა სირანას „სემიჩკა“...

აშშ და, ზოგადად, ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნები არავის ეხმარებიან უანგაროდ. ახლა ზელენსკი გაავებულია, რადგან ხვდება, რომ გააბრიყვეს, მაგრამ ვერც აძახებს, აკი, უნდა მიგეღეთ ნატო-შიო?! როგორც ურაინის დასავლეთელი კეთილისმყოფელების საუბრებიდან და მოქმედებიდან ჩანს, ჯერ საკმარისი მსხვერპლი არ გაუღია უკრაინას... მოკლედ რომ ვთქვათ, ზელენსკი ბჭობდა, აშშ და ევროკავშირი ქირქილებდნენო... გნებავთ, ზელენსკის ფიცის სწამდა და ბოლო აკვირვებდაო... დადის გზააბნეული ზელენსკი და მოთქვამს: „უპრეცედენტო და აბსურდულია, რომ დროის ჩარჩო არ არის განსაზღვრული. როგორც ჩანს, არ არსებობს მზადყოფნა არც უკრაინის ნატო-ში მიწვევისთვის და არც მისი ნატო-ს წევრად ქცევისთვისო: გვესმის, რომ ვიღაცას ეშინია, ახლა ნატო-ში ჩვენ წევრობაზე ისაუბროს, რადგან არავის სურს მესამე მსოფლიო ომიო...“

ცოტა გონება გახსნია ზელენსკის, მაგრამ იენს სტოლტენბერგის ნათქვამზე ნეტავ, რა რეაქცია ჰქონდა: „თუ უკრაინა ვერ გაიმარჯვებს როგორც სუვერენული სახელმწიფო, ნატო-ში გაწევრიანების საკითხი საერთოდ არ განიხილება.“ მგონი, ჩვენი „მაპ-ზე უკეთესი“ სჯობდა ხანჯლის ასე გულში ძგერებას...

მაგარია! რუსეთთან ომში მყოფ ქვეყანას ეუბნებიან მისი იარაღით მომმარაგებელი ნატო-ელები, თუ გინდა, რომ ნატო-სა და ევროკავშირში მიგიღოთ, რეფორმები უნდა გაატარო და რუსეთს ომი მოუგოო. ჩვენი მხრიდან კი იმდენ დახმარებას მიიღებ, რაც საჭირო იქნება ომის დაუსრულებლად გაგრძელებისთვისო. ომის დასრულებას არავინ ახსენებს. ამ დროს გაქანებული აღებ-მიცემობა აქვთ გაჩაღებული ყველა ამ ქვეყანას რუსეთთან, ვგონებ, ეკონომიკური ურთიერთობები გაორმაგებულადაც კი განაახლეს მცირეხნიანი სიტყვიერი მაიმუნობის შემდეგ.

რა საინტერესოა, უკრაინამ თუ რუსეთი უნდა დაამარცხოს და მერე გაბრწყინდება, ჩვენ რატომ არ გვთხოვენ არავის დამარცხებას, ხელი ჩაიქნიეს, მაინც არ დაგვიჯერებენო?

კი მაგრამ, უკრაინამ თუ რუსეთს მოუგო ომი, დაამარცხა კორუფცია, გაატარა რეფორმები და ააყვავა დემოკრატია, რაღა ფეხებად უნდა ძირმომპალი ნატო, იქით გაუხდება ნატო-ს სახვეწარი, უკრაინის შემადგენლობაში მიგვიღე მთელი ალიანსიო.

როგორც ვატყობ, ამათ ნატო-ს ჩვენი ნატო ფერაძე ათი თავით სჯობს, იტყვის მკვახედ, ყოველგვარი მიეთ-მოეთის გარეშე და დასტურ, ისეა!

ნეტარ არიან მაპიანნი და უმაპონი ნატოსა შინა!!!

ნინო დაუშვილი

ჩვენ ქართული ენის დასახიჩრებას ვუწყობთ ხელს და არა მის დაცვას

გვესაუბრება ლიტერატურათმცოდნე, პროფესორი სოსო სიგუა:

— ბატონო სოსო, ლომაიას მინისტრობიდან მოყოლებული, განათლების სისტემა მუდმივად რეფორმების გატარების რეჟიმშია. რა მისცა სკოლას ამ დაუსრულებელმა რეფორმებმა?

— იდეაში რეფორმა, თავისთავად, კარგია, თუმცა მთავარია ამას რა შედეგი მოჰყვება. რეფორმა მხოლოდ რეფორმისთვის მიუღებელია. ასე მოხდა ოციოდ წლის წინ, როცა ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობა“ მოვიდა და მან მოინდომა, ყველა დარგში გადატრიალება მოეხდინა. ერთ-ერთი მთავარი განათლების სისტემა აღმოჩნდა. ყველა დროში სახელმწიფოს განათლების სისტემა და ახალი თაობის საკუთარი ინტერესების შესაბამისად აღზრდა სურდა. როცა „ნაციონალების“ ხელისუფლებაში მოსვლისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი შეიცვალა, ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც მათ გადადგეს, კაბინეტების გაუქმება იყო. გააუქმეს კონსტანტინე გამსახურდიას, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა კაბინეტები. ასევე, გაერთიანდა სხვადასხვა ფაკულტეტები. ახლა, ფაქტობრივად, პირველ კორპუსში ლექციები არ ტარდება. ნაცებმა არამხოლოდ ფაკულტეტები დაშალეს, არამედ ძველი პროფესორ-მასწავლებლები საკუთარი შენობიდან გააძევეს. სამწუხაროდ, რაც საკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა — განათლების სისტემა მთლიანად მოშალა, დაანგრია.

ერთხანს დიდი ხმაური ატყდა: სილაბუსია მთავარი, ის უნდა იყოს კარგად შედგენილიო. პროგრამის გარეშე არცერთი საგანი არ იკითხებოდა. სილაბუსით ვითომ გარდაქმნა მოახდინეს. რეალურად, ეს სილაბუსები გაუთავებლად, წელიწადში ხან ერთხელ, ხან ორჯერ იცვლებოდა. ალბათ, 20-25-ჯერ მაინც გადაკეთდ-გადმოკეთდა. სილაბუსი, რაც თავიდან, თითქოს, კარგი იყო, დღეს არაფერს წარმოადგენს. გაცილებით კარგი იყო პროგრამა, რაც მანამდე არსებობდა. რაც შეეხება საგნებს, მათი სწავლებაც შეიცვალა. მაგალითად, ერთი საგანი მხოლოდ ერთი სემესტრი იკითხება. ამ დროში შეუძლებელია საგნის სრულყოფილად დაუფლება.

ნაცების ხელისუფლებაში მოსვლამდე არსებული საბჭოთა განათლების სისტემა, გერმანულ მოდელს ემყარებოდა, რომელიც ბერძნულ-ლათინური განათლების სისტემიდან მოდიოდა. არ მგონია, ამაზე უკეთესი სხვა რომელიმე სწავლების სისტემა იყოს. უბრალოდ, ეს სისტემა იდეოლოგიზებული იყო — მარქსიზმი, ლენინიზმი, იდეური კომუნიზმი, პარტ-ისტორია ისწავლებოდა. ეს იდეოლოგიზებული მარქსისტულ-ლენინური ნაწილი უნდა მოეხსნათ და მივიღებდით საუკეთესო სისტემას. ნაცებმა კი ეს მთლიანად დაანგრიეს.

რა მივიღეთ შედეგად? — დღეს სტუდენტი ლექსიაზე აღარ დადის, ლექტორს ვერც კი ცნობს, არც იცის რა საგნები ისწავლება მის ფაკულტეტზე. ასე რომ, განათლების სისტემა გაუმჯობესების ნაცვლად, განადგურდა. ფაქტობრივად, განათლების სისტემა წინ წასვლის ნაცვლად, უკან წავიდა.

დღეს მსოფლიო მასშტაბით არსებულ 1500 უნივერსიტეტში, ერთი ქართული უნივერსიტეტიც კი არ შედის. მანამდე, როგორც მახსოვს ხუთას უნივერსიტეტში ერთი ჩვენი იყო. ახლა ათასშიც აღარ შედის არცერთი ქართული უნივერსიტეტი. გარდა იმისა, რომ განათლების სისტემის ე.წ. რეფორმა მეცნიერებას ძალიან ცუდად დაეტყო, ჩვენ სტუდენტთა კონტინგენტიც დავკარგეთ. სტუდენტს ლექტორი, ლექცია, წიგნი აღარ აინტერესებს. განათლების სისტემა, ძირითადად, კერძო დაფინანსებაზეა გადასული. ამიტომ, ოღონდ სტუდენტმა გადასახდელი თანხა შეიტანოს და რექტორატი, დეკანი ლიბერალობას იჩენს და მაქსიმალურს თუ არა, ისეთ ქულებს უწერს, რომ საგანი ჩაბარებულად ჩაეთვალოს. საგნები კი როგორც გითხარით, თითქმის ყველა ფაკულტეტზე ფორმალურად იკითხება.

— ახლა ახსენეთ, საბჭოთა კავშირის დროს გერმანული მოდელით ხდებოდა სწავლებაო. ახლა რა მოდელით ასწავლიან?

— ახლა ამ მოდელს „ბოლონიის პროცესს“ ეძახიან. როგორც ვიცი, ამ მოდელს უკვე თავად ამერიკაც კი უარყოფს! მისი მეშვეობით სამეცნიერო ცოდნის კი არა, არამედ პოპულარული განათლების მიღება ხდება. ანუ, სტუდენტი ზოგად ცოდნას იძენს, რაც სამეცნიერო კვლევა-ძიებისთვის საკმარისი არ არის. ეს მოდელი არ იძლევა სამეცნიერო ცოდნის ბაზისს და არ კმარა სპეციალისტების მოსამზადებლად. ადრე ორი დისერტაციის დაცვა ხდებოდა, ახლა — ერთის. თითქოს ფორმალურად ეს ცხრაწლიანი სწავლება ძალიან კარგია, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს არ მუშაობს. რასაც ახლა სადოქტორო დისერტაციას ეძახიან, ჩვენს დროს ამას სადიპლომო ნამუშევარი ერქვა. ანუ, ეს სადოქტორო დისერტაციები სადიპლომო ნამუშევარის დონისაა. ამას დისერტაცია, სამეცნიერო ხარისხი არ ჰქვია. ახლა იცით, როგორ ხდება? — სტუდენტი რაღაც საკითხს ითვისებს და მერე ამას წერილობით გადმოსცემს. კი არ იკვლევს, სიახლისთვის კი არ იბრძვის, არამედ რაც ისედაც მოცემული იყო, უბრალოდ, საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს ისე, როგორც დიპლომის დაცვისას იქცეოდნენ ჩვენ დროს. ამას ეძახიან სადოქტორო დისერტაციას. არადა, მეცნიერება, ფაქტობრივად, იგნორირებულია. იმედიც არ ჩანს, რომ მდგომარეობა გამოსწორდება.

— ილიამ ანდერძად ცნობილი ტრიადა: ენა, მამული, სარწმუნოება დაგვიტოვა. რა მდგომარეობაა სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების კუთხით?

— ქართული ენა არ ისწავლება. ერთ-ერთი ინსტიტუტის რექტორმა ბრძანა: ქართულ ენას რა სწავლა უნდა, ხომ ვიცით ყველამ ქართული, რაღა საჭიროა მისი სწავლებაო. მათ ქართული ენის სამეცნიერო სწავლების არსი არ ესმით. მას, ალბათ, ეგონა, რომ ქართული ენა ქართული მეტყველების სწავლებაა და მეტი არაფერი. ქართული ენა, როგორც სამეცნიერო დისციპლინა, ისე ისწავლებოდა, თორემ ქართულად ლაპარაკი რომ ყველას შეგვიძლია, ეს გასაგებია.

— მავანი უკვე საუბრობს იმაზე, რომ მალე მსოფლიოში სახელმწიფო ენა მხოლოდ ინგლისური იქნება...

— საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული. როგორ შეიძლება, ჩვენ მეორე სახელმწიფო ენად ინგლისურის გამოყენება დაგვჭირდეს?! ამჯერად, გაეროს ორასი ქვეყნიდან, დაახლოებით, 65-ში სახელმწიფო ენა ინგლისურია. მაგრამ იმ ქვეყნებში სპეციფიკური მდგომარეობებია. მაგალითად, ინდოეთში სახელმწიფო ენა ინგლისურია, რადგან ინდოეთს გამაერთიანებელი, ერთი ენა არ აქვს. იქ ოთხი-ხუთი ენაა. მოგეხსენებათ, ინდოეთი ერთხანს ინგლისის კოლონია იყო და იქ ინგლისური ენა ფართოდ გავრცელდა. ამიტომ სახელმწიფო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ინგლისური ენა შეენარჩუნებინა, რომელიც ბენგალიურ თუ სხვა ინდურ ენებს თავს ერთად მოუყრიდა და სახელმწიფოს გამაერთიანებელი ფაქტორი იქნებოდა. დაღესტანში ოცდაერთი ენაა, აქედან ხუთი — სალიტერატურო. ოცდაერთი ენის არსებობა ნიშნავს, რომ ამ ორმილიონიან სახელმწიფოში ერთმანეთის თითქმის არავის ესმის. ამიტომ მათი გამაერთიანებელი ენა რუსულია. სხვანაირად წარმოუდგენელია, ოცდაერთ ენაზე მოლაპარაკე ერთი ეროვნების ხალხი იყოს. როცა ასეთი სპეციფიკური ვითარებაა, მაშინ გასაგებია, გამაერთიანებელ ენად ინგლისური თუ სხვა ენა იყოს. ჩვენთან არსებობს სვანური, მეგრული, ქართული, ლაზური ენები. მაგრამ ქართული ენის პრობლემა არც სამეგრელოში და არც სვანეთში არასდროს შექმნილა. ამიტომ ჩვენ არ გვჭირდება სხვა ენა, რომელიც ამ ოთხ ქართველურ ენას გააერთიანებს. მათ აერთიანებს უძველესი ქართული ენა, რომელიც ოდითგანვე საეკლესიოც იყო და სალიტერატუროც.

როცა საქართველოში რუსული ენა მძლავრობდა, ქართულ ენას დიდი ყურადღება ექცეოდა. ყველანაირად ვცდილობდით ქართულ მეტყველებაში, ლიტერატურაში ბარბარიზმები არ შემოსულიყო. ახლა პირიქითაა. ფაქტობრივად, ჩვენ ხელს ქართული ენის დასახიჩრებას ვუწყობთ და არა იმის დაცვას, რაც გაგვაჩნია. ხომ შეიძლება კალკის, ბარბარიზმის გამოყენების ნაცვლად, შესატყვისი ეკვივალენტი მოვძებნოთ, რათა ქართული ენა უცხო სიტყვებით არ ავავსოთ! ახლა კარგ ტონად ითვლება, მეტყველებაში რაც უფრო მეტ უცხო სიტყვას — ინგლისურს, ფრანგულს თუ სხვას გაურევ და მშობლიურს უარყოფ. შედეგად, ირღვევა არამარტო ლექსიკა, არამედ სინტაქსიც. ზეპირსიტყვიერებაში სულ სხვა მეტყველება შემოდის. მაგალითად, ქართულში გვაქვს სიტყვა „ვაი“. ეს სიტყვა არ მოსწონთ და სურთ დაამკვიდრონ „ვაუ“. „ვაუ“ მას, ვისაც ამგვარი სურვილი და ტენდენცია გააჩნია.

— ზემოთ ახსენეთ, ხელისუფლებამ არაფერი შეცვალა და ისევ სააკაშვილისდროინდელი განათლების სისტემა დატოვაო. ხომ არ დადგა დრო, აღდგეს ეროვნული განათლება?

— სამწუხაროდ, ამ ხელისუფლებამ მემკვიდრეობად მიიღო ის, არც სააკაშვილმა გააკეთა — არც არაფერი უარყო, არც არაფერი შეცვალა და ის გზა განაგრძო, რაც ნაცებმა დაიწყეს. რა თქმა უნდა, მივესალმები, თუ ეროვნული განათლება აღდგება.

— მაშინდელ ხელისუფლებას აწყობდა იმის აფიშირება, რომ აქ განათლების დონე დაბალი იყო?

— დიახ, დიახ, და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ დახმარება, კრედიტები, შეღავათები მიგვეღო. მაგრამ არ გაითვალისწინეს, ამას რა პრობლემები მოჰყვებოდა. ამ ყველაფერმა კულტურა, ხელოვნება, მეცნიერება ძალიან დააზარალა.

დღეს ისეთი საგანმანათლებლო სისტემაა შექმნილი, რაც მომავალში რაიმე მნიშვნელოვან პროგრესს გამორიცხავს. წიგნი, გაზეთი, ჟურნალი აღარავის უნდა. როგორ უნდა წააკითხო კაცს ძალით რომანი, ლექსი. სტუდენტი წიგნს არ კითხულობს, ჩახედავს ინტერნეტში „ფეისბუქს“, კომპიუტერიდან ორ სიტყვას ამოიკითხავს, დაწერს, ჩააბარებს გამოცდას და კომპიუტერი თავად უწერს ქულას. სტუდენტს ლექტორი აღარ სჭირდება. სტუდენტსა და ლექტორს შორის კონტაქტი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ლექციებზე დასწრებაც თავისუფალია. სტუდენტს შეუძლია ლექციაზე მივიდეს ან არა. გამოცდას კომპიუტერს აბარებს, საკითხები კომპიუტერში წინასწარ არის ჩატვირთული და ლექტორი სავსებით ზედმეტია.

— აღზრდის პრობლემაზე რას იტყვით, ნეოლიბერალები გვეუბნებიან, რომ აღზრდა პიროვნებაზე ძალადობაა...

— მოდი, ამ კითხვას ასე ვუპასუხებ: ჩვენ ტერიტორიები გვაქვს დაკარგული. ომში სიკვდილი არავის უნდა, ცეცხლის წინა ხაზზე სიხარულით არავინ მიდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯარისკაცი იღუპება. სხვანაირად ქვეყნის დაცვა არ ხდება. ის კი არა, როცა პოლიციელი წესრიგს იცავს, ისიც კი ეწირება თავისი მოვალეობის შესრულებას. მეორე მხრივ, არცერთი სტუდენტი, მოსწავლე თავდაპირველად ქიმიის, ფიზიკის შესწავლას, სიხარულით არ იწყებს. ძალდატანების გარეშე მათემატიკის, ტრიგონომეტრიის სწავლას არავინ დაიწყებს. მერე, თანდათან, როცა საგანს აითვისებს, შეიძლება მისით დაინტერესდეს. მაგრამ როგორ შეიძლება სიხარულით მოჰკიდო ხელი შენთვის სრულიად უცნობი — ჩინური ენის სწავლას. ამისთვის გარკვეული შრომა, წინააღმდეგობის დაძლევა უეჭველად მოგიხდება. ამიტომ გარკვეული ძალდატანება აუცილებელია. ცოდნას რომ შეიძენ, მერე შეიძლება ინტერესი გაგიჩნდეს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქაქი იყოს, თორემ ბუზი

პოლონელი ექიმების 5-კაციანი ჯგუფი, მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფასებლად, კლინიკა „ვივამედში“ 12 ივლისს შევიდა. 14 ივლისს კი, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა განცხადება და შესაბამისი ვიდეოკადრები, სადაც აღნიშნულია, რომ სააკაშვილისგან აღებული ნიმუში ერთ-ერთმა პოლონელმა ექიმმა ქაღალდში გადაახვია, წინდაში შეინახა და ფეხსაცმლის მეშვეობით, მის ფარულად გატანას შეეცადა.

პოლონეთის საელჩოს, პოლონელი ექიმის ქმედების გამო, განმარტებების გაკეთება მოუხდა. სწორედ მათი რეკომენდაციით მოხვდა სააკაშვილის პალატაში პოლონელ ექიმთა ჯგუფი, მათ შორის, ნეიროქირურგი, 46 წლის არტურ ზაჩინსკი, რომელმაც ფეხსაცმელში დამალული ბიოლოგიური მასალის მოპარვა სცადა. დაზუსტებით არავინ იცის, რაში სჭირდებოდა პოლონელ ექიმს სააკაშვილის თმა და ფრჩხილები, თუმცა, „ქურდობის“ ფაქტი გასაკვირი იმიტომაც არის, რომ უცხოელი ექიმებისთვის ნიმუშის კანონიერი გზით გატანა არავის აუკრძალავს.

უწყების ინფორმაციით, ექიმმა ლოგიკურად ვერ ახსნა თავისი ქმედება, თუმცა, ახსნა-განმარტებაში, დაადასტურა ნიმუშის ფარულად გატანის მცდელობის ფაქტი.

ოფიციალური თბილისი განმარტებებს ვარშავის დიპლომატიური მისიისგან ელის და არცთუ უსაფუძვლოდ ეჭვობს, რომ ეს ყველაფერი აღებული მასალის გაყალბების მიზნით ხდებოდა.

ხელისუფლებისა და ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებმა აღნიშნული ფაქტი შემდეგნაირად შეაფასეს:

შალვა პაპუაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე: „გაუგებარია, საერთოდ რა ქცევა იყო. ეს არ არის ჩვეულებრივი ჯგუფი, ეს გახლავთ პოლონეთის მთავრობასთან არსებული სპეციალური სამედიცინო ჯგუფი. როდესაც ასე ბოროტად გამოყენება ხდება ნდობისა და კეთილგანწყობის, ეს სამწუხაროა. გუშინ იუსტიციის მინისტრმა მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს. იმედი მაქვს, მალე მოხდება გასაუბრება პოლონეთის ელჩთან, რათა მისი პოზიციაც დაფიქსირდეს.“

ირაკლი კობახიძე, პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე: „ამას ერთადერთი მიზეზი შეიძლება, ჰქონდეს, ეს არის გაყალბება. არ ვიცი, ექსპერტებს შეგიძლიათ ჰკითხოთ, მაგრამ „არაექსპერტული“ გადმოსახედიდან მგონია, რომ მხოლოდ გაყალბებისთვის შეიძლება გამოიყენო ის ნიმუშები, რომლებიც ფარულად წამოიღო ერთ-ერთმა ექიმმა. ამასთან დაკავშირებით უნდა მოვისმინოთ განმარტებები, მათ შორის, პოლონეთის ხელისუფლების მხრიდანაც. როგორც ვიცი, მათი ინიციატივა იყო ექიმების ჩამოსვლა საქართველოში. მათ დასჭირდებათ ოფიციალური განმარტების წარდგენა, რა და რატომ მოხდა. ამას სერიოზული მოკვლევა სჭირდება. აშკარად ვხედავთ, რომ იყო მანიპულაციის მცდელობა. სხვა მიზნით როგორ უნდა გამოიყენო ეს ნიმუშები, არ ვიცი!

მათ გამოიტანეს ნიმუშები ჩვეულებრივი გზით, რაც სათანადოდ იყო აღებული. არაფერში სჭირდებოდათ დამატებითი ნიმუშები, გარდა ერთი თეორიული ვერსიისა. ეს არის ის, რომ ვიღაცას სჭირდებოდა მანიპულაცია, გაყალბება. სხვა ახსნა ამას უბრალოდ არ აქვს. არ ვიცი, შეიძლება, რომელიმე ექსპერტმა შემოგთავაზოთ ალტერნატიული ახსნა“.

გიორგი ვოლსკი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი: „ერთადერთი, რაზეც შეიძლება ვიფიქროთ, არის ის, რომ პოლონელ ექიმს ე.წ. მარცხენა ეგზემპლარები ჰქონოდა, რათა ჩაენაცვლებინა ის, რაც ოფიციალურად აიღეს და გადაეცათ ლაბორატორიისთვის. რასაკვირველია, ნიმუშების ოფიციალური გადაცემა საკმაოდ სერიოზულ კონტროლს ექვემდებარება. როცა მისი ჩანაცვლების ეჭვი ჩნდება, უნდა ვიფიქროთ იმაზეც, რომ ოფიციალურ ნიმუშებსაც გარკვეული საფრთხე ემუქრება. მივმართავ პოლონეთს, რომ საგანგებო კონტროლი დააწესოს დალუქული ნიმუშების გახსნის და ლაბორატორიაში კანონიერად ჩაბარებულ პროცესზე. როცა პარტიზანულად აღებული ნიმუშის თემა შემოდის, რასაკვირველია, ეს იძლევა საფუძველს, რომ ამ ნიმუშების გაყალბების წინაპირობა იქმნებოდა. პოლონელმა ექიმმა წარმოუდგენელი აქცია ჩაატარა, რაც მიუთითებს საშიშროებაზე, რომ შეიძლება, ოფიციალურად აღებული ნიმუშიც საფრთხის ქვეშ დადგეს.

მიხეილ სარჯველაძე, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

„გახსოვთ, პერიპეტიები სააკაშვილთან შესვლა-არშესვლასთან დაკავშირებით. საზოგადოებამ დიდი ხნის შემდეგ დაინახა, რომ შესვლისთვის ელემენტარული ფორმალური მოთხოვნები როგორც კი დაკმაყოფილდა, არავითარი წინაღობა არ შექმნიათ, რომ შესულიყვნენ და მოენახულებინათ. დასტურდება, რომ არავითარი ნაკლოვანება მკურნალობის მანამდე შეთავაზებულ მეთოდიკას, რასაც „ვივამედი“ და სახელმწიფო სთავაზობდა სააკაშვილს, არ გააჩნია. ეს ინციდენტი იყო ძალიან უსიამოვნო, რადგან ფაქტია, ყველაფერს აზრი დაუკარგა. არ ვიცი, ვინმეს თუ აქვს იმის ილუზია, რომ ჩუმად მოპარული რაღაც ნიმუში იმ ფონზე, როდესაც კონკრეტული მკვლევრებისთვის ნიმუშები ხელმისაწვდომი ლეგალურად გახდა, ამის მიღმა დამატებით ნიმუშის აღება კარგი საქმისთვის და კეთილ-

მეზობლები მყავდა, უსაქმური ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, მოიგდებდნენ ხელში ორ კაპიკს და პოლონეთში გარბოდნენ. 90-იანი წლები იყო. გავიხედავდით და დაბრუნდებოდნენ ხაბაკმოკიდებულები. არ მალავდნენ, რომ იპარავდნენ, პირიქით, კურიოზულ სარისკო შემთხვევებს იხსენებდნენ და გვაცინებდნენ.

გამოხდა მცირეოდენი ხანი და დაიპყრეს საქართველოს მოქალაქეებმა ევროპა. გახმაურებული ამბავი იყო, ქართველები იპარავდნენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდათ. ჩამონათვალში რას არ გადააწყდებოდი კაცი, მაგრამ ქართველს ევროპელის განავალი მოეპაროს, არ გამიგია.

რაღაც უცნაური ტიპები არიან ევროპელები, რა მოიპარონ, აზრზე ვერ მოდიან.

სამყაროც რა უცნაურად არის მოწყობილი, ჩვენ თუ ოქრო-ვერცხლი მოვპარეთ ევროპელებს, ისინი აღშფოთდებიან და დაგვამუნათებენ; მათ თუ განავალი მოგვპარეს, ჩვენ ვშფოთავთ და ვამუნათებთ.

საბჭოთა კავშირის დროს ამბად გამოვიდა, რომ ამერიკის სპეცსამსახურები ლეონიდ ბრეჟნევის ფეკალიების მოპარვაზე იყვნენ გამეცადინებულები, ესენი კი, საბჭოთა „კაგებეშნიკები“, მედგრად იცავდნენ საბჭოთა ბელადის ბიოლოგიურ „მასალას“ („მასალა“ არა, ჰინდის ხურმა, შარდი და განავალი ჰქვია მაგას. კიდევ უფრო დავაზუსტებდი, მაგრამ უხერხულია). მაინც მოახერხეს ამერიკელებმა და ბრეჟნევის შარდი მოიპოვეს, რითიც გაიგეს, რა დაავადებები ჰქონდა მას.

ეს ამერიკელებიც რა დაცურებულები არიან, 75 წლის მოფამფალებული კაცი მოსიარულე „პოლლიტრა“ იყო მჟავე კიტრითა და ლიმონით, ან შაქარი ექნებოდა, ან მარილი. თუ არცერთი არ ექნებოდა და სხვა რამე ექნებოდა, ექნებოდა, რა, რაღა დევნა უნდოდა მის შარდს?

ახლახან, პოლონელმა ექიმმა მიხეილ ფეკალიანისგან აღებული ე.წ. ნიმუში ქაღალდში რომ გადაახვია და ცდილობდა მის მალულად გატანას ფეხსაცმლის თუ წინდის მეშვეობით, რა დიდი შათლახი („ჩანი“ არ ესადაგება) ვინმე ყოფილა. პან კაკაშკას ტვინს იმდენი წარმადობა არ ჰქონდა, გაეაზრებინა, რომ ვიდეოკამერები იქნებოდა აგრერიგად ძვირფასი გვამის აპარტამენტ-პალატაში? ჰქონდა, ჰქონდა და იმიტომაც არის შათლახი. რა ენაღვლებოდა, გასამრჯელო აღებული ჰქონდა და საქმის გამკეთებელი იყო. შეასრულა კიდეც, მოჰქონდა ძმაო და ააგდეს, რა! თუ ასე არ იყო და იმდენად ბრიყვია, რომ აქეთ ვგონივართ ბრიყვები, კი უნდა დატოვონ „ვივამედში“ და სამადლოდ უმკურნალონ, თან დეტექტიურ ფილმებს იძულებით აყურებინონ.

გია ბარამიძე აღშფოთებულია, გაუგებარია, რა ისტერიკა ატეხა ამ სამარცხვინო ადამიანმა, იუსტიციის მინისტრმა, ადამიანს რაღაც ფურცელი ედო წინდაშიო და ბლაბლა, ლაყბობა ლაყბობისთვის. აი, შენ კი ჩაგაქარვა დაპეპლილმა ფაროსანამ შუა ყურში! ჰო, კასპში რომელი დიდი ქვის ქვეშ იდო არსენა მარაბდელის გადამალული ოქრო, იმის ადგილსამყოფელი ეწერა იმ ფურცელზე — ეს რა შუშურიკა ჰყავს გამჩენს! ვინმემ ჩასძახეთ ამ კაბუკის თეატრის ნაფტალინის ტომსიკას, რომ ფურცელი კი არა, ქაქისროლია მიშას მძ&&&ი ჰქონდა გახვეული, მძ&&&ი!

ისე, თუ მიშას დიდებული განავალი იყო, ოქროცურვილი და თვითნაბადი, პოლონელი ექიმის მიერ მისი სამედიცინო დაწესებულებიდან ჩუმად გატანა იმას ნიშნავს, რომ მას ხელისუფლების ნდობა არ აქვსო; იმიტომ არ აქვსო, რომ ეს რეჟიმი იმართება რუსი ოლიგარქის მიერ, ეს არის პუტინის რეჟიმის გაგრძელება და ე.ი. მის მიმართ ნდობა არ აქვთ, ეს არის დასკვნა, რომელიც შეიძლება გამოიტანო, თუ ვინმემ რამე გამოიტანა, როდესაც შეეძლოთ, ოფიციალურად, ნებართვით გამოეტანათო, — აირია ბარამიძე.

— რაო, ვალიკო, რა მინდაო, რას ამბობს ეს მიშას სკინტლი, რა რუსი ოლიგარქი და პუტინიო?

— ეტყობა, მაგათიც უნდათ... ამას კიდე, პატარას პოლონეთის ელჩს ჩამოუჭრიდა და დანარჩენს ანჟეი დუდას წაუღებდა. მე რა ვიცი?

— ცოტაც ევროპარლამენტარებს არ ეკუთვნოდათ?

— ეგენი ისე სწუხან მიშა ფეკალიანის უკანონო პატიმრობასა და წამებაზე, 10-ლიტრიანი ვედროთი ეკუთვნით, მაგრამ აბა, ნაწამები კაცი მაგდენად როგორ გაისარჯება?

ეს შუშურიკა ბარამიძე, ეტყობა, განავალთმცოდნეობაში ღრმად ჩახედული არ არის, ამიტომ ჟურნალისტის ინტერესს პოლონელი ექიმის საქციელის შესახებ, ყველა შეკითხვაზე ფარად უხვედრებდა პასუხს, რომ ბიძინა ივანიშვილმა და მისმა ბანდამ კრემლის მითითებებს არ უნდა გადააყოლონ საქართველოს ეროვნული ინტერესები და არ უნდა ჩაჰყვნენ წაგებისთვის განწირულ რუსეთს.

საინტერესოა, ბარამიძის განავალი იმას თუ აჩვენებს, რომ ეს უსაზღვროდ უტიფარი ტიპი მთლიანად ბიომასაა?

პროტოკოლის დაცვით აღებული იყო მასალა (აიღეს თვითონ პოლონელმა ექიმებმა „ვივამედის“ ექიმების თანდასწრებით). დაილუქა. 1 კონტეინერი წაიღეს, მეორე დარჩა კლინიკაში, რომელიც „ვივამედს“ უნდა გაეგზავნა კვლევაზე.

„წინდებით და ფეხსაცმელებით გამოტანილი მასალა აიღეს მოწმეების გარეშე. რად უნდოდათ, სამეცნიერო თუ ოკულტური მიზნებისთვის, ვერ გეტყვით... ყველაფერს წინდებში ვინახავ, ჯიბეები არ მიყვარსო, — ასე თქვა, ოღონდ, მართლა“, — დაწერა ფეისბუიქზე ნინო ნადირაძემ.

გეუბნებით, ის დროა, იმ პოლონელ ექიმს საზოგადოებრივ საწყისებზე უმკურნალონ!

წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ჯიბეები ისე სძულს, რომ წინდებში უდევს საფულე, მობილური, ცხვირსახოცი, თუ ეწევა, სიგარეტის კოლოფი, სანთებელა და მიშას მძ&&&იც — არ არის სამკურნალო? ჯიბეების სიძულვილი რას ჰქვია, რა ფობიაა, ხომ არ იცით ვინმე ღვთისნიერმა?

„არ ვიცი, ჩემკენ ხელს რატომ იშვერენ, მე არცერთ დონეზე არ ვყოფილვარ, ერთადერთი, თანხმო-

ვარშავიდანაც მოფრინდება!

საქართველოს ვერავინ აქცევს თხუნელად!

მსოფლიოში განთქმული საბავშვო წიგნია „პატარა თხუნელას ამბავი, რომელსაც უნდოდა გაეგო, ვინ უქნა თავზე“. სიმართლის სურვილით შეპყრობილი თხუნელა დადის და ყველას ეკითხება, შენ დამასაქმე თავზეო? შემხვედრი ცხოველები, იმის ნიშნად, რომ მათ არ მოუსაქმებიათ მის თავზე, უჩვენებენ, რანაირია მათი მოსაქმებული. ბოლოს ნეხვზე მოქეიფე ბუზები დააგემოვნებენ და თხუნელას ეტყვიან, რომ ძაღლს მოუსაქმებია მის თავზე...

ბას ვაძლევდი ხოლმე, რომ თანახმა ვარ. მათთან კონტაქტი არცერთ დონეზე არ მქონია... უნდა განემარტათ თვითონ იმათ, ვინც ჩამოიყვანა და ვინც ამ ხალხთან კონტაქტში იყო, მე რა შუაში ვარ?!“ — აღშფოთდა დედა გიული.

მამა-ძია რას ამბობს, დუმილის უფლებას ინარჩუნებს?

საღოლ, მიშა ქაქისროლიაჯან, მაგარი მოთხოვნა ყოფილა შენს ქაქზე, ზოგი კონტეინერით მიარბენინებს, ზოგს „ნასკებით“ გააქვს.

ფრჩხილი, თმა და წარბის ნიმუში თუ იყო, იმას „ნასკები“ და დელა-ოდელა რად უნდა, ჩაიდე ჯიბეში და გაიარე, რა! კარგი, ეგენი იყოს, უხერხულია „ნასკებში“ ქაქი, მაგრამ ხალხს მაინც მიშას ქაქი ჰგონია და გვანაღლეეეე!

რა მაგარი დიალოგი ექნებათ პოლონეთის ელჩსა და ჩვენს საგარეო საქმეთა მინისტრს, თუ ისევ მარიუშ მაშკიევიჩია:

— პან მარიუშ, ჩვენი მიშას ქაქი რად გინდოდათ? — დაადგება თავზე ილია დარჩიაშვილი კაპუეტივით.

— მე არ ვიცი, არ გეახლებით, — ხელებს გაასავსავებს მარიუში.

— იციიიი! — შეუღრენს და თვალებში ჩახედავს ილია დარჩიაშვილი, თან ვითომ შემთხვევით, ქამარში დარჭობილ ყამას დაანახებს...

— ვიტყვი, ვიტყვი! — ახავლდება მარიუში და წმინდა იადვიგას შეევედრება გულში, მიხსენი ამ ველური კავკასიელისგანო.

— დაფქვი დროზე, რა პასუხი გავცე რატი ბრეგვაძეს! — ლომისობაზე დასაკლავი ცხვარივით წამოაქცევს ილია მარიუშს და ისიც დაფქვავს. ჩვენ არ მოგვიყვებიან, თორემ ასე იქნებოდა ნამდვილად. რა იყო, ქაქის მოპარვა თუ ფაქტია, მარიუშის წამოქცევა რაღა დაუჯერებელია ნეტავ, მარიუში მოერევა ილიას თუ?

ერთი რამე ვერ გავიგე — კონტეინერით ფრჩხილი და ბუნტყლი თუ წაიღეს, ამ პან კაკაშკას ქაქი ენთუზიაზმის გამო მიჰქონდა, როგორც დიდი მონაპოვარი?

ისე, რა სასაცილო გასარჩევი საქმეა: ბიჭო, შენ ქაქს რა პონტში იპარავდი? ან კიდევ: პან კაკაშკა, რა განზრახვით მიგქონდათ მიშას ქაქი ევროპაში, ნაწილ-ნაწილ გინდათ გააპაროთ?

„ნაცები“ იქამდე მივიდნენ, რომ მძ&&&ის მოპარვის გაპრავებაც დაიწყეს. ამიტომ ვიძახი ყოველთვის: ნაცობა არის მენტალური დეგრადირებისა და აღვირახსნილობის მდგომარეობა! არ არსებობს საქციელი, რომელსაც ესენი კოლექტიურად არ გააპრავებენ! მათმა ბელადმა ახლა რომ ჭუჭუ გადმოყოს „ვივამედის“ მეხუთე სართულიდან და გადმოაფსას, მივარდებიან, თავს შეუშვერენ და იტყვიან, გამარჯვების ნიშანს გვაძლევსო“, — 100-იანი თქვა გაბი კამაევმა.

„ჩვენ არ ვტოვებთ მეგობრებს გასაჭირში“, — ზოგადსაკაცობრიო საკითხების გადამწყვეტი იერით განაცხადა პოლონეთის პრემიერმა და ქაქიპარია ექიმიც გაჩარხა. რა სამარცხვინოა პრემიერის ეგიდით ქაქის მოპარვა...

რა თქმა უნდა, უკვე ძალიან დიდ ფულზეა საუბარი — მოპარულის დაბინძურების შემდეგ მსოფლიო ნახავდა, რომ საქართველოში სააკაშვილს წამლავენ...

დავით ქართველიშვილი: „ჯონ ლენონის საცვლებისა თუ წიგნების სხვადასხვა აუქციონზე დღემდე კოლოსალურ თანხებად გაყიდვების შემხედვარე პოლონელმა ექიმმაც ლოგიკურად იფიქრა, სააკაშვილის განავალსაც იქნებ დაედოს ადრე თუ გვიან რამე ნორმალური ფასი. თანაც, რატომ „გვიან“, ყოველდღე კვდებაო, იძახიან და რა იცი... რა იცი...

2004 წელს, მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩავიდა კანადის იმჟამინდელი პრემიერი პოლ მარტინი. პუტინთან ერთად „წითელ ხალიჩაზე“ გავლისას, დერეფნის ორივე მხარეს უამრავი ადამიანი ესალმებოდა ორი ქვეყნის ლიდერს. მათ შორის იყო ახალგაზრდა გოგონა, კანადელი ფოტოჟურნალისტი. როდესაც პუტინს მის გვერდით უნდა ჩაევლო, გოგონამ ყველანაირად სცადა მისი ყურადღების მიქცევა შეძახილებით: „მსიე პუტინ! მსიე პუტინ!“ ისიც გაუჩერდა და ჟესტებით ჰკითხა, რა გინდა, სურათი გადავიღოთო? გოგონამ ჟესტითვე უპასუხა, — არა, თქვენ გადამიღეთ სურათიო და აპარატი მიაწოდა. პირადი დაცვის პროტესტის მიუხედავად, პუტინი იმდენად გააოცა ამ უჩვეულო თხოვნამ, რომ მან გოგონა „მიაკარტოჩკა“.

რამდენიმე წელში, კანადის ერთ-ერთ აუქციონზე გოგონას ეს ფოტოსურათი მინაწერით „ფოტოგრაფი — ვლადიმირ პუტინი“ 35 000 დოლარად გაიყიდა.

ხალხი კი გაერთო და სალღიცონო თემად იქცა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფაქტის შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი. ამასთან, ყველა საშუალების გამოყენებით, ეს ვიდეომასალა უნდა მიეწოდოს მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს. ეს აღარ არის ქვეყნის შიდა საქმე, ეს საერთაშორისო სკანდალია და შესაბამის რეაგირებას მოითხოვს სახელმწიფო უწყებების ჩართვით ეფექტური კოორდინაციით საერთაშორისო დონეზე.

როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან ამავე ქვეყნის პრემიერის ეგიდით ჩამოდის ექიმი და კრიმინალივით იქცევა, ცდილობს, კანონის გვერდის ავლით იმოქმედოს მასპინძელ სახელმწიფოში და კარგად აქვს გააზრებული, რას აკეთებს და რატომ, რის ფასად, შემთხვევა კურიოზული აღარ არის! სირცხვილი პოლონეთის პრემიერსა და პოლონელ ექიმს!

საქართველოს ყველა მიმართულების ყველა შიდა საქმეში უცხოელები რატომ ერევიან? მე რომ მედიკოსი ვიყო, უდიდეს შეურაცხყოფად მივიღებდი ჩემს საქმეში ჩემი თხოვნის გარეშე უცხოელი კოლეგის ჩარევას! მე რომ მეეზოვე ვიყო, კულინარი ან თუნდაც განათლების მინისტრი, ასევე შეურაცხყოფილი დავრჩებოდი; პარლამენტის თავმჯდომარე, პრემიერი ან პრეზიდენტი რომ ვიყო, ათმაგად შეურაცხყოფილი ვიქნებოდი...

მოაშორეთ ეს ქაქია ფეკალიანი „ვივამედის“ კომფორტული ზონიდან და პატიმრის სამყოფელ ადგილზე გადააბრძანეთ, ერთი კვირა არ დასჭირდება მსოფლიოს მისი ნამდვილი სახის დასანახად!

დავიღალეთ!



სინდისიერი მოტივებისთვის იქნებოდა გამოყენებული. რაიმე დამაჯერებელი არგუმენტი ამის საპირისპიროდ მე არ მომისმენია. როგორც ჩანს, ვიღაცას, მაპატიეთ ჟარგონისთვის, „ჟულიკური“ ჩანაფიქრები აქვს და ეს არის, სხვა ახსნა მე არ მაქვს. ძალიან ცუდი სანახავი იყო ეს ყველაფერი.“

ეკა სეფაშვილი, მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი: „ფაქტი, რომ პოლონელი ექიმი ცდილობდა გარკვეული მასალის გამოტანას, ვითომ ანალიზების ჩასატარებლად, კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ პოლონელი ექიმების სტუმრობა მიშას ჯანმრთელობის გამოსარკვევად, ემსახურებოდა არა მიშას ჯანმრთელობის საკითხით დაინტერესებას, არამედ იმას, რომ შექმნილიყო ხელოვნური აჟიოტაჟი და დაძაბულობა, ვითომ მიშა სააკაშვილის ჯანმრთელობას ემუქრება რაიმე საფრთხე.

საქართველო-პოლონეთის ურთიერთობაზე ეს საკითხი არ იმოქმედებს, თუმცა ეს არის იმის თვალსაჩინო მაგალითი, როგორ ცდილობენ თუნდაც პოლონეთში, გარკვეული ძალები საქართველოში საშინაო არეულობის შემოტანას, რაც, საბოლოო ჯამში, აზიანებს ქვეყნის შიდა პროცესებს და ქვეყნის რეპუტაციას.“

ზაალ ანჯაფარიძე: „ის, რაც ევროკავშირის წევრმა პოლონეთის სამედიცინო დელეგაციამ იკადრა სააკაშვილის მონახულების შემდეგ, ვფიქრობ, ბევრ ჩვენს მოქალაქეს აუხელს თვალს არა მხოლოდ ევროპაზე, არამედ კიდევ ბევრ სხვა რამეზე. გამოდის, რომ ევროპაშიც მუშაობს ძალიან კარგად პრინციპი - მიზანი ამართლებს საშუალებებს. პოლონეთის ექიმების ჯგუფის კეთილსინდისიერება უკვე სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა.“

ირმა ჭკადუა, ადვოკატი: ვფიქრობ, რომ კლინიკა “ვივამედში” მომხდარმა ფაქტმა პარადოქსული ვითარება შექმნა - სააკაშვილის, მისი ოჯახის და პარტიის მოთხოვნები ჩაანაცვლა საზოგადოების ინტერესმა და ჯანსაღმა მოთხოვნამ, კერძოდ, პასუხები შეკითხვებზე - რა ფარულ სპეცოპერაციასთან გვაქვს საქმე? ვინ დგას ამის უკან? და რა მიზანს ემსახურებოდა პოლონელი ექიმების გამაოგნებელი ქმედება?

ეს ის შემთხვევაა, როცა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ფაქტის შესწავლა და სიღრმისეული ანალიზი. ამასთან, ყველა საშუალების გამოყენებით, ეს ვიდეომასალა უნდა მიეწოდოს მსოფლიოს წამყვან მედიასაშუალებებს.

ეს აღარ არის ქვეყნის შიდა საქმე, ეს საერთაშორისო სკანდალია და შესაბამის რეაგირებას მოითხოვს. სახელმწიფო უწყებების ჩართულობით, ეფექტური კორდინაციით საერთაშორისო დონეზე.

აღნიშნული ფაქტი არ არის მორიგი კურიოზული შემთხვევა “ვივამედში”, მაშინ, როდესაც ევროკავშირის წევრი ქვეყნიდან მოწვეული ექიმი იქცევა, როგორც კრიმინალი, და ცდილობს კანონის და წესების გვერდის ავლით იმოქმედოს სტუმრადმყოფ სახელმწიფოში.

ეს, არა რიგითი შემთხვევაა, არამედ ისტორიული მაგალითია. საქართველოს მოქმედმა პრეზიდენტმა კარგად უნდა გაიაზროს, მომხდარი ფაქტი და გააკეთოს პოლიტიკური შეფასება. დღეს თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს უბრალო შემთხვევაა და საზოგადოებას მალე მიავიწყდება, შეუძლიათ დარჩნენ გიორგი ბარამიძის ნაცოდვილარი განცხადების გულშემატკივრად და ჩადგნენ იმ პოლიტიკოსთა რიგებში, რომელთა სიტყვას საქართველოში დიდი ხანია ჩალის ფასი აქვს.

დავით კალანდია: „ვფიქრობ, რაში დასჭირდა პოლონელ ექიმს მიშას განავლის წინდებით გატანა? პასუხი ვერ მოვიფიქრე; იმ ადამიანის ლოგიკა არ მესმის, ვინც უცხოს განავალს წინდაში იტენის.

რომ ვთქვათ, აკრძალული იყო მიშას ბიოლოგიური მასალის გატანა-მეთქი, გავიგებდი, მაგრამ, არა! გაიტანე რამდენიც გინდა. პირიქით; რაც მეტს გაიტან, კლინიკა მადლობას გეტყვის და შეიძლება, ბონუსად კიდევ სამლიტრიანი ქილით შარდიც გამოგატანონ. ამიტომ, დაბნეული ვარ, ვითარცა ჩინური სინთეტიკური ბრინჯი. იქნებ-და, რაღაც რიტუალია, შავი მაგიის ელემენტი, ამორძალების რეცეპტი, რაც მერე ამის გამკეთებელს ჭეშმარიტ მიშიზმს ჰპირდება? ხომ არიან ორგანიზმები, ვინც რამდენიც არ ეცადა, მიშისტი ვერ გახდა და ამ დროს ხედავს, რომ „მიშიზმი“ ბევრ პრივილეგიას იძლევა. ჰოდა ის პოლონელი ზბიშეკაა თუ გჟეგოჟა, ლენინივით სხვა გზით წავიდა, რათა გამიშისტდეს? - არ ვიცი, ვერ ვხვდები და არ ვიცი. დავგუგლე-მივგუგლე-მოვგუგლე, ვერაფერი განმარტება ვნახე. „დარქნეთშიც“ ფრთხილად შევიხედე, იქაც მხრები აიჩეჩეს... მგონი იშვიათი შემთხვევაა, რომ ჩემმა აზროვნებამ განმარტება ვერ მოუძებნა ამდაგვარ ქმედებას...

— და იქნებ ის ექიმი „პროსტომც“ დეგენერატია?

— შეიძლება ასეც იყოს“...

ზურა ოქხერელი, ნონა ქარქაშაძე

ჭინკა-ნახევარა...

„თუ თავს გავანებებთ იმას, ვის მოსწონს, ან არ მოსწონს ზელენსკის გადაწყვეტილება და პრაქტიკული პოლიტიკური შედეგების ენაზე ვისაუბრებთ, მარტივად დავინახავთ, რომ უკრაინის ომში გამარჯვების შემდეგ, ახალი მსოფლიო წესრიგის დამკვიდრების ერთ-ერთი მცირე ელემენტი იქნება ციხეში სააკაშვილის პირობითი ღარიბაშვილით ჩანაცვლება“, – ახლახან დაწერა მან.

„ღარიბაშვილი იყო იმდენად ხეპრე, რომ მის ფონზე კვირიკაშვილი გამოჩნდა ლამის ძალიან დიდ და მნიშვნელოვან მოღვაწედ. ადამიანები გადაღლილი იყვნენ ღარიბაშვილის მუდმივი აგრესიით და ამ ფონზე გარკვეული შვება მიეცა საზოგადოებას და კვირიკაშვილი მართლაც კარგად გამოიყურება“, – დაწერა მაშინ.

ამთავითვე ვიტყვი, რომ მიკერძოებული ვიქნები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბრმა არ ვარ და ვხედავ, ამ ადამიანს „რაღაც ქვეყანა“ კი არ ანაღვლებს, სამშობლოს ემსახურება რიგით ჯარისკაცად პრემიერის რანგში!

რა უნდა ამ ტყემლის მატლს ირაკლი ღარიბაშვილისგან, რატომ ეტევება, ხომ არ იცით, ეს დიდი ანალიტიკოსი და პრიგოჟინის მესაიდუმლე სამარცხვინო ექსპერტი, დილას რომ იდიოტობას მოისაქმებს სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე და საღამოს სასწრაფოდ ლოკავს?

ამ ჭინკა-ნახევარას „სოკარიდან“ ფულები რომ ჩაუხსნეს, აზერებს რომ დიდ ფულებს სთხოვდა „ბიძოს“ ზურგს უკან; რკინიგზაში რომ გადაზიდვების თემა და „შავი ფული“ ჩაუხსნა ღარიბაშვილმა და ბიუჯეტისკენ მიმართა, იმიტომ ხომ არ არის ხეპრე? იმიტომ ხომ არ ოცნებობს, რომ მისი მტარვალი ღარიბაშვილი გისოსებს მიღმა იხილოს?

ვისაც არ შეარგო ირაკლი ღარიბაშვილმა „გემრიელი ლუკმა“, ყველა მისი მტერი როგორ გახდა? ლოგიკური კია, რომ მტრად გაგიხდეს ის, ვისაც გაუმაძღარ ტუჩებში ხელუკუღმა სტკიცავ, მაგრამ შუბლის ძარღვი თუ არ აქვს ადამიანს, ნაშუბლისძარღვალი მაინც უნდა აჩნდეს...

„მოყევი, „ხუხა“, მოყევი, რა არ გაპატია ივანიშვილმა! თუ არადა, ჩვენ მოვყვებით ყველაფერს...

შენი ღორობის გაშიფვრის დროც მოვა... ილოცე, რომ ღარიბაშვილმა პირი არ გააღოს...

ხოოო, კიდევ – სანამ „ოცნებას“ შეუერთდებოდი, დამენიასთან ზარი გაიხსენე, მერაბიშვილს როგორ უთანხმებდი ივანიშვილთან წასვლას, ანუ თქვენიანი ვარ და „ვინერგებიოო“...

ეს პოსტი გეყოფა ერთი თვე სანერვიულოდ და თუ ფაქტებს მოინდომებ, ხომ იცი, რომ არ გამიჭირდება, ცოცხალია ღარიბაშვილიც და ივანიშვილიც,“ – დაწერა მაშინ სოციალურ ქსელში ჟურნალისტმა ნინო ჯღარკავამ პასუხად.

ხალხი არც ბრმაა და არც ყრუ, კარგად განასხვავებს კაცს და არაკაცს.

მართლაც რომ გასაოცარი ამბავია! ერთი სტალინი ვიცი, რომელსაც საფლავშიც არ ასვენებენ, გარდაცვლილისაც კი ეშინიათ და მეორე ცოცხალი, მაგრამ თანამდებობიდან გადამდგარი ირაკლი ღარიბაშვილი იყო, რომელიც არსად ჩანდა და მაინც ვერ ინელებდნენ, „იქ, სადღაც“ მყოფიც კი აშინებდა მათ... და არა მხოლოდ აშინებდა, კიდევ სხვა რაღაცას მართებდა ამ ქვეყნის მავნებლებს, უცხო ქვეყნების მონათა ნაკრებს, რომლებიც სალანძღავ სიტყვებსაც ვერ უსადაგებდნენ მტკიცებულებითი ხასიათის საფუძვლის არარსებობის გამო...

იცის კი, ქლესა ხუხაშვილმა, რას ნიშნავს ხეპრე“? როგორც ჩანს, თვით ხეპრემ – არ იცის...

თუმცა, ყველას შეუძლია, იყოს ხეპრე და ღალატით გააგრძელოს ცხოვრება – ამას დიდი ადამიანობა არ სჭირდება, – გაიგონოს მუმია-ხუხაშვილმა!

„ნამდვილი კაცობა ისაა, რომ დარჩე მიმზიდველი ქალისთვის, რომელსაც უყვარხარ, ადამიანისთვის, რომელსაც შენი ხვრინვაც კი მოუსმენია, უნახიხარ პირგაუპარსავი, უზრუნია შენზე, როდესაც ცუდად იყავი და ურეცხია შენი ბინძური საცვლები...“ (რონალდ რეიგანი – „წერილები შვილს“)

ხუხაშვილო, ასეთი კი არა, ზოგადად, ქალი თუ გყავს, შენს ხვრინვას რომ მოუსმენს კი არა, შენს დიდხანს სიცოცხლეს რომ ინატრებს, შე ხრონციანო შხამგესლავ!

არ ისვენებს გამხმარი ჭინკა-ნახევარა, ვერ მოეშვა ცრუექსპერტობას და სისულელეებს. ვინ ეკითხება ამ ყოვლისმცოდნე უცოდინარს ვინმე ბაჩიაშვილის, ბიტკოინებისა და კრიპტოვალუტის ამბებს, თანაც ისე ლაპარაკობს, თითქოს ქართული პროდუქტი იყოს რომელიმე.

ან ვინ ჰკითხა აზრი ბიძინა ივანიშვილის შესახებ?

უბრალოდ, ჩვეულებრივი „ნაცია“ და გამჩენი არ ასვენებს, უნდა, რომ პარტიას ემსახუროს, თორემ რა ექსპერტ-მისანიც არის, ბევრჯერ ვნახეთ. რა ქნას, მეტს ვერ ქაჩავს, რაგინდ თავს შემოუძახოს: ახლა მაინც არააცდინო, ბიჭოოო, მაინც ააცდენს. მიზეზი მარტივია, თვითონ დაიბრალა ექსპერტობა, თორემ რა „ტვინგამრუდებული ექსპერტი“ არის, მასზე უკეთ ვინ იცის.

„ასე იცის, კაცს მიუშვებს, ფულს აშოვნინებს და რაღაც მომენტში სულ დაფერთხავსო“, – ბრძანა ხუხამ ბიძინა ივანიშვილის შესახებ.

გააგებინეთ ვინმემ ამ მუმიფიცირებულ ტყემლის მატლს, რომ „კაცს მიუშვებს“ კი არა, კაცს ენდობა, ხოლო როცა დაინახავს რომ ეს კაცი ნდობას არ ამართლებს, კი არ „ფერთხავს“, პასუხს სთხოვს.

ეს ჭინკა-ნახევარა ამდენს იმიტომ ყბედობს, რომ ბოლომდე არ „დაფერთხეს“. ჩვეულებრივი ამბავია, ტიპური „ნაცია“, ისინი კი ბოლომდე „დაუფერთხავები“ დარჩნენ მუდმივად ნერვების ასაშლელად. ამათ ლაყლაყს და მავნებლობას რომ გვასმენინებ, ჩვენ, ხალხმა, რა დავაშავეთ, პატივცემულო ბიძინა? „დაფერთხე“ ესეც ბოლომდე, ზედ თქვენი ნაყიდი ბინაც მიაყოლეთ და ეგებ, ექსპერტობის სურვილი დაეკარგოს?

„ღარიბაშვილი მეორე წრეზე გაუშვა, თორემ ერთხელ მას შეუსრულა კიდეც, მიუშვა, მიუშვა და მერე ყურებში ერთი კარგად წამოარტყა, მერე მიელაქუცა, ილოცა და ისევ პრემიერ-მინისტრის სავარძელში ჩასვა,“ – ვერ მოუნელებია ჭინკა მღილს ღარიბაშვილის ხელმეორედ გაპრემიერება.

ხუხაშვილი ბიძინაზეა დაბოღმილი, ღარიბაშვილზე თუ ორივეზე ერთად და ამასთანავე, ლატენტური „ნაციონალია“ თუ რა სახის გენმოდიფიცირებული არსებაც უნდა, ის იყოს, ვის ენაღვლება, ზის კვერცხებზე და იგესლება თავისი ჭკუით. ფაქტი ერთია, ის მართლაც წუწკობის გამო სახლიდან გაგდებულ წუკლაკ ძუკნას ჰგავს, რომელიც შორს არ მიდის, ისევ ყოფილი სახლისა თუ პატრონის შორიახლოს ტრიალებს და ჰაიჰარად ყმუის, იქნებ, გავახსენდე, პარმაღთან წამოწოლის უფლება მაინც მომცესო...

ისე კი, ჩვენში რომ ვთქვათ, ქალბატონი ჟურნალისტის სკანდალურ ბრალდებებში არაფერი იკვეთებოდა სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების საბაბმიზეზ-მოტივისებრი? ამათმა უაზრო ლოალობამ და „ქართულმა დემოკრატიამ“ ხომ ცალკე შეაწუხა გული!

სიმართლე ერთია: სხვა ქვეყანაში არ ვიცი, მაგრამ ჩემს ქვეყანაში პირველად ვნახე, რომ ყოფილი პატიმრები ტაშს უკრავდნენ შინაგან საქმეთა მინისტრს და ეს მინისტრი მაშინ ირაკლი ღარიბაშვილი იყო...

არ ვიცი, რანაირად შეიძლება, როგორ, რა უნდა მომწიფდეს ბევრ თავსა და გულში ერთნაირად, წამიერად, რომ ქვეყნის №1 პოლიციელს ტაში დაუკრან, პირს, რომლის დაქვემდებარებაში მყოფი უწყება ყველა მათგანის პოტენციური მტერია... სამართლიანობის დამკვიდრების რწმენამ? კი, მაგრამ წინსწრებით? საფუძველი? – მე თვითონ ვიყავი იმ ზღვა ხალხში, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ საჯარო ბიბლიოთეკასთან შევიკრიბეთ.

„მიშას რა?!“ – „დედის ტყ.. აა!“ „მიშას რა?! – დედის ტყ...აა!“ – სკანდირებდნენ პოლიციელების მიერ ალყაშემორტყმული პოლიტპატიმრები თუ ყოფილი პატიმრები (არა მხოლოდ).

ავტომობილიდან გადმოსული შსს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მეორე მხარეს მდგომებმაც რომ დაინახეს და უფრო იქით მდგომებს ინფორმაცია გადასცეს, ირაკლი ღარიბაშვილი ხალხის შუაგულში დგასო, ისეთი ტაში და „ირაკლიიი!“-ს ძახილი ატყდა, შეუძლებელი იყო რამის გაგება.

ავადმყოფურად სუბიექტური უნდა იყოს ადამიანი (ადამიანთა ჯგუფი), პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი არაობიექტურობაში, არაკომპეტენტურობაში, ან თუნდაც მიკერძოებაში რომ დაადანაშაულოს.

ვიღაცის(ებ)თვის პრემიერის ასაკიც საქილიკო იყო, მაგრამ საქართველოს მრავლისმნახველ და მრავალ უბედურებაგამოვლილი მოქალაქეების დიდ უმრავლესობას სწორედ იმაზე სწყდებოდა გული, რომ 32 წლის ისეთი პრემიერი ჰყავდათ, რომელსაც ენდობოდნენ, ეამაყებოდათ, სჯეროდათ

და... იმედიც წაართვეს... ახალგაზრდა კაცი, რომელიც, ფაქტობრივად, გაავებული აფთრებივით ბალანაშლილი ადამიანების ალყაში იყო მოქცეული და მაინც არ ეპუებოდა, პირიქით, შეუპოვრად მიიწევდა წინ ერთადერთი დასახული მიზნის – საქართველოსა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოებისა და ღირსეულად ცხოვრების – მისაღწევად.

რამდენი ლაფის სროლა, მასხრად აგდების, პროვოკაციის მცდელობა, და მსგავსი მავნებლურ-ავკაცური გამოხდომების ცვენა იყო პრემიერის მისამართით, მაგრამ იღიმოდა პრემიერი და განაგრძობდა საქართველოს მოქალაქეების მიერ დავალებული საქმის კეთებას ჩუმად, თვითრეკლამის გარეშე.

გავიდა დრო და საქართველოს პრემიერი ისევ ის ირაკლი ღარიბაშვილია, ხისტი, პირშითქმელი – ამაზე მეტი თავზარდამცემი რა უნდა ყოფილიყო იმ ჯგუფისთვის, ცაში რომ ფრენდნენ, თანამდებობა როდესაც დატოვა.

პრემიერ ღარიბაშვილის მიერ პირდაპირ ეთერში ნათქვამი სიტყვებია: „მე ვარ პირდაპირი ადამიანი. ყოველთვის მირჩევნია ვთქვა ჩემი სათქმელი, თუნდაც ის იყოს ზედმეტი, გადაჭარბებული, გაზვიადებული, მცდარი (არ მაქვს პრეტენზია, რომ შეუმცდარი ვარ) მე ძალიან არ მიყვარს ხელოვნურობა და ძალიან დიდი პროტესტი მიჩნდება, როცა ვხედავ უსამართლობას და ხელოვნურობას. მე შეიძლება, ვცდები, მაგრამ მოსახლეობას აქვს იმის უნარი, რომ მიხვდეს, ვინ არის მტყუანი, ვინ – მართალი“.

რა თქმა უნდა, მოსახლეობას მიხვედრა არ სჭირდება, მოსახლეობამ დანამდვილებით იცის ბევრი რამ და სწორედ ამად წუხდა: ჩვენი „ღარიბა“ მაშინვე ითვალისწინებდა ხალხის აზრს, მართლა ჩვენი იყო, ეს „ახალი მემარჯვენე“ კვირიკაშვილი რა შეუსმენელი ვინმეაო...

ცხრა წლის განმავლობაში რა კატასტროფასაც ტაშს უკრავდნენ და ვინც უკრავდა, დღეს დიდი დემოკრატების სახელით ამეტყველდნენ და უარეს კატასტროფას ითხოვენ, თან ისე, თითქოს ვერ ხვდებიან, რას ითხოვენ, ჰგონიათ, ხალხს თვალში ნაცარს შეაყრიან. აქამდეც შეაყრიდნენ, მაგრამ პრემიერ ღარიბაშვილს, რომელიც მაქსიმალურად საღად აზროვნებს, მათ ქვებუდნობას ერთი თვალის შევლებით ნათლად ხედავს.

ჭინკა-ნახევარა ხუხაშვილთან შეუმდგარი ქალი-პოლიტიკოსი ვინმე ნაცვლიშვილი რა მოსატანია, გაზულუქებული ქალი-მახრა, ქუთაისის ავტოქარხნის ვეშაპოვნა, მაგრამ ისეთი უკადრებელი იკადრა პრემიერ ღარიბაშვილის შვილის მისამართით, ორივე პუტკუნა ლოყაში მწარე სილას იმსახურებდა... თუმცა, რა! აფურთხებენ, დედის წარმომავლობას ახურავენ 24-საათიან რეჟიმში ამ მორალდაქცეულ მახრას, ის კი სახეს უშვერს, ჟუჟუნა წვიმა მოდისო...

გადახვიონ ხელი ერთმანეთს ამ ორმა ბოსტნის საფრთხობელამ და დილა-ღამიანად ერთმანეთს გადაახტნენ სისხამზე...

ალური კუდიანებს!

ნინო დაუშვილი

გიორგი ბაჩიაშვილის სისხლის სამართლის საქმე სახელად – „უმადური“

ბიძინა ივანიშვილს ღალატი ბევრჯერ უნახავს. მისთვის მტრის ბანაკში გადაბარგებული ადამიანების ფერისცვალებაც არაა უცხო, მაგრამ ერთია, შეეგუო პოლიტიკური შეხედულების გამო განაწყენებულ ადამიანთან განშორებას, მაგრამ სულ სხვაა, როცა მადლიერების ნაცვლად, ადამიანისგან უმადურობის მომსწრე ხდები.

იურისტებმა იციან, რომ თაღლითებისთვის მნიშვნელვანია ნდობის ფაქტი. ნდობა არის საშუალება, ხერხი, რომლის საბოლოო მიზანი სხვისი ქონების მოტყუების გზით ხელში ჩაგდებაა. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, თაღლითი ხშირად ნდობის მოსაპოვებლად ყველაფერს აკეთებს, მაგრამ მისი მიზნის გამოცნობა დანაშაულის ჩადენამდე პრაქტიკულად, შეუძლებელია. უბრალო ადამიანს კი არა, თაღლითობის, როგორც დანაშაულის დადგენა ხშირად მოსამართლეებსაც უჭირთ. დახელოვნებული დამნაშავე ისე ოსტატურად, თითქოსდა კანონიერი ელფერით ფუთავს თავის მოქმედებას, ძნელია დაადგინო, წინასწარი განზრახვით მოქმედებდა პირი ასე თუ უნებლიედ.



სამწუხაროდ, სხვა დანაშაულობებთან შედარებით თაღლითობას, როგორც კანონდარღვევას, საქართველოში დღეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. თაღლითობისგან არავინაა დაცული, გიორგი ბაჩიაშვილის შემთხვევა ამის საუკეთესო მაგალითია.

თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის სისხლის სამართლის საქმემ რეზონანსული სახე მიიღო. ის უკვე გასცდა საქართველოს ფარგლებს, რადგან მის ინტერესებს უკვე ამერიკელი ადვოკატიც იცავს. საინფორმაციო საშუალებების ფოკუსში ქვეყნის სხვა საქმეებთან ერთად, ახლა უკვე ეს შემთხვევაც მოექცა, მიზანი ცნობილია - ქართველი მეცენატის საქმიანობისათვის როგორმე ჩრდილის მიყენება.

საზოგადოებისათვის ცნობილია ბიძინა ივანიშვილისა და გიორგი ბაჩიაშვილის ურთიერთობის ისტორია, ყველაფერი გიორგი ბაჩიაშვილის დედის თხოვნით დაიწყო. როგორც მკურნალმა ექიმმა, მან ბიძინა ივანიშვილს შესთავაზა თავისი შვილის, როგორც კარგი ფინანსისტის კანდიდატურა, რომელიც რუსეთში ერთ-ერთ კომპანიაში მუშაობდა. ბუნებრივია, ქართველი მეცენატი დაინტერესდებოდა საფრანგეთში განათლება მიღებული, კომპეტენტური ახალგაზრდის ბედით და როგორც ბევრ ქართველს, მასაც მისცა შანსი, საკუთარ სამშობლოში გააგრძელებინა კარიერა.

13 წლის განმავლობაში ბაჩიაშვილი დასაქმებული იყო ივანიშვილის კუთვნილ სტრუქტურებში. 2019 წლის აპრილამდე ის იკავებდა საქართველოს თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას, ხოლო შემდგომ ამავე ფონდის მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა. ბუნებრივია, ბიზნესმენის დიდი ნდობის გარეშე ბაჩიაშვილი ვერაფერს მიაღწევდა. მისგან ქართველი მეცენატი ერთგულების გარდა, არაფერს ითხოვდა. სამწუხაროდ, ბაჩიაშვილმა ცდუნებას ვერ გაუძლო და სიხარბის გამო განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა.

პროკურატურის ბრალდების არსი

რომ არა „მტკვარიჰესთან“ დაკავშირებული ფაქტი, ბიძინა ივანიშვილისთვის უცნობი იქნებოდა ბიტკოინებთან დაკავშირებული პერიპეტიებიც.

პროკურატურის მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, 2014 წელს, თანაინვესტირების ფონდმა, რომელსაც გიორგი ბაჩიაშვილი ხელმძღვანელობდა, „მტკვარიჰესის“ პროექტი შეისყიდა, რომლის მშენებლობაც წლების განმავლობაში გაჩერებული იყო. თავდაპირველი გათვლებით, პროექტის ჯამური საინვესტიციო მოცულობა დაახლოებით 131 მილიონი დოლარი იყო. ჰესი ექსპლუატაციაში ჯერ კიდევ 2020 წელს უნდა შესულიყო. თუმცა, საბოლოო ჯამში, პროექტის მშენებლობის ღირებულება დაგეგმილთან შედარებით 100 მილიონი დოლარით (რაც კოლოსალური სხვაობაა თავდაპირველ ღირებულებასთან შედარებით), დაახლოებით 235 მილიონ დოლარამდე გაიზარდა და, ამის მიუხედავად, პროექტი დღემდე დასრულებულა.

ამ გარემოებებმა გააჩინა ეჭვები პროექტის და, ზოგადად, ფონდის ხელმძღვანელის, გიორგი ბაჩიაშვილის კეთილსინდისიერების მიმართ. აღმოჩნდა, რომ ბაჩიაშვილი არც ბიტკოინებთან დაკავშირებულ ბიზნესში ყოფილა პატიოსანი. ბიძინა ივანიშვილის ეჭვს ასევე აძლიერებდა ის ფაქტიც, რომ, როგორც აღმოჩნდა, ბაჩიაშვილის ოჯახის წევრებს საქართველოში და საზღვარგარეთ შეძენილი ჰქონდათ უძრავი ქონება.

ბიძინა ივანიშვილს ბაჩიაშვილის კეთილსინდისიერებაში ეჭვი არ ეპარებოდა. სწორედ თანაინვესტირების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად მუშაობისას, 2015 წლის ზაფხულში, გიორგი ბაჩიაშვილმა ივანიშვილს ბიზნესწინადადებით მიმართა და ბიტკოინში თანხების დაბანდება შესთავაზა, რომლის პოპულარობა და ღირებულებაც დღითიდღე იზრდებოდა. ივანიშვილი ამ წინადადებით დაინტერესდა და ბიტკოინების მაინინგში 5 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება გადაწყვიტა.

როგორც თაღლითობაში გაწაფულ ადამიანებს სჩვევიათ, ივანიშვილი დაარწმუნეს ბიზნესის მომგებიანობაში და მას გაუჩნდა სურვილი, საინვესტიციო თანხა პირადი ანგარიშიდან გაეცა, თუმცა ბაჩიაშვილმა თითქოსდა მეტი სანდოობისთვის ურჩია, თანხა „ბანკი ქართუს“ მეშვეობით მისი კომპანიისთვის ოფიციალურად გადაეცა. 2015 წლის აგვისტოში, გიორგი ბაჩიაშვილის მიერ შეთავაზებულ და მის მიერ კონტროლირებად უცხოურ კომპანიას „ბანკმა ქართუმ“ გამოუყო 5 მილიონი აშშ დოლარი სესხის სახით. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ბანკმა სესხი გარანტიის გარეშე გასცა, ხოლო მისი სრულად უზრუნველყოფა ბიძინა ივანიშვილმა პირადი თანხით იკისრა. მიზეზი ნდობა იყო, რომელიც გიორგი ბაჩიაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს შორის არსებობდა.

პროკურატურის ცნობით, მათ მიერვე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2015 წლის ზაფხულში ბაჩიაშვილმა საკუთარი და ინვესტორის მიერ გაცემული თანხებით ბიტკოინის მაინინგში 6 305 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა. მათ შორის ინვესტორის თანხა 5 მილიონ აშშ დოლარს, ბაჩიაშვილისა კი - 1 305 000 აშშ დოლარს შეადგენდა.

ერთი წლის განმავლობაში აღნიშნული ინვესტიციით 24 661.85 ბიტკოინი გამოიმუშავეს, საიდანაც ინვესტორს სუფთა მოგების სახით 8 253.13 ბიტკოინი უნდა მიეღო, თუმცა ბაჩიაშვილმა, რომლის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაშიც იმყოფებოდა მაინინგის შედეგად გამომუშავებული სრული კრიპტოვალუტა, 2017 წლის ოქტომბერში, ინვესტორს ჩადებული ინვესტიციიდან მიღებული სრული მოგების სანაცვლოდ მხოლოდ 536 900 აშშ დოლარი გადასცა, ინვესტორის კუთვნილი დანარჩენი თანხა, 8 253.13 ბიტკოინი კი მიითვისა.

თანხის ინვესტირებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ გიორგი ბაჩიაშვილი შეხვდა ბიძინა ივანიშვილს და გამოთქვა შეშფოთება თითქოსდა კრიპტოვალუტის ბაზარზე არსებული არასტაბილური გაუარესებული მდგომარეობის გამო, მან შეძლო ბიძინა ივანიშვილის დარწმუნება, გაესხვისებინათ გამომუშავებული ბიტკოინები და შედეგად დაებრუნებინათ ინვესტირებული თანხა, რაზეც ივანიშვილი დათანხმდა. მან ბიზნესში მარცხი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვა.

2016 წლის აგვისტო-სექტემბერში გიორგი ბაჩიაშვილმა დაპირებისამებრ, მართლაც დააბრუნა ბანკიდან სესხად მიღებული 5 მილიონი დოლარი, ხოლო დაახლოებით ერთი წლის შემდგომ, „ქართუ ბანკის“ დირექტორს ნატო ხაინდრავას ხელზე გადასცა 536 900 დოლარი, რომელიც მაინინგის შედეგად გამომუშავებული ბიტკოინების რეალიზაციით გზით მიიღო. როგორც აღმოჩნდა, რომ ბაჩიაშვილმა შეცდომაში შეიყვანა ივანიშვილი და მილიონობით დოლარის ღირებულების კრიპტოვალუტა მიითვისა.

მას შემდეგ, რაც დამნაშავე მოტყუების გზით სხვის ქონებას ხელში იგდებს, წინასწარვე მოფიქრებული აქვს მისი გადამალვისა და მისთვის თითქოსდა კანონიერი გზით მოპოვებული ქონების სახის მიცემის ხერხიც. ასე მოხდა ბაჩიაშვილის შემთხვევაშიც. სახელმწიფო ბრალდების ცნობით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების შემდეგ, ბრალდებულმა, დაუფლებული აქტივების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, კრიპტოვალუტის სხვადასხვა საფულეებზე გადატანის ოპერაციების, განაღდების, სხვადასხვა ეკონომიკური თუ სხვა სახის ურთიერთობაში ჩართვის, მისით სარგებლობის, ქონებების შეძენისა და ფლობის, კონვერსიისა და სხვა ქმედებების განხორციელებით, **დამალა** და **შენიღბა** მისი ნამდვილი ბუნება, წარმოშობის წყარო, ადგილმდებარეობა, განთავსება, მოძრაობა, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული უფლებები, რითაც მიღებული უკანონო აქტივების თავისუფლად განკარგვისა და გამოყენების შესაძლებლობა მიეცა. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულმა განახორციელა მითვისებული აქტივების ფლობა და სარგებლობა, გადაცემა, კონვერსია, უძრავი და მოძრავი ქონების შეძენა, ასევე, საწარმო-სუბიექტების მეშვეობით სხვადასხვა ქონებებისა და აქტივების შეძენა, ფლობა და სხვა მოქმედება, რითაც მოახდინა მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებული კრიპტოვალუტის – 8 253.13 ოდენობის ბიტკოინისა და მისი განკარგვის შედეგად მიღებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების ლეგალიზაცია. **ყოველ შემთხვევაში, ასეთია სახელმწიფო ბრალდების პოზიცია.**

როგორც ვთქვით, გიორგი ბაჩიაშვილის ნათესავებისა და ახლობლების სახელზე არაერთი ძვირადღირებული ქონებაა აღრიცხული, რომელიც უდავოდ ივანიშვილის ქონების უკანონოდ მითვისების წყალობით იქნა შეძენილი. ამ ქონებების წარმომავლობა და რეგისტრირების, აღრიცხვის დრო პირდაპირ კავშირშია დანაშაულის ჩადენის ფაქტთან. ამასთან, დღეს გიორგი ბაჩიაშვილი ერთ-ერთი კრიპტოპლატფორმის, კრიპტობირჟის მეპატრონეა, რომლის წარმატება საეჭვოდ ემთხვევა აღნიშნულ მოვლენას.

უწყების ცნობით, ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დიდი ოდენობით კრიპტოვალუტის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე დაიწყო, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ვიმეორებთ,რომ არა „მტკვარიჰესის საქმე“, რომლის რეაბილატაციის საქმეში გიორგი ბაჩიაშვილი იყო ჩართული, ალბათ, ბიტკოინების საქმის ფაქტიც ბიძინა ივანიშვილისათვის ყურადღების მიღმა დარჩებოდა.

წინასასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 31 აგვისტოს 13 საათზე ჩაინიშნა. წინ საინტერესო სასამართლო პროცესები გველის. გიორგი ბაჩიაშვილის ინტერესებს უცხოელი ადვოკატი იცავს და, შესაბამისად, საერთაშორისო მედიაც ჩასაფრებულის პოზიციიდან გვადევნებს თვალს. უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევთ, საბოლოო ვერდიქტი მაინც სასამართლოზეა.

ლევან ჭიღლაძე

გეი-ლუსაკის კანონი

წელკავიანი, შალმოხვეული ვუმზერდი ტელეეკრანს როგორ მიემართებოდა ხალხი ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან ლისის ტბისკენ. მხცოვანი დედაჩემი ჩამეძია: რა ხმაურია, რა უნდათ, ვინ არიანო?

დედაჩემის შეკითხვაზე უცხოური გონებამახვილური ანეკდოტი გამახსენდა და, ფაქტობრივად, იგივე დიალოგი შედგა ჩვენს შორისაც.

— ბერიმორ, რა ხმაურია ქუჩაში?

— გეი-პარადია, სერ.

— მერე, რა უნდათ?

— ერთსქესიან სიყვარულს თხოულობენ, სერ.

— უშლით ვინმე?

— არა, სერ.

— მაშ, რატომ ხმაურობენ?

— პედერასტები არიან, სერ!

ალბათ, ამ ანეკდოტზე უკეთ ვერანაირი განმარტება ვერ გამოხატავს ასე ლაკონურად სათქმელს, „პედერასტები არიან და იმიტომ ხმაურობენ“, მაგრამ ისმის ლოგიკური კითხვა: ისინი ვინღა არიან, ამ ხმაურს რომ მხარს უჭერენ და თვითონ უფრო მეტად ხმაურობენ? ბუნებრივია, ლოგიკური პასუხი იქნება: იგივე პედერასტები და მათი დამცველები.

„გეი მე ერთი ვიცი, ლუსაკი, დანარჩენები პედერასტები არიან!“ — ესეც ანეკდოტების ციკლიდან არის, მაგრამ ასეა...

კაცმა არცთუ ხუმრობით რომ თქვას, გეი-ლუსაკის კანონი რაღაცნაირად ესადაგება გეი-ამბების კანონს. გეი-ლუსაკის კანონის თანახმად, მუდმივი მოცემულობის პირობებში მოცემული აირის ტემპარატურის ზრდა იწვევს წნევის გაზრდას. ახლა ამ კანონში აირის ნაცვლად თქვენ ჩასვით ვინც გინდათ და წნევა ვისაც უწევს, თავადვე მიხვდებით...

რა სჭირთ დასაცავი, ვისგან იცავენ — ამაზე არგუმენტირებული პასუხი ვერავინ, ვერასდროს და ვერსად გასცა, რადგან, თუ სექსუალური უმცირესობები თავიანთი სექსუალური მიდრეკილებების საჯარო „საქმიანობას“, პროპაგანდა-აგიტაციას ან რეკლამას არ ეწევიან, არსად არავინ ერჩის. სექსუალური ორიენტაციის საჯარო გამოხატვა-პროპაგანდაზე თუ მიდგა საქმე, ამ მხრივ ტრადიციული სექსუალური მიდრეკილების მქონე პირთა მოქმედება უფრო დასჯადია, მგონი... მაშ, რატომ ხმაურობენ? — იმიტომ, რომ პედერასტები არიან!

ამბობენ, ენა უძვლოაო — სასქესო ასოც უძვლოა, მაგრამ ძარღვი და ხრტილი მაინც აქვს, ამ ადამიანებს და მათ დამცველებს კი ნუთუ არც ძარღვი აქვთ და არც ხრტილი?

სხვა კითხვა არ დაგებადება, როცა ოჯახის შესახებ ბატონი პრემიერის ინიციატივაზე თამარ ჩერგოლეშვილის გამოხმაურება გაგახსენდება: „ქვეყნის უმაღლეს კანონს დაემატება კიდევ ერთი მუხლი, რომლის მიხედვითაც, მშობელი ბავშვის ფსიქიკის დაცვის მიზნით ვალდებული იქნება, რომ 12-13 წლამდე მათ ატყუოს, რომ ისინი წერომ მოიყვანა. ხოლო თუ ბავშვის კითხვა „დედა, როგორ გავჩნდი?“ მარხვის დღეებს დაემთხვევა, მაშინ მშობელი ვალდებული იქნება შვილის წყაროდ კომბოსტო დაასახელოს.“

ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შემდეგ, ეჭვი მეპარება, არის თუ არა ქართული კონსტიტუციის საფუძველი ქრისტიანული მორალი, მაგრამ მუხლად ოჯახის ცნება იმ ფორმულირებით, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა ჩამოაყალიბა, ტყვიაგაუმტარია!

ისე კი, საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად რელიგიური კუთვნილებისა, ძალიან გვაინტერესებს — ლგბტ ზეიმის ჩატარების მცდელობა 2013 წლიდან დაიწყო, ხოლო ანტიდისკრიმინაციული კანონი, მიუხედავად პატრიარქის თხოვნისა, დაფიქრებულიყვნენ, 2015 წელს შლიგინით მიიღეს. რატომ არ ამოიღებენ ხმას და არ იტყვიან, კანონი არნახული ზეწოლის გამო მივიღეთ, თორემ ამათი კარგიცო? კი, ჩვენით კი ვხვდებით, მაგრამ ნიშანს რომ გვიგებენ, „ნახეთ, თქვენმა „ოცნებამ“ რა მაგრად დაგახურათ ოცნებებიო“, — უილაჯო მდგომარეობაში ვვარდებით და ვერაფრით ვიწმენდთ მოსვრილ პირისახეს...

რატომ არის დღემდე საფრანგეთში „კანონი ცალსქესიანი ქორწინების შესახებ“ პოლემიკის საგნად ქცეული? რატომ ამბობს დღევანდელი იქაური ოპოზიცია, რომ ეს კანონი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და მთელი საფრანგეთი არჩევნებს ელოდება? რატომაა, რომ პირველსავე საპარლამენტო სხდომაზე „მემარჯვენეები“ ამ კანონის გაუქმების საკონსტიტუციო საფუძვლებზე საუბრობენ? ერთი მარტივი მიზეზის გამო — ფრანგული კონსტიტუციის საფუძველთა საფუძველს ქრისტიანული მორალი წარმოადგენს და „ოჯახის“ დეფინიცია ზუსტად ისეა მოცემული, როგორც ეს ღარიბაშვილმა შემოგვთავაზა.

მახსოვს, ამ კანონმა ომარ მაღლაქველიძეც კი აღაშფოთა, თბილისისთვის ცნობილი მოხუცი, აშშ-ის დროშაში გამოხვეული ე. წ. სააკაშვილის ფანი აქციის მონაწილე გოგოებს ღამისთევით რომ ეპატიჟებოდა...

ავსტრალიაში, სადაც მავნებელი მწერების მიერ მიყენებული ზარალი მილიარდობით დოლარს აჭარბებს, მათთან ბრძოლის ორიგინალურ მეთოდს მიაგნეს — ბიოინჟინრებმა მწერები გეებად აქციეს. რენტგენის სხივებით ისე უზიანებენ ქრომოსომებს, რომ მატლისგან მხოლოდ მამრი მწერები იბადებიან. ისინი ისედაც წელიწადში ერთხელ წყვილდებიან და მეცნიერები ფიქრობენ, რომ ამ გზით თანდათან საერთოდ ამოწყდებიან.

მწერისა და ადამიანის გამრავლების შედარება სასაცილოდ მოეჩვენება ვინმეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: თუ მწერი, რომელიც ერთ ჯერზე მილიონობით კვერცხს დებს შთამომავლობის გასაგრძელებლად, გეი-მწერებად გადაქცევის ხარჯზე კი გადაშენდება, რა მოუვა ადამიანს, რომელიც, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მხოლოდ ერთ შვილს შობს და მასაც გეიდ გამოზრდის? დიახ, გამოზრდის და არა შობს, რადგან მხოლოდ იშვიათადაა შემთხვევა, რომ ბავშვი ამგვარი, სქესთან დაკავშირებული გადახრილი ფსიქიკური ანომალიით დაიბადოს. ბატონმა ივა კუზანოვმა თქვა, რომ ვიდრე სქესის შეცვლის გადაწყვეტილებას მიიღებენ ექიმები, პაციენტი მანამდე მკაცრ ტესტირებას გადის, რადგან ერთია, რა უნდა მას და მეორეა მისი ფსიქიკა, ანუ ვთქვათ, მართლა ქალია კონკრეტული მამაკაცი და იმის გამო იტანჯება, რომ მამაკაცური გენიტალიებითაა დამძიმებული, თუ სქესობრივი გარყვნილება უბიძგებს სქესის შეცვლისკენ...

„ნიუ-იორკ პოსტში“ გამოქვეყნდა სტატია ამერიკელ თინეიჯერ გოგონაზე, ეშ ესკრიჯზე, რომელიც ტრანსგენდერი იმის გამო გახდა, რომ ამ თემაზე „ტიკ-ტოკის“ ალგორითმებს უსმენდა და გადაწყვიტა, რომ ეს ის იყო, რაც უნდოდა, თუმცა, შემდგომ მიხვდა რომ შეცდა და „უკან დაბრუნება“ მოისურვა.

„მე ვუყურებდი „ტიკ-ტოკზე“ გავლენიანი ადამიანების ვიდეოებს, რომლებიც ყვებოდნენ, თუ როგორ იხსნა მათი სიცოცხლე ტრანსგენდერებში გადასვლამ. იმ მომენტში მეც ვიბრძოდი და მსურდა, რომ ამას ჩემი სიცოცხლეც გადაერჩინა“,- ამბობს ეშ ესკრიჯი.

დღესდღეობით ამ მოზარდებს „კოვიდის შვილებს“ და „ზეტა“ თაობასაც უწოდებენ. ეში ამ თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია, თავისუფალი დროის უდიდეს ნაწილს ის სოციალურ ქსელში ანალოგიური ვიდეოების ყურებაში

ეშ ესკრიჯი, რომელიც ტრანსგენდერი იმის გამო გახდა, რომ ამ თემაზე „ტიკ-ტოკის“ ალგორითმებს უსმენდა

ატარებდა, სადაც ვირუსული ჰეშთეგები №ტრანსგენდერ და №ტრანს მილიარდობით ნახვებს აგროვებენ. ანალიტიკური ცენტრის კვლევების თანახმად, „ტიკ-ტოკს“ უზარმაზარი გავლენა აქვს 13-დან 17 წლამდე მოზარდების 67%-ზე და შეიცავენ კონტენტს, რაც ბავშვებს ფსიქიკურ და ემოციურ ზიანს აყენებს!

„ნიუ-იორკ პოსტი“ წერს, რომ იმ ადამიანების 13%, რომლებმაც სქესი შეიცვალეს, დროთა განმავლობაში „დეტრანზიშენს“, ანუ ე.წ. „უკან დაბრუნებას“ ახორციელებენ!!!

ეს არის ჩვენი შვილების მოტაცება!

ერთნაირსქესიანები ვერ გამრავლდებიან, შესაბამისად, გაქრებიან, ამიტომ მათ სჭირდებათ ახალი წევრები და ეს მჭა წევრები ამ ასაკის (13-17 წელი) ახალგაზრდობაა, რომელთა სქესობრივ ლტოლვას სხვა მიმართულებით ძალიან იოლად წარმართავენ, რომ არაფერი ვთქვათ იმ საშინელებაზე, რასაც ზოგადად პედოფილია ჰქვია და რასაც პატარა ბავშვებზე „მშვილებელი ლგბტ-ები“ ახორციელებენ...

აღარ ისმის შეკითხვა, ვის გამოჰყავს ეს ე.წ ლგბტ-ები ქუჩაში, ვინ დგას მათ უკან, ვინ აფინანსებს, ვინ ახალისებს, რადგან უკვე ღიად გამოდიან ე.წ. კოლექტიური დასავლეთელები და მათ დამგმობებს გმობენ.

მახსოვს, „იდენტობას“ ნომინაცია „რკინის ტაბურეტი“ ჰქონდა. მისი მფლობელი ის პირი გახდებოდა, რომელიც მოქალაქეთა აზრით, 2013 წელს ყველაზე მეტად გამოირჩეოდა შეუწყნარებლობითა და ლგბტ ადამიანის უფლებებს არღვევდა.

ვინ მიიღო აღნიშნული ორგანიზაციის ჯილდო, „რკინის ტაბურეტი“, აღარ დავინტერესულვარ, მაგრამ რის გამოც ნომინაცია „რკინის ტაბურეტი“ დააწესეს, იმ კუთხით, აღნიშნული „ჯილდოთი“ ყველა ის ადამიანია დასაჯილდოებელი, ვინც მიიჩნევს, რომ ქალი — ქალია, კაცი — კაცი; რომ შვილები ქალმა და კაცმა უნდა გაზარდონ და არა მამამ და მამამ, ან დედამ და დედამ...

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში 66 000 გეი და ლესბოსელი მსახურობს; ლეგენდარული „მი-5“, ბრიტანული დაზვერვა, დღეს 100 პედერასტით არის წარმოდგენილი და სექსუალურ უმცირესობათა დამსაქმებლების ასეულში 62-ე ადგილზეა, რითიც უკან ჩამოიტოვა ბრიტანეთის ხელოვნების საბჭოც კი; ავსტრალიის მთავარსარდალი ამაყობს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ჯარისკაცებით, თუმცა მათი სიმცირით უკმაყოფილოა; გენერალ დევიდ მორისონის მოწოდება იყო, რომ უფრო მეტი ქალი, სექსუალური უმცირესობებისა და მცირე ხალხების წარმომადგენლები გაიწვიონ ჯარში...

ევროპულმა სასამართლომ საქართველო რომ დააჯარიმა 33 500 ევროთი იმის გამო, რომ სექსუალურ უმცირესობებს სახელმწიფო უსაფრთხოების გარანტად არ დაუდგა ქალაქის მთავარ გამზირზე სვლის შემთხვევაში, ბრიტანეთმა 2000 წელს მიიღო ევროპული სასამართლოსგან სუსხი — ბრიტანულ ჯარში ჰომოსექსუალების სამსახურზე აკრძალვა მოიხსნა, რადგან ეს აკრძალვა მოქალაქის პირად ცხოვრებაში უხეშ ჩარევად შეფასდა (ამერიკელი გენერლის მიერ ხუმრობით ნათქვამი სიტყვებია: „ჰომოსექსუალთან ერთად შეტევაზე ვერ წავალ, წინ მტერს ვუყურო თუ უკან — თანამებრძოლს...“)

2012 წლის 27 ივნის, პენტაგონის ისტორიაში პირველად, არატრადიციული ორიენტაციის სამხედრო მოსამსახურეთა პატივცემი ღონისძიება გაიმართა. დამსწრეებს პრეზიდენტ ობამასა და თავდაცვის მინისტრ ლეონ პანეტას ვიდეომიმართვები გააცნეს, თუმცა ყველამ შენიშნა, რომ ღონისძიებას პენტაგონის მაღალჩინოსნები არ დაესწრნენ. „ეს მდუმარე პროტესტს ჰგავს“, — გაენდო ჟურნალისტებს ერთ-ერთი დამსწრე...

ალენ დელონი: „მე არ ვეწინააღმდეგები ერთსქესიანთა ქორწინებებს, რადგან მაგრად ფეხებზე მკიდიან, მაგრამ ვეწინააღმდეგები მათთვის ბავშვების მიშვილებას. მეტყვიან, რომ ადაპტირება უნდა მოვახდინო და დროს ავუწყო ფეხი... რას ვიზამთ, ძალიან ცუდი აზრის ვარ ჩვენს ეპოქაზე, რომელიც ყველაფერ არაბუნებრივს ნორმად აქცევს. ვრისკავ — სულელ ბებრუხანად გამოვჩნდე, მაგრამ მაინც ვამბობ: ყოველივე ეს შოკში მაგდებს!“

კვლავ ზემოთხსენებულ ანეკდოტს მივუბრუნდეთ;

— მაშ, რატომ ხმაურობენ?

— პედერასტები არიან, სერ!

სწორედაც რომ „პედერასტები“ არიან და სხვა არაფერი, თორემ მართლაცდა, ვინ უშლით თავიანთივე სქესის სიყვარულს თავიანთსავე საძინებელში?

ზურა ოჩხერელი

უპირველესი ამოცანა საქართველოს ზნეობრივი გადარჩენაა!

ამას წინათ კერძო სამხედრო კომპანიის საჯარისო კორპუსის ე. წ. ამბოხი რომ მოაწყო ამ კორპუსის მეთაურმა და ეს ამბოხებული კორპუსი სრული სამწყობრო წესრიგით მოსკოვისკენ რომ დაძრა, რაც სულელი ,,ექსპერტი“ იყო საქართველოში, ყველანი გარეთ (ანუ ტელევიზიებსა და სოციალურ ქსელებში) გამოცვივდნენ და ,,ბრძნული“ პროგნოზები და წინასწარი დასკვნები გამოფინეს, სულელები კი, რომლებიც თავზე საყრელად გვყავს, ქუჩებს მოედვნენ ჟივილ-ხივილით: რუსეთი განადგურდა, დაიშალა და მისი პრეზიდენტი და მთავრობა ტაიგის ტყეებში იმალებიანო. ერთი ნამეტნავად სულელი გახარებული ყვიროდა, ,,გოუ ჟენია, გოუ!“ (ანუ ქართულად თუ მოვთარგმნით: მიდი ჟენია, მიდიო). ამის შემყურეს ერთი ძველი იგავი გამახსენდა: ერთი ახალგაზრდა კურდღელი ტყის ბილიკზე მორბოდა და იძახდა: გაიხარეთ ძმებო, ტყეში მკვდარი მგელი ვნახეო. ბილიკზე მოხუცი კურდღელი შემოხვდა, გააჩერა და უთხრა, რა გიხარია, შე სულელო, ერთი მკვდარი მგელი გინახავს, განა სამგლეთი ამოწყდაო.

იმ სულელ კურდღელს, სხვათა შორის, სახითაც ძალიან ჰგავდა ის ტიპი, რომელიც გაჰკიოდა ,,გოუ ჟენია, გოუ!“-ო.

ამ სულელების პრეზიდენტმა სასწრაფოდ რაღაც საბჭო მოიწვია და არიქა, ქვეყანაში შემოსასვლელი კარები ჩაკეტეთ, იმ ამბოხებულმა ჟენიამ აქეთ არ გადმოუხვიოსო...

ბატონ ელიზბარ ჯაველიძისა არ იყოს, მართლაც, რომ ,,ავაჰმე, ჩემო მამულო!..“.

არ არის ძნელი იმ მიზეზის მიგნება, რამაც სულ რაღაც სამი ათეული წლის წინათ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე განათლებული ხალხის დიდი ნაწილი სრულ გამოთაყვანებამდე მიიყვანა. უვიცი და სულელი ხალხი ყველგან არის, შეიძლება, უმრავლესობაც იყოს ასეთი, მაგრამ ნორმალურ და თავმოყვარე სახელმწიფოებში ისინი მთავრობასა და პარლამენტში არ სხედან და არც მუდმივად ტელეეკრანებზე არიან გამოფენილები ექსპერტებისა თუ პოლიტიკოსების მანტიამოსხმულები. ჩვენ რა ღმერთი გაგვიწყრა ისე, რომ მთელი ,,პოლიტელიტა“ თითქმის მთლიანად ისეთი ხალხისაგან არის დაკომპლექტებული, ვინც მხოლოდ ჭამა იცის პროფესიულად: ,,ვაი, ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო, ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ“ (მ. მაჭავარიანი).

ხელისუფლებაში ყოფნა მხოლოდ ამიტომ უნდათ, თორემ მეტი საფიქრალი და საზრუნავი არც არაფერი აქვთ, ან რა უნდა ქნან, პოლიტიკისა და დიპლომატიის ანბანი არ იციან, ეკონომიკაზე წარმოდგენა არ აქვთ, ისტორია არ უსწავლიათ და გეოგრაფია, რომ სწორი ორიენტაცია მისცენ ქვეყანას; მტერსა და მოყვარეს ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ და რა ქნან, აბა, ჭამა იციან და რაც იციან, იმას აკეთებენ.

აბობოქრებულ ოკეანეში ნავიგაციის უცოდინარი კაპიტანი და ბოცმანი, მესაჭე და შპიკერი როგორ მოახერხებენ ხომალდის სწორი ორიენტაციის განსაზღვრას ისე, როგორც აჯანყებულმა მონებმა განსაზღვრეს გემის კურსი მათი ბელადის, ტამანგოს მეთაურობით.

არა, ქვეყნის ორიენტაცია როგორ უნდა განსაზღვრონ იმათ, ვისაც პედერასტობა და პედოფილია ორიენტაცია ჰგონია და არა - ცოდვა და დანაშაული.

აი, ისევ იმ სიგიჟეს მივუბრუნდეთ, რითაც დავიწყე ეს წერილი და მინდა, მარტივი კითხვა დავუსვა ჩვენს ვაი-ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს, რომლებიც ისე გახარებულები იყვნენ რუსეთში ერთი სამხედრო დაჯგუფების ამბოხის მცდელობით, თითქოს დიდი ხნის ნანატრი ვაჟიშვილი შესძენოდეთ. მათი სრული უვიცობისა და უზნეობის მიუხედავად, ამ უმარტივეს კითხვაზე პასუხი არ უნდა გაუჭირდეთ.

რუსეთის ხელისუფლებას ერთი მებრძოლი გენერალი თუ აუმხედრდა, თქვენ რა გიხარიათ, ნეტავი? რუსეთის აწინდელ ხელისუფლებას თუ დაამხობდა ჟენია, მერე აფხზეთსა და სამაჩაბლოს დაუბრუნებდა გოუ, გოუს რომ ბღაოდა, იმ ქათამსა და მისნაირებს? ანდა, რუსეთი თუ სამოქალაქო ომში გაეხვეოდა, აქაური ლგბტ აქტივისტი ქათმები დროს იხელთებდნენ და აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დაიბრუნებდნენ? ან უფრო მეტიც, როგორც ,,ალტინფოს“ ექსპერტმა აღნიშნა, ტუაფსემდე გადავწევდით საქართველოს საზღვრებს, რასაც მერე (მოკლე ხანში!), ისე როგორც 1921 წელს მოხდა, რუსეთის ჯარის თბილისში შემოსვლა მოჰყვებოდა?

ჰოდა, რატომ აჰყვა ამ სულელი ,,პროგნოზისტ-ექსპეტებისა’’ და ციხიდან ახლადგამოსული ,,მედიამენეჯერის ბრძნულ წინასწარმეტყველებას“ ახალგაზრდობის (ძველგაზრდობისაც) ნაწილი? იმიტომ, რომ სკოლა ელემენტარულ ცოდნასაც ვეღარ აძლევს მოზარდებს. სამწუხაროდ, სკოლამ კარგა ხნის დაკარგულ აღმზრდელობით ფუნქციასთან ერთად, საგანმანათლებლო ფუნქციაც დაკარგა.

ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება, არ დაიჯეროს ვინმემ, მაგრამ ფაქტია: მიმდინარე წლის 22 ივნისს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ ავტორიტეტულ გაზეთში, ,,საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ღია წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისადმი. ამ წერილში მინისტრის პოსტზე დიდი ქართული რაინდული გვარის მატარებელი გიორგი ამილახვრის დანიშვნასთან დაკავშირებული მილოცვისა და განათლების დარგის წინაშე მდგომი პრობლემების დაძლევაში წარმატებების მიღწევის სურვილის გარდა, გამოთქმული იყო წუხილი იმის გამო, რომ სკოლას კარგა ხანია აღარ აქვს აღზრდის სისტემა, რისი სავალალო შედეგები ყველა მოაზროვნე ადამიანისათვის სრულიად აშკარაა. ამასთან, წერილის ავტორი მინისტრს მოუწოდებდა, გამოეჩინა ინიციატივა ლგბტ პროპაგანდის ამკრძალავი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ყველაზე აქტუალური სადღეისო მოთხოვნაა და ამით ახალგაზრდობის გადაგვარების მოსურნეთათვის ლახვარი ჩაეცა. მერე რა? ერთი კვირის თავზე გაირკვა, რომ მინისტრს ამის თაობაზე არც არაფერ სმენია. მას, ალბათ, თანაშემწეები ჰყავს და განა მათ არ ევალებათ პრესაში გამოქვეყნებულ საყურადღებო საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდონ მინისტრს, ან მის მრჩეველს მაინც? თუ მინისტრის მისამართით გამოქვყნებული ღია წერილი მისთვის საყურადღებო არ არის? ყოფილმა პრეზიდენტმა (ახლა ,,ვივამედის“ პრესტიჟულმა პატიმარმა), პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას საჯაროდ განაცხადა, მე ქართულ პრესას არ ვკითხულობო. ამ განწყობაზე ხომ არ არიან ზოგიერთი ჩინოსნები დღესაც?

არ ვიცი! მე ის ვიცი, რომ უვიცების დოღი დეგენერატების არენაზე დიდწილად სწორედ იმ უკონცეფციო და უსისტემო სწავლა-აღზრდის შედეგია, რაც ჩვენში დამკვიდრდდა ამ სამი ათეული წლის წინათ და თანდათან მყარდება ჩვენი სიგლახისა და უნიათობის გამო. თანაც, ,,საქმე იმიტომ უფროა ცუდად, რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა“ (მ. მაჭავარიანი).

კი, ვხედავ ნამდვილად, რომ ხელისუფლება შეწუხებულია ამით. ეს ახლახან ნათლად გამოჩნდა პარლამენტის სესიაზე პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლაში. ერთ რამეში ვერ დავეთანხმები ბატონ პრემიერ-მინისტრს, რომ ჩვენი ყველაზე აქტუალური და უმნიშვნელოვანესი ამოცანა მშვიდობიანი გზით სეპარატისტული ტერიტორიების დაბრუნებაა! არა! უპირველესი ამოცანა არის საქართველოს ზნეობრივი გადარჩენა, იმ ისტორიული ტრადიციებისა და ღირებულებების დაცვა, რაც დიდ პატივისცემას იწვევდა ჩვენს ახლო, თუ შორეულ მეზობლებში. კავკასიაში ქართველები ყოველთვის დიდი პატივისცემას იმსახურებდნენ.



მშვიდობიანად აფხაზები და ოსები იმ სახელმწიფოში არ დაბრუნდებიან, სადაც პედერასტების, ლესბოსელებისა და ტრანსგენდერების აღლუმები შეიძლება იმართებოდეს, ან კიდევ უარესი, ლგბტ ფესტივალები იმართებოდეს ბავშვების მონაწილეობით. ძალით თუ აპირებს ამას ვინმე, იმ უვიცმა და სულელმა უნდა იცოდეს, სეპარატისტული რეგიონების უკან ისეთი ძალები დგანან, რომლებსაც შარვალჩახდილი ჯეელები და საყურეებიან-ბანტიანი ბიჭები ,,უპრაგონოდ“ ბუზსაც ვერ აუფრენენ.

ღირსეულ, თავმოყვარე, თავისი თავისა და სხვის პატივისმცემელ ხალხთან ყველა ღირსეული ხალხი ისურვებს მეგობრობასა და ძმობას!

აი, ეს არის მთავრი, ეს კი თუ მომავალ თაობას არ ასწავლე, ღირსება და კაიკაცობა დედის მუცლიდან კი არ დაჰყოლია ვინმეს. ამიტომ, უპირველესი ამოცანა დღეს არის ის, რომ სკოლა ზრდიდეს ეროვნული ღირებულებების ერთგულ პატრიოტებს, რომლებიც თვითონ კი არ აირჩევენ, ვის უერთგულონ და შესწირონ თავი, არამედ ის არჩევანი გააკეთონ, რაც მათი წინაპრების უთვალავმა თაობებმა გააკეთეს. ,,სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“ ეს სიბრძნეა, სიბრძნე. ეს რომ გაიგო, უნდა იცოდე, რა არის შენი სამშობლო და უფალი გწამდეს. სხვაგვარად შენი შინამე ხან ევროპაში გეგონება და ხან აფრიკაში და ბღავილით აიკლებ ქვეყანას: შინ ევროპაში, თუ შინ ამერიკაში მინდა დაბრუნებაო!

უგნური თაგვის ამბავი გაგიგონიათ, ალბათ: ,,ერთმა უგნურმა თაგუნამ“ თაგვობა რომ იუკადრისა. ჰო, და რატომ იყო ის თაგვი უგნური, იცით? იმიტომ კი არა, თაგვობა რომ იუკადრისა, არამედ იმიტომ, რომ იმად გადაქცევა მოინდომა, რაც არ იყო. რაც დაემართა, თუ არ იცის ვინმემ, იკითხოს და გაიგებს!

ხელისუფლებას ვურჩევ, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას ისე, როგორც პარლამენტში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა უწოდა ოპოზიციას, მერე კი თითოეულს ისე მოექცეს, როგორც იმ ნამდვილი სახელების მატარებლები იმსახურებენ!

დიდი პატივისცემით
ზურაბ ცუცქირიძე
პედაგოგიკის დოქტორი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი
555 56 75 37

ჯო ბაიდენი: „უკრაინის ნატო-ში ახლა მიღებით მესამე მსოფლიო ომის საფრთხე გაიზრდება!“

ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურები ჯერ კიდევ გაზაფხულზე მსოფლიოს საზოგადოებას ჰპირდებოდნენ, რომ ვილნიუსში ალიანსის სამიტი ისტორიული იქნებოდა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ თურქეთის პრეზიდენტს, რეჯეფ ტაიფ ერდოღანს, შვედეთის მიმართ პოზიციას შეაცვლევინებდნენ და დაითანხმებდნენ, მხარი დაეჭირა ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებისთვის.

პოლიტოლოგები იმედოვნებდნენ, რომ ვილნიუსის სამიტი არ დაემსგავსებოდა ბუქარესტის 2008 წლის სამიტს, როდესაც საფრანგეთმა და გერმანიამ მხარი არ დაუჭირეს უკრაინის ნატო-ში გაწევრიანებას. თუმცა, იმედები და, მით უფრო, პროგნოზები, ყოველთვის როდი ხდება რეალობა.

ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ, ვილნიუსის სამიტზე უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების საკითხს არ განიხილავდნენ, რის შემდეგაც ევროპაში გაემგზავრა ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. ვილნიუსში ჩასვლამდე ბაიდენი კვლავ ბრიტანეთს ესტუმრა, სადაც სულ ცოტა ხნის წინაც იმყოფებოდა.

აშშ-ის პრეზიდენტი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს რიში სუნაკს შეხვდა. ბაიდენის განცხადებით, „...აშშ-ბრიტანეთის ურთიერთობა სალი კლდესავით მყარია“. შეხვედრაზე ურთიერთთანამშრომლობის საკითხები განიხილეს. თუმცა, სუნაკი არ ეთანხმება ბაიდენის გადაწყვეტილებას — უკრაინისთვის კასეტური ბომბების გადაცემის შესახებ, რომელიც საერთაშორისო კონვენციით მსოფლიოში აკრძალული იარაღის ნუსხაშია.

ბაიდენის განცხადების მიუხედავად, ადგილობრივ პოლიტოლოგებს მიაჩნიათ, რომ იგი აშშ-ის ყველაზე ანტიბრიტანული პრეზიდენტია. ბრიტანული პრესა სუნაკს მოუწოდებდა, სიმკაცრე გამოეჩინა მოლაპარაკების მსვლელობისას. საინტერესოა, რომ ბაიდენ-სუნაკს შეხვედრის შემდეგ არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ საუბრის თემისა და გადაწყვეტილებების შესახებ.

ბაიდენმა შესაძლებლობა არ გაუშვა ხელიდან და ბრიტანეთის მეფეს კარლ III-ს შეხვდა. საპატიო ყარაულის წინ ჩავლისას ბაიდენი მონარქის წინ მიდიოდა, რაც სამეფო პროტოკოლისა და ეტიკეტის უხეში დარღვევაა. მისმა საქციელმა ადგილობრივი პრესის გულისწყრომა გამოიწვია. ჟურნალისტების შეფასებით, ბაიდენი შეეცადა, თავისი პრივილეგირებული მდგომარეობა ეჩვენებინა. თუმცა, აშშ-ის სხვა პრეზიდენტებსაც არაერთხელ დაურღვევიაც სამეფო ეტიკეტი ჯერ კიდევ დედოფალ ელიზაბეთ II-სთან შეხვედრების დროს.

სამიტის დაწყებამდე ვილნიუსი, ფაქტობრივად, დაცარიელდა მიღებული გამკაცრებული უსაფრთხოების ზომების მიზეზით, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრი, სადაც ღონისძიება გაიმართა. სამიტის პირველივე დღეს უთხრეს უარი უკრაინას ალიანსში გაწევრიანებაზე. დასავლური პრესის ინფორმაციით, პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ წინასწარ იცოდა მოსალოდნელი უარის შესახებ, მაგრამ ნატო-ში უკრაინის ლობისტებთან ერთად იმედოვნებდა, რომ სამიტზე უკეთესი შედეგი დადგებოდა მისი ქვეყნისთვის, მით უფრო, რომ ერდოღანმა პირდაპირ განაცხადა, რომ „...უკრაინა იმსახურებს ნატო-ს წევრობას“.

ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა წამოაყენა იდეა — უკრაინა გაწევრიანდეს ალიანსში იმ ტერიტორიებით, რომელსაც აკონტროლებს. ამ იდეას მხარდაჭერა არ ჰქონია. ალიანსის მოქმედმა გენმდივანმა იენს სტოლტენბერგმა პირდაპირ განაცხადა: „...როდესაც ქვეყანა საომარ მდგომარეობაშია, მისი ნატო-ში გაწევრიანება მიზენშეუწონელია... თუ უკრაინა ვერ გაიმარჯვებს, ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანების საკითხი არც განიხილება“. თეთრი სახლის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ბაიდენის სიტყვები: „...ვიდრე უკრაინაში ომია, ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. თუ ალიანსის წევრი გახდება, სამყარო მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება“.

ალიანსის ქვეყნების გადაწყვეტილებამ გაანაწყენა ზელენსკი, რომელმაც სამიტის მიმდინარეობის პირველივე დღეს სოციალურ ქსელებში გააკრიტიკა ორგანიზაცია. „ვაშინგტონ პოსტის“ ინფორმაციით, ზელენსკის უკმაყოფილების მიზეზი ნატო-ში გაწევრიანებაზე უარის გარდა, ის გარემოებაც გახდა, რომ ორგანიზაციაში არ დაუთქვიათ უკრაინის ალიანსში მიღების ზუსტი დრო. ზელენსკიმ მკვეთრი გამონათქვამები არ დაიშურა მოკავშირეების მიმართაც. როგორც აღნიშნული გამოცემა იუწყება, მან აშშ-ის დელეგაციის წევრები განარისხა. პრეზიდენტი ბაიდენი ტრადიციულ ვახშამზე არ დარჩა, საქმეები მოიმიზეზა. აშშ-ის პრესა იუწყება, რომ ვახშამზე ნატო-ს წევრი ქვეყნების მეთაურებმა ზელენსკის მკაცრად მიუთითეს, რომ მისგან ალიანსის კრიტიკა მიუღებელია. პოლიტოლოგებმა მის გამონათქვამებს თავხედური უწოდეს. სამიტის მეორე დღეს ზელენსკიმ რიტორიკა შეცვალა, ხავერდოვანი გახდა. თუმცა, ტრადიციული ერთობლივი ფოტოს გადაღებისას კამერებმა დააფიქსირეს, რომ იგი მარტო იდგა. ჟურნალისტებმა გაიხსენეს იაპონიაში წლევანდელი G-7-ის სამიტი, სადაც ზელენსკისთან სურათის გადაღებას ყველა იქ მყოფი ცდილობდა, ახლა კი მას ყურადღება აღარავინ მიაქცია.

მკვეთრმა გამონათქვამებმა ცალკეული ჩინოვნიკებიც გაანაწყენა. „ვაშინგტონ პოსტმა“ გამოაქვეყნა თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში პრეზიდენტ ბაიდენის თანაშემწის, ჯეიკ სალივანის ზელენსკის მისამართით გამოთქმული სიტყვები: „მადლობელი უნდა იყო სპონსორების მიმართ, რომელთა წყალობითაც არსებობ“. ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრის, ბენ უოლესის გამონათქვამი: „... ალიანსი „ამაზონი“ არ არის, სადაც შეიძლება შეუკვეთო საჭირო პროდუქცია. მადლობა უნდა უთხრა იმ ხალხს, ვინც გეხმარება“. გამოცემა „გარდიანმა“ გამოაქვეყნა, რომ ბრიტანელი მინისტრი თანამდებობის დატოვებას აპირებს. მას ნატო-ს გენმდივნის პოსტზე სტოლტენბერგის შემცვლელად მოიაზრებენ.

ჩინოვნიკების პასუხად ზელენსკიმ ძველი პროფესია, კომიკოსობა გაიხსენა და შეეცადა, იუმორით ეთქვა: „...არ ვიცი, როგორ გადავუხადო მადლობა, იქნებ, თავად გვითხრას“. თუმცა, სამშობლოში დაბრუნებულმა გაავრცელა ვიდეოჩანაწერი, სადაც სხვადასხვა ქვეყნების მეთაურებს და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ცალ-ცალკე, პერსონალურად გადაუხადა მადლობა. დასავლეთელმა ჟურნალისტებმა დაითვალეს, რომ ზელენსკიმ სიტყვა „მადლობა“ 47-ჯერ გაიმეორა.

ვილნიუსის სამიტი უშედეგოდ არ დასრულებულა უკრაინისთვის. კასეტური ბომბების გარდა, რომელსაც აშშ აწვდის, საფრანგეთი ფრთოსან რაკეტებს მისცემს, რის შესახებაც საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმა განაცხადა. ცნობილი გახდა, რომ ნატო-ს გარდა, G-7-ის ქვეყნები პერსონალურად დაეხმარებიან უკრაინას.

რაც შეეხება თურქეთის პოზიციას, შვედეთის ნატო-ში გაწევრიანებაზე პრეზიდენტმა ერდოღანმა საკუთარი პირობები წამოაყენა. მან თანხმობის სანაცვლოდ ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანება მოითხოვა. ასევე, აშშ-სგან ის თანამედროვე სამხედრო თვითმფრინავები, რომელთა საფასურიც გადახდილი აქვს.

ისრაელელი პოლიტოლოგის, იაკობ კედმის თქმით: „ერდოღანი შვედეთის საკითხით ვაჭრობს, რაც პოლიტიკურად გამართლებულია. ევროკავშირში თუ გაწევრიანდა, ლიდერის პოზიციას დაიკავებს და აშშ-ის ევროკავშირზე გავლენას შეამცირებს. ამიტომაც თავს იკავებენ ევროკავშირში მისი მიღებისგან“.

სამიტის შემაჯამებელ დოკუმენტში ნატო-ს საფრთხის შემცველი ქვეყნების რიგებში ჩინეთიც ჩაიწერა. სამიტის მსვლელობისას ცნობილი გახდა, რომ გერმანია ჩინეთთან ვაჭრობას, რომლის მოცულობა 300 მლრდ დოლარია, შეაჩერებს. ექსპერტებმა ეს ფაქტი ორივე ქვეყანასთან მიმართებაში აშშ-ის გამარჯვებად შეაფასეს.

ვილნიუსში ნატო-ს სამიტის შემდეგ ევროპაში პოლიტიკური სეზონი შემოდგომამდე დასრულდა. ალიანსში უკრაინის გაწევრიანების მთავარი პირობა რუსეთის დამარცხება, ომში გამარჯვებაა. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ბრძოლის ველზე.

სენსაციური აღმოჩნდა გასულ კვირას რუსეთის პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, დმიტრი პესკოვის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ცნობილი გახდა, რომ არშემდგარი ამბოხის შემდეგ, რომელსაც კერძო შეიარაღებული ორგანიზაცია „ვაგნერი“ აწყობდა, პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი სამხედრო დაჯგუფების 35 მეთაურს შეხვდა. მათ შორის იყო ამბოხის მთავარი ორგანიზატორი ევგენი პრიგოჟინი. შეხვედრაზე საუბრის თემების შესახებ პესკოვს არაფერი უთქვამს. საინტერესოა, რომ შეხვედრა ამბოხის დამთავრებიდან ოთხი დღის შემდეგ გაიმართა, მაგრამ ეს ამბავი ცნობილი მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გახდა. იაკობ კედმიმ, რომელიც ისრაელის სპეცსამსახურის ვეტერანია, მაღალი შეფასება მისცა ქვეყანაში საიდუმლო ინფორმაციის დაცვას. ასევე აღნიშნა პუტინის მიერ გაკეთებული სვლა — კარგად მომზადებული შეიარაღებული დაჯგუფების ბელორუსში გადასროლა.

გასულ კვირას „ვაგნერის“ კუთვნილი 2 საწყობი, სადაც შეიარაღება ინახებოდა, დაჯგუფებამ თავდაცვის სამინისტროს გადასცა. პრიგოჟინი შეიარაღების დეფიციტის გამო უპირისპირდებოდა თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსნებს, მაგრამ საწყობებში უამრავი რაოდენობის სხვადასხვა შეიარაღება აღმოჩნდა. თავად პრიგოჟინის საცხოვრებელ სახლშიც ჩხრეკა ჩაატარეს. მის საქმიანობაზე მოკვლევა მიმდინარეობს. არშემდგარი ამბოხების დეტალები დროთა განმავლობაში გამოჩნდება.

გია ბურდული
551 71 27 07

როგორ იდევნებოდნენ „მამაკაცები“ მესამე რაიხის დროს

მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცების ჰომოსექსუალიზმი უკანონოდ მიიჩნეოდა ვაიმარის გერმანიაში სისხლის სამართლის კოდექსის 175-ე მუხლის შესაბამისად, გერმანელი აქტივისტები, რომლებიც ჰომოსექსუალების უფლებებისთვის იბრძოდნენ, მსოფლიო ლიდერები ხდებოდნენ და საზოგადოების იმ ნაწილის მოსაზრებების შეცვლისკენ მიისწრაფვოდნენ, რომლებიც ჰომოსექსუალიზმს გმობდნენ. ვეიმარის რესპუბლიკის ტოლერანტობას ჰომოსექსუალების მიმართ ბევრი გერმანიის დაკნინებად მიიჩნევდა. ნაცისტები თავს ზნეობრივი ფასეულობების დამცველებად წარმოაჩენდნენ, რომლებიც გერმანიიდან ჰომოსექსუალიზმის ცოდვის აღმოფხვრას ცდილობდნენ, რათა რასობრივ ომში გამარჯვებისთვის მიეღწიათ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 1933 წელს, ნაცისტებმა გაამკაცრეს გეერმანელი მამაკაცი-ჰომოსექსუალების დევნა, რაც ჰომოსექსუალთა ორგანიზაციების დახურვასა და საკონცენტრაციო ბანაკებში მათ გამომწყვდევაში გამოიხატებოდა.

ნაცისტები ჰომოსექსუალებს სუსტ მამაკაცებად მიიჩნევდნენ, რომლებსაც გერმანიის ნაციისთვის ბრძოლა არ შეეძლოთ. მათი აზრით, ჰომოსექსუალებს არ შეეძლოთ შთამომავლობის გაჩენა და გერმანიაში შობადობის გაზრდა. ნაცისტებს მიაჩნდათ, რომ მდაბალი რასები უფრო მეტ შთამომავლობას ტოვებდნენ, ვიდრე „არიელები“, ამიტომ ყველაფერი, რაც გერმანიის რეპროდუქტიულ პოტენციალს ამცირებდა და მას რასობრივ საფრთხეს უქმნიდა.

სს-ის მეთაური ჰენრიხ ჰიმლერი ხელმძღვანელობდა მესამე რეიხში ჰომოსექსუალი მამაკაცების სასტიკ დევნას. ლესბოსელები ნაცისტების რასობრივი პოლიტიკის საფრთხედ არ განიხილებოდნენ და მათ, როგორც წესი, არ დევნიდნენ. ასევე, ნაცისტები არ დევნიდნენ არაგერმანელ ჰომოსექსუალებს, იმათ გარდა, ვისაც გერმანელი პარტნიორი ჰყავდა. უმეტეს შემთხვევაში, ნაცისტები თანახმა იყვნენ, მიეღოთ „რასობრივ საზოგადოებაში“ ყოფილი ჰომოსექსუალები, იმ პირობით, რომ ისინი „რასობრივ შეგნებას“ გამოიჩენდნენ და თავიანთი ცხოვრების წესზე უარს იტყოდნენ.

1933 წლის 6 მაისს, სტუდენტები შემტევი რაზმების თაოსნობით ბერლინის სექსუალური მეცნიერებების ინსტიტუტში შეცვივდნენ და კონფისკაცია გაუკეთეს მის უნიკალურ ბიბლიოთეკას. ოთხი დღის შემდეგ ამ კოლექციის დიდი ნაწილი, რომელიც 12 ათასზე მეტი წიგნისა და 35 ათასზე მეტი უნიკალური ფოტოსგან შედგებოდა, „დეგენერატიული“ ლიტერატურული ათასობით ნაწარმოებთან ერთად ბერლინის ცენტრში დაწვეს. აგნუს ჰირშფელდი, ამ ინსტიტუტის დამაარსებელი და ადამიანის სექსუალობის პირველი მკვლევარი, იმ დროს ლექციებს კითხულობდა საფრანგეთში და გადაწყვიტა, გერმანიაში არ დაბრუნებულიყო.

ინსტიტუტის განადგურება გერმანიაში გეებისა და ლესბოსელების კულტურის ამოძირკვის გზაზე პირველი ნაბიჯი იყო. პოლიცია ხურავდა კლუბებსა და ბარებს და კრძალავდა ჰომოსექსუალთა გამოცემებს. ამ ადრეულ ეტაპზე ნაცისტები აიძულებდნენ ჰომოსექსუალებს, იატაკქვეშეთში გადასულიყვნენ და მათი მხარდამჭერების წრეს ანადგურებდნენ. 1934 წელს გერტაპომ ადგილობრივ პოლიციას დაავალა, შეედგინათ ჰომოსექსუალი მამაკაცების სია. ფაქტობრივად, პოლიცია ამას ისედაც აკეთებდა გერმანიის სხვადასხვა ნაწილში. ნაცისტები ამ „ვარდისფერ სიებს“ ჰომოსექსუალების დასაჭერად იყენებდნენ.

1935 წლის 28 ივნისს გერმანიის იუსტიციის სამინისტრომ 175-ე სტატიაში ცვლილებები შეიტანა. ამ ცვლილებებმა შექმნეს სამართლებრივი საფუძველი ნაცისტების მიერ ჰომოსექსუალების დევნის უფრო მეტად გაფართოებაში. სამინისტროს ხელმძღვანელობამ გააფართოვა კატეგორია „სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი გარყვნილებითი ქმედებები მამაკაცებს შორის“ და ამ განსაზღვრებაში შევიდა ნებისმიერი ქმედება, რომელიც შეიძლება სექსუალურ გამოვლინებად მიიჩნეოდეს. მოგვიანებით სასამართლოები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ განაჩენის გამოსატანად ჰომოსექსუალების სექსუალური სურვილი ან ამის გაფიქრებაც კი საკმარისი იყო.

1936 წლის 26 ოქტომბერს ჰიმლერმა უსაფრთხოების პოლიციაში ჰომოსექსუალიზმთან და აბორტთან მებრძოლი სენტრალური ბიურო შექმნა. ახალ ბიუროს იოზეფ მეიზინგერი ხელმძღვანელობდა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკის გამო ოკუპირებულ პოლონეთში დასავჯეს 1947 წელს. პოლიციას გააჩნდა უფლებამოსილება, დაეკავებინათ და ჩაეტარებინათ პრევენციული მათი დაჭერები, ვინც გერმანიის მორალურ სიმტკიცეს საფრთხეს უქმნიდა და ციხეში სვამდნენ ყველას, ვისაც ამოირჩევდნენ. გარდა ამისა, ციხიდან ახალგამოსულ ჰომოსექსუალებს კვლავ აპატიმრებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებდნენ, თუ პოლიციის მოსაზრებით, არსებობდა იმის ალბათობა, რომ ისინი კვლავ განაგრძობდნენ ჰომოსექსუალურ ქმედებებს.

1937-39 წლების განმავლობაში, როცა ჰომოსექსუალების დევნამ პიკს მიაღწია, პოლიცია სულ უფრო და უფრო ხშირად აწყობდა რეიდებს ჰომოსექსუალების შეკრების ადგილებზე, კონფიცკაციას უკეთებდა მიზნობრივ წიგნებს და ქმნიდა ინფორმატორებისა და საიდუმლო აგენტების ქსელს ეჭვმიტანილი ჰომოსექსუალების გამოვლენისა და დაპატიმრების მიზნით.

1938 წლის 4 აპრილს გესტაპომ გამოსცა დირექტივა იმის შესახებ, რომ ჰომოსექსუალიზმის გამო მსჯავრდებულები საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა მოთავსებულიყვნენ. 1933-იდან 1945 წლის ჩათვლით, პოლიციამ დაახლოებით 100 000 მამაკაცი-ჰომოსექსუალი დააპატიმრა. უმრავლესობა იმ 50 ათასიდან, ვისაც სასჯელი მიესაჯა, რომლებიც ციხეებში ისხდნენ, 5-იდან 15 ათასამდე ჰომოსექსუალი კი საკონცენტრაციო ბანაკებში იყო გადაყვანილი.

ნაცისტებმა ზოგიერთი ჰომოსექსუალის საკონცენტრაციო ბანაკებში ინტერნირება ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, 1933 წლის იანვარში მოახდინეს. ინტერნირებულებს შორის იყვნენ გერმანიის საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები, ხშირად მათი დაპატიმრების მიზეზი აშკარა არ იყო და საერთო სიტყვებით იყო აღწერილი. ზოგიერთი ჰომოსექსუალი შეცდომით იყო ინტერნირებული, ხოლო ზოგიერთი პოლიტპატიმარს მიზანმიმართულად მიაწერდნენ ჰომოსექსუალობას. მათ, ვისაც ტანსაცმელზე ამოყირავებული ვარდისფერი სამკუთხედი ეკერა, დაუნდობლად ექცეოდნენ.

რადგან ზოგიერთი ნაცისტს მიაჩნდა, რომ ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობა იყო, რომლის „მკურნალობაც“ შესაძლებელი იყო, შეიმუშავეს მათი „გამოჯანმრთელების“ პოლიტიკა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ და მძიმე სამუშაოს შესრულებას აიძულებდნენ. ბანაკებში მიყვანისთანავე ჰომოსექსუალისტებს იზოლირებულად ამყოფებდნენ, მათ დასცინოდნენ და დაუნდობლად სცემდნენ. ოსვენციმის კომენდანტი რუდოლფ ჰესი თავის მემუარებში წერდა, რომ ჰომოსექსუალების იზოლაცია პატიმრებსა და მომსახურე პერსონალს შორის ჰომოსექსუალიზმის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ხდებოდა. დორა-მიტელბაუს მიწისქვეშა რაკეტების ქარხანაში, ფლოსენბიურგისა და ბუხენვალდის ქვის კარიერებში მომუშავე ჰომოსექსუალებს ყველაზე სახიფათო და მძიმე დავალებების შესრულებას ავალებდნენ.

ბანაკებში თავის გადარჩენისთვის ჰომოსექსუალები სხვადასხვა გზას მიმართავდნენ. ზოგიერთი მათგანი უსაფრთხოების მიზნით ადმინისტრაციულ და საკანცელარიო სამუშაოებს ასრულებდა, ზოგიერთისთვის გადარჩენის გზად სწორედ ჰომოსექსუალობა იქცა. სექსუალური მომსახურების საფასურად პრივილეგირებული პატიმრები ჰომოსექსუალების მფარველები ხდებოდნენ, მათ დამატებით საკვებს აძლევდნენ და სხვა პატიმრებისგან იცავდნენ. თვითონ ჰომოსექსუალები პრივილეგირებულ მდგომარეობას ვერ იკავებდნენ, რადგან მათ მხარდამჭერები არ ჰყავდათ, რაც სხვა ჯგუფებისთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა ზოგიერთი ჰომოსექსუალი მაინც ახერხებდა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

გადარჩენის ერთ-ერთი ვარიანტი ზოგიერთი ჰომოსექსუალისთვის კასტრაცია იყო, რასაც სისხლის სამართლის სისტემის თანამშრომლები სექსუალური გადახრების „მკურნალობის“ საშუალებად მიიჩნევდნენ. ის ჰომოსექსუალისტები, რომელთა წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული, ან საკონცენტრაციო ბანაკებში გადაყვანა ჰქონდათ მისჯილი, ნაკლებად მძიმე სასჯელის სანაცვლოდ კასტრაციაზე თანხმდებოდნენ. მოგვიანებით, მოსამართლეებსა და სს-ის ხელმძღვანელობას შეეძლოთ კასტრაციის ბრძანება გამოეტანათ თავად ჰომოსექსუალის თანხმობის გარეშეც.

ნაცისტებმა, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ ჰომოსექსუალიზმის მკურნალობაში, გააფართოვეს ეს პროგრამა და მასში პატიმარ-ჰომოსექსუალებზე სამედიცინო ექსპერიმენტების ჩატარება ჩართეს. ეს ექსპერიმენტები ხშირად ავადმყოფობების, სხეულის მძიმე დაზიანებებისა და, ხშირ შემთხვევაში, მათი სიკვდილის მიზეზიც ხდებოდა. ამას მეცნიერებისთვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ჰომოსექსუალების და სხვა სექსუალური უმცირესობების მიმართ მიდგომები შეიცვალა. ვიკიპედიაში ჰომოსექსუალობის შესახებ ვკითხულობთ: ჰომოსექსუალობა — რომანტიკული და სექსუალური ლტოლვა ან ქცევა ერთი სქესის წევრებს შორის. როგორც სექსუალური ორიენტაცია, ჰომოსექსუალობა აღნიშნავს „სექსუალური, სასიყვარულო ან რომანტიკული ლტოლვის ხანგრძლივ ნიმუშს ან ხასიათს“ უმთავრესად ან ექსკლუზიურად იმავე სქესის ხალხის მიმართ; „აგრეთვე აღნიშნავს ინდივიდის პიროვნულ გრძნობას ან იდენტობას.“

... ბიჰევიორისტ და სოციალურ მეცნიერებათა, აგრეთვე ჯანმრთელობისა და მენტალური ჯანმრთელობის პროფესიების კონსენსუსი არის, რომ ჰომოსექსუალობა ადამიანის სექსუალური ორიენტაციის ნორმალური და პოზიტიური სახეობაა...

...ერთსქესიანი სექსუალური მიმზიდველობა, ქცევა და ორიენტაცია, თავისთავად, ადამიანის სექსუალობის ნორმალური და პოზიტიური სახეობაა; სხვა სიტყვებით, ეს არაა მენტალური ან განვითარების აშლილობის მაჩვენებელი...“

კომენტარი თქვენთვის მოგვინდია, ძვირფასო მკითხველო.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

მცდარი ფაქტები

მცდარია გავრცელებული შეხედულება ქამელეონსა და ანოლისზე, რომ მათი ფერის შეცვლის უმთავრესი მიზანი კამუფლიაჟია. რეალურად, ისინი ხშირად იცვლიან ფერს სხეულის ტემპერატურის დასარეგულირებლად, ზოგჯერ კი ეს კომუნიკაციის ერთგვარი ფორმაა. მაგალითად, ქამელეონები მუქ ფერს იღებენ, თუ ცუდ გუნებაზე არიან, ბრაზდებიან, ან მეტოქის შეშინება უნდათ. მამრები ხშირად ღია ან ფერად შეფერილობას იღებენ, როდესაც მდედრის მოხიბვლას ცდილობენ და მხოლოდ ამის შემდეგ მოდის გარემოსთან მსგავსების მიზანი.

* * *

სიტყვა „თეორია“ (დიდი აფეთქების თეორია, ევოლუციის თეორია და ა.შ.) არ ნიშნავს, რომ ამ მოსაზრებაში მეცნიერები დარწმუნებულები არ არიან. საქმე ისაა, რომ მეცნიერულ კონტექსტში თეორიასა და ჰიპოთეზას უფრო სხვანაირი განსაზღვრება აქვს, ვიდრე ყოველდღიურ სასაუბრო ენაში. მეცნიერების ეროვნული აკადემიის განმარტებით, „თეორია“ მეცნიერებაში არის გამყარებული (დამტკიცებული) ახსნა ბუნებრივი სამყაროს ზოგიერთი ასპექტისა, რომელიც აერთიანებს: ფაქტებს, კანონებს, დასკვნებსა და გამოცდილ ჰიპოთეზებს, ხოლო ჰიპოთეზა არის წინასწარი განაცხადი ბუნებრივი სამყაროს შესახებ, რომელიც მოითხოვს მომდევნო გამოცდებს. თუკი ჰიპოთეზის დასკვნა მართებულია, იზრდება ალბათობა, რომ ჰიპოთეზა სწორია, ხოლო თუ არასწორია, ან უკუაგდებენ, ან მასში კორექტირებას შეიტანენ.

* * *

ადამიანი საკუთარი ტვინის 10%-საც არ იყენებს. ამ მითის გავრცელება მიეწერება ამერიკელ ფსიქოლოგს უილიამ ჯეიმსს, რომელმაც 10% მეტაფორის სახით გამოიყენა ვუნდერკინდ უილიამ ჯეიმს სიდისზე დაკვირვებისას. სინამდვილეში, ისეთ მარტივ რამესაც კი, როგორიც მუშტის შეკვრაა, ტვინის 10 %-ზე მეტის მუშაობა სჭირდება.

* * *

აზრი, რომ მეხი ორჯერ არასდროს ეცემა ერთ ადგილზე, საკმაოდ ძველი ცრურწმენაა. არ არსებობს მიზეზი, რომელიც ელვას ამაში ხელს შეუშლის. მაგალითად, ნიუ-იორკში მდებარე „ემფაიარ სთეით ბილდინგის“ შენობას წელიწადში 100-ჯერ ეცემა მეხი.

შერლოკ ჰოლმსი არასოდეს იყენებდა ფრაზას „ელემენტარულია, ძვირფასო ვატსონ“. პირველად ეს ფრაზა ითქვა 1929 წელს ფილმში „შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება.“

* * *

თომას ედისონს არ გამოუგონებია ელექტრონათურა. ედისონამდე ნათურის 22 გამომგონებელია ცნობილი. ედისონის ვერსია, უბრალოდ, იმით გამოირჩეოდა სხვებისგან, რომ მასში ვარვარებისთვის ეფექტური ნივთიერება გამოიყენებოდა, რომელიც წინამორბედებს ვაკუუმის დონით აღემატებოდა და მეტად გამძლე იყო, თუმცა, ერთ წელიწადში (1881 წელს) ბრიტანელმა ფიზიკოსმა ჯოზეფ სუონმა ნათურის უკეთესი ვარიანტი შექმნა.

* * *

ცნობილი ინგლისური სიტყვა **Fuck**“ არ წარმოშობილა გაქრისტიანებული ანგლოსაქსური ინგლისის პერიოდიდან, როგორც აკრონომი ფრაზისა **„Fornication Under Consent of King“** (ინტიმური კავშირი მეფის თანხმობით) ან **„For Unlawful Carnal Knowledge“** (უკანონო ხორციელი შეცნობისთვის), არც აბრა ყოფილა, რომელსაც მოღალატე მეუღლეებს უდგამდნენ, ან ბრიტანეთის არმიის წინააღმდეგ მიმართული კრიმინალური ბრალდება. თანამედროვე ინგლისურ ენაზე საუბარი მე-16 საუკუნეში დაიწყეს და სიტყვები, როგორიცაა **„fornication“** ან **„consent“**, არ გაჩენილა მე-12 საუკუნის მიწურულამდე. სიტყვა **„fuck-ს“** ყველაზე ადრე ვხვდებით 1475 წელს ლექსში **„Flen flyys“**, თუმცა, შესაძლოა, მას პროტოგერმანული წარმოშობაც ჰქონდეს. მას წააგავს ჰოლანდიური **fokken**, გერმანული **ficken** და ნორვეგიული ფუკკა.

* * *

დინოზავრები იმის გამო არ გადაშენებულან, რომ გარემოს ვერ ეგუებოდნენ, ან ცვლილებასთან ადაპტირება ვერ შეძლეს. რეალურად, ისინი საკმაოდ ადაპტირებულ ჯგუფს წარმოადგენდნენ. მათი გაქრობის მიზეზი ის მოვლენაა, რამაც იმდროინდელი მცენარეების, ხმელეთისა და წყლის ცხოველების უმრავლესობის ამოიწყვეტა გამოიწვია. ვარაუდობენ, რომ ეს მიზეზი იუკატანის ნახევარკუნძულზე ჩამოვარდნილი უზარმაზარი ასტეროიდია, რამაც სათავე დაუდო ცარცულ-პალეოგენურ გადაშენებას 65 მლნ წლის წინათ.

* * *

„დაბადების წიგნში“ აღწერილი აკრძალული ხილი (იგივე კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე) ვაშლი არ ყოფილა. ბიბლია საერთოდ არ საუბრობს რა სახეობის ხის ნაყოფი იყო. ებრაული ტექსტები მხოლოდ ხესა და ხილს ახსენებენ, ლათინური თარგმანები კი იყენებენ სიტყვა **mali**, რაც ნიშნავს როგორც ბოროტს, ისე — ვაშლს. ებრაული სწავლულები სხვა ვერსიებსაც გვთავაზობენ. აკრძალული ნაყოფი, შეიძლებოდა ყოფილიყო: ყურძენი, ლეღვი, ხორბალი ან ციტრონი.

* * *

ბუდა არ არის ღმერთი. სიდჰართა გაუტამა არ ფლობდა რაიმე სახის მესიანურ თვისებებს. მისი მთავარი მოტივი იყო: თვითრწმენა, თვითსწავლება, ინდივიდუალური ბრძოლა, თუმცა, მაჰაიანისტური ბუდიზმის განვითარებისას თანდათან შემოვიდა და დამკვიდრდა აზრი, რომ ბუდა მესია იყო. მიუხედავად ამისა, ბუდა არასდროს უღიარებიათ ღმერთად იმ გაგებით, რა გაგებაც ამ სიტყვას ტრადიციულად აქვს.

* * *

არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ იესო 25 დეკემბერს იშვა. ბიბლიაში შობის თარიღი საერთოდ არ არის მითითებული, მინიშნების მიხედვით კი, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოვლენა სექტემბერში მოხდა. ამ ფიქსირებული თაღირის შემოღებას რომის პაპ იულიუს I-ს მიაწერენ 350 წელს.

უკვდავი სიცოცხლე

ჩემო კარგო ქვეყანავ, ჩემო არგადაშენებულო და ვერგადაშენებულო სოფელო, არაშენდავ, რაზედ მოგიწყენია?

გილიგაშვილთა ძლიერი ჯიშისა და მებრძოლი ჯილაგის მარადიული სიცოცხლის ნიშანსვეტი, გმირობისა და თავდადების ძეგლი შორეული ავსტრიის ცივი აკლდამიდანაც კი გვაფრქვევს ცხოველმყოფელ სხივებს.

ვინ დაიჯერებს, რომ როლანდ გილიგაშვილმა თვალები დახუჭა და სამუდამოდ დაიძინა.

ამ კაცადკაცს ხომ ძილშიაც არ ეძინა ქვეყნის უბედურებით გულაღტყინებულსა, სიმართლის მძებნელ-მპოვნელსა, მუდამ შეკაზმულ ცხენზე მჯდომარეს, ცოდვა-მადლის გამრჩევს, გაჭირვებულისა და უნუგეშოს ნუგეშისმცემელს, ჭირისა და ლხინის მოზიარეს,

ერთი სიტყვითა და მთელი საქართველოს პასუხით, იგი ქართული მიწა-წყლის სიამაყე და სინდის-ნამუსი იყო, რომელმაც მთელი სულითა და გულით შეიგრძნო მამა-პაპათა გამაფრთხილებელი შეგონება: „იცოდე, ვისი გორისა ხარ!“

ვენის დიდებულ სასაფლაოზე როლანდიმ მშობლიური მიწა ჩაუტანა მკვიდრ ბიძაშვილს და პირველი ღვიძლი ცრემლიც დააფრქვია ბეთჰოვენის საფლავის გვერდით ამაღლებულსა და გაუკვდავებულ ლადო გილიგაშვილს.

დღეს კი თავადაც არაშენდას მიწა დაეყარა დედაქალაქის გულში ჩაკრულს.

და თუ არაშენდას გადაშენება არ უწერია, მაშინ იმასთან და მთელ საქართველოსთან ერთად, როლანდიც უკვდავი იქნება, და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი მას, რომ წინაუსწრო მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავს.

როლანდიმ მადლი ქვაზე დადო. ზოგჯერ მადლი მატლად გადაიქცევა ხოლმე, თუმცა ამ ცოდო-ბრალიან წუთისოფელში რაღაა გასაკვირი, მაგრამ უპირველესი და უმთავრესი - სიმართლის ნერგი სიპ ქვაზე ახარა.

გიხაროდეს, ჩემო კარგო ქვეყანავ, რადგან როლანდ გილიგაშვილი უკვდავია!

მედეა მოსულიშვილი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია საერეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99